ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 073 (12 448) 28 მარტი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**ნაკრები სტატისტიკის სარკეში**

ბელფასტის შემდეგ »» 4

**ტოტი: ოქროს ბურთი? ჩაწყობილია**

მსოფლიო ფეხბურთი »» 6-10

# კონფლიქტი!

## ტოპმიოლერმა ადვოკატს მიმართა

## ფედერაცია კლაუსის გადაყენების საკითხს განიხილავს



ტოპი: სანამ მაგას იზამენ, კარგად დაფიქრდნენ. ერთი წლის ხელფასი გასასტუმრებელი აქვთ... და კიდევ არის რაღაც-რაღაცები, რაზეც ჯერ არაფერს ვიტყვი. საბოტაჟი? გამორიცხული არაფერია

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან »» 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ადვოკატს უკვე დავუკავშირდი



"სასამართლოში ჩივილს ვაპირებ!" - ამ სიტყვებით დაიწყო კლაუს ტოპმიოლერმა "ლელოსთან" საუბარი. ყველაფერს მოველოდით, ასეთ განცხადებას კი არა! ვის უჩივის ტოპი, ვფიქრობთ, ეს რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს. საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ და საუბარი სწორედ ზემოთ მოყვანილი სიტყვებით დაიწყო.

სამი დღის წინათ ტოპის ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც ჰერ კლაუსი ამბობდა, რაკი ხელშეკრულების განყვეტის სურვილი არცერთმა მხარემ არ გამოთქვა, კონტრაქტი ავტომატურად 2010 წლამდე გაგრძელდა და ადვოკატი არ მჭირდებაო. და განა სამ დღეში გაირკა, რომ ჰერ კლაუსს ადვოკატი სჭირდება? არა! რა თქმა უნდა, ასე არ არის. საქმე ისაა, რომ სამი დღის წინათ ტოპმიოლერს სიტუაციის გამწვავება არ სურდა. ახლა კი საქმე სულ სხვაგვარადაა - ტოპმიოლერი იძულებული გახდა, ასეთ ხერხს მიმართოს.

"სამი დღის წინათ ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ სასამართლოში ჩივილი არ დამჭირდებოდა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ დროა, ასე მოვიქცე. ნოდარ ახალკაცი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებულია! ორშაბათამდე თუ სამწვრთნელი შტაბი არ მიიღებს დარჩენილ ხელფასს, მივმართავთ სასამართლოს, ოქტომბერში ამის შესახებ ფიფასაც შევატყობინე და თუ სასამართლოში ჩივილი გახდა საჭირო სარჩელის ასლებს მიიღებენ ფიფა, ნოდარ ახალკაცი და საქართველოს პრეზიდენტი" - ამბობს ტოპი.

ახლა კი ყველაზე მთავარი: მიზეზი!

ტოპმიოლერი: "მორჩა, ეს ხალხმაც უნდა იცოდეს! მე და ჩემს სამწვრთნელო შტაბს ჯერ კიდევ წინა კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასის ნახევარი არ აგვიღია. ხელშეკრულება ორწლიანი იყო და ერთი წლის ხელფასი ჯერაც არ აგვიღია! ვფიქრობ, ეს სერიოზული პრობლემაა, მაგრამ აქამდე ამაზე საჯაროდ საუბარი არ მსურდა. დააკვირდით: ნოემბრის შემდეგ მპირდებოდნენ, რომ ეს პრობლემა მოგვარდებოდა, თანაც დაპირება თვით გიორგი გაბაშვილისგან მივიღე. ოთხი თვის მანძილზე ეს საკითხი საჯაროდ წინა პლანზე არ წამომიწევია. ახლა კი დროა, ყველამ ყველაფერი გაიგოს. აქ ფული მთავარი არ არის, უბრალოდ, ვალდებულება ყველა მხარემ უნდა შეასრულოს. შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბით თანახმა ვიყავით, მეორე კონტრაქტში ხელფასის საკმაოდ დიდ ნაწილზე უარი გვეთქვა და ჯამაგირი წარმატების შესაბამისად აგვეღო და პრინციპში ამაზე ახლაც თანახმა ვართ, მაგრამ იმისათვის, რომ მუშაობა გაგრძელდეს, პირველი კონტრაქტი უნდა შესრულდეს!"

ჯერ კიდევ ზაფხულში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ტოპმიოლერს და მის შტაბს ხელფასი 25 სექტემბრამდე უნდა აეღოთ. დოკუმენტს ხელს აწერდნენ სპორტისა და ძეგლთა დაცვის ექს-მინისტრი გიორგი გაბაშვილი, სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა. მას მერე 6 თვე გავიდა და დაპირები დღემდე არ შესრულებულა.

ტოპი: "მას მერე იყო არაერთი შეხვედრა და არაერთი დაპირება. ამ ფაქტის გახმაურებას ვერიდებოდი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა რბილად რომ ვთქვათ, უცნაური და გაუგებარია. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს კონტრაქტს ვადა 2010 წლამდე აქვს. პირველ ხელშეკრულებაში ჩაიდო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუკი ნოემბერში გარიგებიდან გასვლას არცერთი მხარე არ ამოისურვებდა, ხელშეკრულება ავტომატურად 2010 წლამდე გაგრძელდებოდა. ასე რომ, კონტრაქტს ვადა სწორედ 2010 წლამდე აქვს. ბოლოს ხელფასი მივიღე ოქტომბერში, მაგრამ ეს იყო 2006 წლის პატარა ნაწილი."

კიდევ ერთი საკითხი, რის გამოც ტოპმიოლერი აღშფოთებულია, ფეხბურთელების დიდი რაოდენობით გამოკლებაა. კერძოდ, აღნიშნავს, რომ საორგანიზაციო საკითხები ჩემი მოსაგვარებელი არააო და შიშობს, რომ მომდევნო მატჩებში ასეთი უცნაური პრობლემების გამო შესაძლოა კიდევ უფრო მეტი მობურთალი დააკლდეს.

**გოტფრიდ ლენცი**

***რედაქციისაგან:*** *ტოპმიოლერს დღეს გამთენიისას დავუკავშირდით და ვინაიდან გაზეთის დაბეჭდვის დრო მოახლოვდა, ტოპმიოლერთან საუბრის გაგრძელებას "ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.*

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალების და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# კიდევ ერთი მოგზაურობა ყარაბაღში




ყოველისამტან ქალაღდს ბელფასტიდან მოტმასნილი ამბავიც ვერ დაამძიმებს. საინტერესო ცნობაც გაჩნდა - კლაუს ტოპმიოლერის მოხსნის საკითხი უკვე დაისვაო.

...საინტერესო, ზუსტი და დისიდენტური წიგნები ადრეც იწერებოდა, დამოუკიდებელ საქართველოშიც დაიწერა ასეთი წიგნი - "მოგზაურობა ყარაბაღში". ეს წიგნი იმაზეა, რომ ქართველები ყეყეჩები ვართ.

მერე ამ წიგნის მიხედვით ფილმის გადაღებაც მოისურვეს, მაგრამ უფრო სიუჟეტის გამო და არა სიზუსტისა და დისიდენტობისთვის. კაი ქალაქელი ბიჭები წამლის ასაღებად აზერბაიჯანში მიდიან და ყარაბახში მოხვდებიან, იქაც მაგარ საქმეებს დაატრიალებენ და შინ მშვიდობით დაბრუნდებიან. კაცობა, ჯიგრობა და თავგადასავლები - ამის გამო გადაიღეს ფილმი "მოგზაურობა ყარაბაღში".

ამაზე კაცს გული როგორ უნდა დაგწყდეს, მაგრამ ამ გემრიელი და დისიდენტური წიგნის დამწერმა მითხრა, გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის ლოგოტიპი მენტალურად საკუთარ ხალხზე მაღლა დგას, ერთი ეგ არის, ცოტა ინფანტილურიაო.

გულმა რეჩხი მიყო - ჩვენი საშველი ალბათ, არ არის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრებს კი სიმღერის გაკვეთილებზე ნაღდად არ უვლიათ, მაგრამ სიმღერის გადაკეთება კარგად შესძლებიათ - "დარია თუ ავდარია, ტოპი მაგარია", თანაც ყველაფერი ეს პოლიფონიაში.

მანამდე კი არ იყო აუცილებელი სიმღერების გადაკეთება. ალმასკომის თავმჯდომარემ და მისმა წევრებმა ეროვნული გუნდის მწვრთნელი ასეთი კრიტერიუმით შეარჩიეს - მან წყალტუბოს "სამგურალი" ერთხელ საქართველოს თასის ნახევარფინალში გაიყვანა - ასეთია ტოპმიოლერის წინამორბედის უდიდესი სამწვრთნელო მიღწევა.

ქართველები მაშინაც ყეყეჩები ვიყავით.

ტოპმიოლერს მსუყე კონტრაქტი გავუფორმეთ, ძმაც კარგად დავუსაქმეთ, თანაშემწეებიც დავუფულიანეთ, თითქმის ყველა სურვილი შევუსრულეთ და ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილიც ხახვივით შევარჩინეთ.

ქართველები ისევ ყეყეჩები გამოვდექით.

ტოპის ახალი კონტრაქტიც შევთავაზეთ და ეს ალმასკომზე ისე გადაწყდა, პატივცემულ წევრებს მწვრთნელისთვის კითხვები არც კი დაუსვამთ - ტოპმიოლერი გერმანიაში გახლდათ.

ახალკაცი-ჯუნიორი ვერ არის თავისუფალი და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღებაში, მაგრამ ალმასკომის წევრობაც ხომ არ არის ხელისუფლებისგან ვალად აღებული თანამდებობა?

ქართველების ყეყეჩობა ტოპიმაც კარგად განჭვრიტა.

და, რა იქნება მერე? ახალკაცი-ჯუნიორს რაღაცას ნამდვილად ეტყვიან, რაღაცა შეიცვლება და დაიწყება ახალი "მოგზაურობა ყარაბაღში".



## დარია თუ ავდარია, ტოპი მაგარია

კლაუს ტოპმიოლერი. ვაჟა სიმონიშვილის მეგობრული შარჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ნაკრები სტატისტიკის სარკეში

ბრიტანული „ტელეგრაფი" ჩრდილოეთ ირლანდიის და საქართველოს ნაკრებთა მატჩის დეტალურ სტატისტიკას გვთავაზობს. ჩვენთვისაც მეტად საინტერესოა მისი გაცნობა, მით უფრო, რომ ბევრმა ვერ შეძლო თამაშის ნახვა. **კეიტ გილესპიმ** მასპინძელთაგან ყველაზე კარგი შეფასება დაიმსახურა, რაც სტატისტიკიდანაც კარგად ჩანს. გილესპიმ ათბალიანი სისტემით 9 ქულა მიიღო. სამწუხაროდ, ჩვენების შეფასებით ბრიტანულ მედიას თავი არ შეუწუხებია, თუმცა სტატისტიკა კი ყოვლისმომცველია. მატჩში მასპინძელთა უპირატესობა იქიდანაც კარგს ჩანს, რომ ქართველთა შეტევისას საშუალოდ 30,38 მეტრში იდგა ირლანდიელთა დაცვის ხაზი, ხოლო პირიქითა კართან ეს მაჩვენებელი 13,94 მეტრს შეადგენს. ჩვენები მარცხენა ფლანგს უფრო იყენებდენ, როგორც დაცვაში ისე შეტევაში. ყველაზე მეტჯერ ბურთს ქართველთაგან **ლევან ცქიტიშვილი** შეეხო – 115-ჯერ. პასებში ყველაზე აკურატული იყო **ლევან სალუქვაძე**, რომლის პასების 90 პროცენტი ადრესატამდე მივიდა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პასები მას ცოტა აქვს გაკეთებული, ალვნიშნავთ ცქიტიშვილის და ყენიას ზუსტ პასებს – 82 პროცენტი. გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა დეტალურ სტატისტიკას.

## გიორგი მაკარიძე

პოზიცია: მეკარე

| | |
|---|---|
| ზუსტი პასი: | 9 |
| ბურთის შეტანა ხელით: | 5 |
| მოგებული საჰაერო ბურთი: | 1 |
| კარიდან დარტყმა ზუსტი: | 2 |
| გაშვებული გოლი: | 4 |
| სეივი: | 3 |
| სეივი ნახტომში: | 1 |
| ბურთის აღება: | 7 |

## კახა კალაძე

პოზიცია: მცველი
დარტყმა, კარში: 0,0

| | |
|---|---|
| მნიშვნელოვანი პასი: | 0 |
| პასი ფორვარდთა ზონაში: | 23 |
| ჩაწოდება: | 0 |
| ბურთის ართმევა: | 1 |
| ბურთის ამოტანა: | 9 |
| სულ პასი: | 56 |
| ზუსტი პასი: | 42 |
| ცუდი პასი: | 14 |
| პასი მარცხნივ: | 10 |
| პასი მარჯვნივ: | 1 |
| ორთაბრძოლა: | 1 |
| მოგებული: | 1 |
| ბურთის შეხო: | 88 |
| დაჯარიმდა: | 1 |

## ალექსანდრე კვახაძე

პოზიცია: მცველი
დარტყმა, კარში: 0,0

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 0 |
| ფვ. პასი: | 10 |
| ჩაწოდება: | 0 |
| ბურთის ართმევა: | 0 |
| ბურთის ამოტანა: | 8 |
| სულ პასი: | 31 |
| კარგი პასი: | 21 |
| ცუდი პასი: | 10 |
| პასი მარცხნივ: | 1 |
| პასი მარჯვნივ: | 4 |
| ორთაბრძოლა: | 1 |
| მოგებული: | 1 |
| ბურთის შეხო: | 50 |
| დაჯარიმდა: | 2 |

## ლაშა სალუქვაძე

პოზიცია: მცველი
დარტყმა, კარში: 0,0

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 0 |
| ფვ. პასი: | 25 |
| ჩაწოდება: | 2 |
| ბურთის ართმევა: | 0 |
| ბურთის ამოტანა: | 2 |
| სულ პასი: | 31 |
| ზუსტი პასი: | 1 |
| ცუდი პასი: | 3 |
| პასი მარცხნივ: | 0 |
| პასი მარჯვნივ: | 10 |
| ორთაბრძოლა: | 1 |
| მოგებული: | 1 |
| ბურთის შეხო: | 50 |
| დაჯარიმდა: | 2 |

## გიორგი შაშიაშვილი

პოზიცია: მცველი
დარტყმა, კარში: 0,0

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 0 |
| ფვ. პასი: | 14 |
| ჩაწოდება: | 0 |
| ბურთის ართმევა: | 0 |
| ბურთის ამოტანა: | 2 |
| სულ პასი: | 28 |
| ზუსტი პასი: | 22 |
| ცუდი პასი: | 6 |
| პასი მარცხნივ: | 5 |
| პასი მარჯვნივ: | 1 |
| ორთაბრძოლა: | 3 |
| მოგებული: | 3 |
| ბურთის შეხო: | 57 |
| დაჯარიმდა: | 2 |

## ალექსანდრე კობახიძე

პოზიცია: ნახევარმცველი
დარტყმა, კარში: 1,1

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 1 |
| ფვ. პასი: | 20 |
| ჩაწოდება: | 1 |
| ბურთის ართმევა: | 0 |
| ბურთის ამოტანა: | 1 |
| სულ პასი: | 26 |
| ზუსტი პასი: | 19 |
| ცუდი პასი: | 7 |
| პასი მარცხნივ: | 2 |
| პასი მარჯვნივ: | 9 |
| ორთაბრძოლა: | 1 |
| მოგებული: | 1 |
| ბურთის შეხო: | 55 |
| დაჯარიმდა: | 1 |

## დავით კვირკველია

პოზიცია: ნახევარმცველი
დარტყმა, კარში: 1,0

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 0 |
| ფვ. პასი: | 33 |
| ჩაწოდება: | 5 |
| ბურთის ართმევა: | 1 |
| ბურთის ამოტანა: | 2 |
| სულ პასი: | 43 |
| ზუსტი პასი: | 43 |
| ცუდი პასი: | 34 |
| პასი მარცხნივ: | 9 |
| პასი მარჯვნივ: | 15 |
| ორთაბრძოლა: | 0 |
| მოგებული: | 0 |
| ბურთის შეხო: | 54 |
| დაჯარიმდა: | 1 |

## ჯაბა კანკავა

პოზიცია: ნახევარმცველი
დარტყმა, კარში: 1,0

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 0 |
| ფვ. პასი: | 30 |
| ჩაწოდება: | 1 |
| ბურთის ართმევა: | 0 |
| ბურთის ამოტანა: | 0 |
| სულ პასი: | 40 |
| ზუსტი პასი: | 30 |
| ცუდი პასი: | 10 |
| პასი მარცხნივ: | 4 |
| პასი მარჯვნივ: | 9 |
| ორთაბრძოლა: | 1 |
| მოგებული: | 1 |
| ბურთის შეხო: | 62 |
| დაჯარიმდა: | 2 |

## ლევან ცქიტიშვილი

პოზიცია: ნახევრამცველი
დარტყმა, კარში: 1,1

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 0 |
| ფვ. პასი: | 52 |
| ჩაწოდება: | 0 |
| ბურთის ართმევა: | 2 |
| ბურთის ამოტანა: | 1 |
| სულ პასი: | 82 |
| ზუსტი პასი: | 67 |
| ცუდი პასი: | 15 |
| პასი მარცხნივ: | 15 |
| პასი მარჯვნივ: | 18 |
| ორთაბრძოლა: | 0 |
| მოგებული: | 0 |
| ბურთის შეხო: | 115 |
| დაჯარიმდა: | 0 |

## ლევან ყენია

პოზიცია: შემტევი ნახევარმცველი
დარტყმა, კარში: 2,0

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 2 |
| ფვ. პასი: | 38 |
| ჩაწოდება: | 2 |
| ბურთის ართმევა: | 0 |
| ბურთის ამოტანა: | 0 |
| სულ პასი: | 44 |
| ზუსტი პასი: | 36 |
| ცუდი პასი: | 8 |
| პასი მარცხნივ: | 6 |
| პასი მარჯვნივ: | 9 |
| ორთაბრძოლა: | 0 |
| მოგებული: | 0 |
| ბურთის შეხო: | 65 |
| დაჯარიმდა: | 1 |

## ალექსანდრე იაშვილი

პოზიცია: ფორვარდი
დარტყმა, კარში: 1,1

| | |
|---|---|
| მნ. პასი: | 1 |
| ფვ. პასი: | 26 |
| ჩაწოდება: | 3 |
| ბურთის ართმევა: | 0 |
| ბურთის ამოტანა: | 2 |
| სულ პასი: | 30 |
| ზუსტი პასი: | 23 |
| ცუდი პასი: | 7 |
| პასი მარცხნივ: | 3 |
| პასი მარჯვნივ: | 5 |
| ორთაბრძოლა: | 0 |
| მოგებული: | 0 |
| ბურთის შეხო: | 65 |
| დაჯარიმდა: | 0 |



ბელფასტში ნაკრებს კალაძემაც (მარცხნივ) ვერაფერი უშველა

# კლაუსზე უნდა გასამდეს?

**1. 11.06.1994 ამხანაგური: ნიგერია 5:1 საქართველო**
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**2. 06.09.1995 ევროშესარჩევი: გერმანია 4:1 საქართველო**
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**3. 24.04.1996 ამხანაგური: რუმინეთი 5:0 საქართველო**
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**4. 14.06.1997 მს. შესარჩევი: პოლონეთი 4:1 საქართველო**
მწვრთნელი: დავით ყიფიანი

**5. 19.08.1998 ამხანაგური: უკრაინა 4:0 საქართველო**
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

**6. 14.10.1998 ევროშესარჩევი: საბერძნეთი 3:0 საქარველო**
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

**7. 28.04.1999 ევროშესარჩევი: საქართველო 1:4 ნორვეგია**
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

**8. 06.06.2001 მს. შესარჩევი: უნგრეთი 4:1 საქართველო**
მწვრთნელი: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი

**9. 21.08.2002 ამხანაგური: თურქეთი 3:0 საქართველო**
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**10. 08.09.2002 ევროშესარჩევი: შვეიცარია 4:1 საქართველო**
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**11. 30.03.2005 მს. შესარჩევი: საქართველო 2:5 თურქეთი**
მწვრთნელი: ალენ ჟირესი

**12. 18.02.2004 საერთაშ. ტურნირი: რუმინეთი 3:0 საქართველო**
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

**13. 07809.2005 მსოფლიოს შესარჩევი: დანია 6:1 საქართველო**
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

**14. 12.11.2005 ამხანაგური: ბულგარეთი 6:2 საქართველო**
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

**15. 27.02.2006 საერთაშ. ტურნირი: მოლდოვა 5:1 საქართველო**
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

**16. 02.09.2006 ევროშესარჩევი: საქართველო 0:3 საფრანგეთი**
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

**17. 26.03.2008 ამხანაგური: ჩრ. ირლანდია 4:1 საქართველო**
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

საქართველოს ნაკრებმა მეჩვიდმეტე მატჩი წააგო დიდი ანგარიშით. აქედან მხოლო ორჯერ მოხდა, რომ დიდი ანგარიშით ნაგებული მატჩის შემდეგ მწვრთნელი ნაკრებს დაეთხოვა. 1998 წლის 28 აპრილს საქართველომ ნორვეგიასთან რომ წააგო, ვლადიმერ გუცაევმა პოსტი დატოვა. გუცაევს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ფეხბურთელებთან, თანაც მისი დამნიშნავი უფროსი ნოდარ ახალკაცი იმ დროისთვის გარდაცვლილი იყო.

2001 წლის 6 ივნისს ქართველებმა სტუმრად 1:4 წააგეს უნგრეთთან. მაშინ ჩვენს ეროვნულ გუნდს ყიფიანი-ძოძუაშვილის ტანდემი წვრთნიდა. ორი მთავარი მწვრთნელი ნაკრებში - ამ იდეამ არ გაამართლა. დავით ყიფიანი გადადგა, რევაზ ძოძუაშვილს კი პოსტი არ ეთმობოდა, ისევ უნდოდა გაეგრძელებინა მუშაობა ნაკრებში, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ ის მაინც დაითხოვა. ძოძუაშვილი ტელევიზიითაც გამოვიდა და სხვათა გარდა ისიც თქვა, ჩემზე ხმები დაყარეს, ნარკომანი არისო, მაგრამ ეგენი არიან ნარკომანებიო.

ყველაზე მეტჯერ დიდი ანგარიშით ალექსანდრე ჩივაძის განვრთნილი ნაკრები დამარცხდა, მაგრამ ჩივაძე არც ერთი დიდი ანგარიშით ნაგებული მატჩის შემდეგ არ გადამდგარა.

რაც ფიფა-უეფას წევრი გავხდით, საქართველოს ნაკრებში დიდი ანგარიშით არ წაუგიათ მხოლოდ სამ მწვრთნელს - იოჰან ბოსკამპს, ივო შუშაკსა და მერაბ ჟორდანიას, თუმცა ისინი ძალიან ცოტა ხნით თავკაცობდნენ გუნდს.

**დავით თავართქილაძე**



ვლადიმერ გუცაევი

### ვინ რამდენჯერ წააგო დიდი ანგარიშით

| |
|---|
| ჩივაძე - 5 |
| გუცაევი - 3 |
| ტოპმიოლერი - 3 |
| დარსაძე - 2 |
| ყიფიანი - 1 |
| ყიფიანი-ძოძუაშვილი - 1 |
| ტყებუჩავა - 1 |
| ჟირესი - 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოჰ, ეს ნაკრები

შინ წასვლას და იქიდან ყურებას ვასწრებ, ვაშაა! მატჩის ოქმს და ფოტოებს იქიდანაც გავუგზავნი რედაქციას, მეტი კი ამაღამ არაფერი მევალება. ეროვნული ნაკრები რაღაც ძალიან პირადული პრობლემასავით მგონია და შინ ჭანმარტოებით (თუ საგარეო შეხვედრაა) ცქერა მირჩევნია ათასგზის, როდესაც მარტონი ვრჩებით, მე და ცისფერ ეკრანზე „მოთამაშე" ჩვენი ნაკრები..

მაგრამ შინაც ერთი ბრძოლაა მოსაგები.. „ფეხბურთელების ცოლებს" უყურებენ, სერიალს, რომელსაც ფეხბურთთან რა კავშირი აქვს, დღემდე ვერ გამიგია. „ბრძოლას" პატრიოტული არგუმენტით ვიგებ, ჰიმნებს უნდა მოვუსმინო-თქო. გაგონილა? არ იწყება. საზოგადოებრივზე რაღაც ფილმია. დაბოლოს, მორბენალი სტრიქონიც გამოჩნდა, გაოცებული შევყურებ ბოლო მონაკვეთს „ტრანსლაცია ვერ ხერდება". ვერ ხერხდებაო?

ე, ბიჭო, ჩქარა კომპიუტერი და ინტერნეტი! ფორუმზე "ლომები" მეგულება, პირდაპირი ეთერის საყურებელი მისამართი უკვე ნანახი ექნებათ. არც შევმცდარვარ, მერე რა, რომ გამოსახულებას ხშირად ჭედავს, მოძრაობა შენელებულია, ზოგჯერ კომენტატორის ხმაც არ ისმის (ნეტა, სულ გათიშულიყო). ასე ორასამდე ვართ, შუაღამეა, მაგრამ მაინც ერთგულად ვუყურებთ „გაფუჭებულ ტელევიზორს", შევესიეთ ირლანდიელებს, რომლებიც უმალ უმცირესობაში აღმოჩდნენ. მოკლედ, ეკრანზე მარცხენა კუთხეში ვიდეოგამოსახულება ჩანს, ხანდახან ხმაც ისმის, მარჯვნივ კი ფანებს ონლაინში აზრების გაზიარება შეუძლიათ. ერთი ეგაა, თუ ჩემთან მე-15 წუთია, ზოგი უკვე მეოცე წუთს უყურებს, ზოგისთვის კი ახლალა იწყება თამაში, ინტერნეტის სიჩქარეზე და მოწოდების ხარისხზეა დამოკიდებული.

ონლაინ აზრების გაზიარება კი ამ ეტაპზე საზოგადოებრივის მამაპაპური მოკითხვით შემოიფარგლება - საზოგადოებრივმა უნდა იცოდეს, რას ფიქრობდა იმ წუთას მასზე საზოგადოება, თუნდაც ის ორასამდე ქართველი, რომელმაც შეძლო ალტერნატიული გზის გამონახვა ბედნიერი თუ უბედური ძნელი სათქმელია, უფრო მოხერხებული და ერთგული და ასი ათასობით ვინც ეს ვერ შეძლო..

კადრში ხშირად ჩანს ჩვენი ახალბედა გოლკიპერი მაკარიძე. სამწუხაროდ, სულ გვიტევენ, გვჯობიან, ჩვენი ნაკრები კი ცხვრის შეშინებულ ფარას მოგვაგონებს. ხუჭუჭა თავკაციც, სხვათა შორის.. ასე დიდ ხანს ვერ გაგრძელდება, ვფიქრობ და აი, ის ვისაც უკეთესი ინტერნეტი აქვს გვატყობინებს -0:1-ს ვაგებთ, გაგვიტანეს კადრებმა ჩემამდეც მოაღწია, სასწაულად გააბითურეს ერთ-ერთი ჩვენიანი, კარგად არ ჩანს ვინ (კანკავა ყოფილა)... გოლს გოლი მოჰყვა, ამჯერად გოლკიპერს უფრო ახლო კადრით აჩვენებენ, მიზეზიც არის. იმ გოლს კი კიდევ - გოლი, გვანადგურებენ!

ხმა დროდადრო ირთვებოდა მეთქი და ნეტა ასე არ ყოფლიყო.. კომენტატორი საქართველოს ნაკრების გაჭირვებამ და 3:0-მა საბოლოოდ აახუნტრუცა – „მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, და ჩემს გარებიძაშვილს მივულოცო მესამე ბავშის შეძენა" – უუხ, მართლა შენიი! „სასაცილოა, ქართველებს 77-ე ნომერი ჰყავთ, ეს ორი შვიდიანი რა საჭიროა". კომენტატორს მხარს უბამ ჩვენს ნერვებზე მოჩეთავე ირლანდიელიც, „ბიჭებო, ალბათ თქვენში ფეხბურთი მთავარი სახეობა არ არის, რომელია პირველი?", ვილას გააჩერებ.. ტაიმიც რჩება.

მეორე ტაიმი იწყება, რაღაცას ვფაფხურობთ (ძლივს). მაგრამ რა აცინებს ამ იდიოტ კომენტატორს ყოველთვის, როცა კადრში ჩვენი გუნდის თავკაცია? ჰოი, საოცრებავ, ირლანდიელთა კარში პენალტია ხელით ითამაშეს, ურტყამს ცქიტიშვილი. აქ ჩემმა ინტერნეტმა ისე გაჭედა, რომ მთელი კადრი უსაშველოდ გაიწელა, სამაგიეროდ დეტალურად ვნახე ყველაფერი (ღირდა!). სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არასოდეს მინახავს ასე საცოდავად გატანილი გოლი, მე თუ მკითხავთ, ნახევარ გოლად უნდა შეფასდეს, მეტად არა! საბრალო ჰილი, ალბათ პლატინისი რცხვენია ახლა..

ყველაფერ კარგსაც აქვს დასასრული და ჩემი ინტერნეტიც ვაქირელის ჯორივით დადგა. ბლოკადაა? ვრეკავ სადაც საჭიროა.. თქვენ ხართ რიგში მეოთხე (ავტომოპასუხე), გადის დრო და რიგში მეორე ვარ, მაგრამ ინტერნეტიც ჩაირთო და ყურმილს ვკიდებ. ეჰ, მატჩიც მორჩენილა. მატჩის მიწურულს კობიაშვილს საკუთარ კარში ჩაუჭრია.. რაო, კობიაშვილიო? ალბათ კობი ახლა გელზენკირხენში ლეპტოპით „შეიარაღებული" დივანზეა წამომჯდარი და ჩემზე არანაკლებ უკვირს დაბოლმილი ვარ, მაგრამ 1:4-ზე მეტად ბოლო ცვლილების გამო...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტოპმიოლერი ხშირად უნდა ჩამოდიოდეს

## ლერი სულაბერიძე მალე დაბრუნდება

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ლერი სულაბერიძე დიდ ფეხბურთში მალე მყვირალა და სასურველი საქმეებით დაბრუნდება. როგორც თავად ამბობს, ფეხბურთიდან არასდროს წასულა, მაგრამ "დიდ ავიაციაში" სამი წელიწადია არ გამოჩენილა.**

**ახლა კი ისეთი პროექტის განხორციელებას აპირებს, რომელიც ქართული ფეხბურთის აისბერგს მყარ საფუძველს ჩაუყრის და სტადიონზე მაყურებელს დააბრუნებს.**

**საქმე ეხება საჯარო სკოლებში ფეხბურთის გაკვეთილების დანერგვას და ბავშვების სტადიონზე ორგანიზებულ მიყვანას. ამ ყოველივეზე დეტალურად თავად გვესაუბრება:**

- პროექტი ქართული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გულს მიკლავს ის, რაც დღეს ეროვნულ ჩემპიონატში ხდება. სტადიონზე მაყურებელთა რაოდენობა მინიმალურამდეა დასული. მესმის, რომ მიზეზი გუნდების და ნაკრების ჩავარდნებია. ამის მიუხედავად, ვითარების გამოსწორება შეიძლება, რადგან ჩვენ ფეხბურთი გენში გვაქვს.

ბავშვები თავიდანვე უნდა შევაჩვიოთ საკუთარი უბნისა თუ რაიონის გუნდის გულშემატკივრობას. საჯარო სკოლები, უბნების ან რაიონების მიხედვით, მე-7-11 კლასელ ბავშვებს ორგანიზებულად ახლოს მდებარე გუნდების თამაშებზე წაიყვანენ. ამაში განათლების სამინისტრომ, ფეხბურთის ფედერაციამ, ქალაქის მერიამ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ და ბავშვები, ამა თუ იმ კლუბის გარშემო თავიდანვე გაერთიანდებიან.

**- სათქმელად ადვილია, მაგრამ ამის განხორციელება როგორ წარმოგიდგენიათ ?**

- ტურები დასვენების დღეებში იმართება. სტადიონთან ახლომდებარე უბნების სკოლებიდან ბავშვები სტადიონებზე ერთობლივი ძალებით უნდა მივიყვანოთ.

ძალით ვერავის წაიყვან, მაგრამ ბავშვების უმრავლესობა ფეხბურთზეა შეყვარებული და სტადიონზე უკვასოდ სიხარულით ივლიან. მათთვის ეს გართობაც იქნება, დროის გატარებაც და ერთად ყოფნის სიხარულიც. გავიხსენოთ, ბავშვობაში ჩვენც ასე არ ვიყავით?

წლების განმავლობაში კლუბისადმი ეს დამოკიდებულება გაუძლიერდებათ და ასე ჩამოყალიბდება ამა თუ იმ კლუბის გულშემატკივარი და მათი რაოდენობაც გაიზრდება. ბავშვები სტადიონზე მარტო ხომ არ ივლის, მათ მეგობარი, დედა, მამა, მეზობელი გაჰყვება და ავტომატურად თავისი ქალაქის თუ უბნის გუნდის გულშემატკივარი გახდება.

კლუბებმა კი ვალდებულება უნდა აილონ, რომ სკოლებში გაცნობითი შეხვედრები ჩაატარონ. ეს ევროპაში მიღებული პრაქტიკაა. მაგალითად, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები, კვირაში ერთხელ, დიდუბის, დიღმის ან ნაძალადევის რომელიმე სკოლას რომ ესტუმრონ, გულშემატკივრებს მარტო ამ სიახლოვით მოიმრავლებენ. ყველა ბავშვს უხარია იმ ადამიანების ახლოს ნახვა და მათთან ურთიერთობა, რომლებსაც ტელევიზორში ხედავს.

რა გგონიათ, "არსენალის", "ჩელსის"ან "ლივერპულის" ფანებად იბადებიან? იქ ერთგვარი სისტემა შექმნეს, ადამიანები სტადიონზე რომ მიიზიდონ. რეალობას კარგად ვაცნობიერებ და ვხვდები, რომ ამდენი მაყურებელი დღეს ქართულ კლუბებს არ ეყოლება, მაგრამ მუდმივი წუწუნით არაფერი გამოვა.

დღეს თუ ვინმეს არ ესმის, ხვალ და ზეგ მიხვდება, თუ რატომ წამოვიწყე ეს. ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში ვის სიამოვნებს? 14-15-16 წლის ბავშვების სტადიონზე მისვლა ფეხბურთელებისთვისაც დიდი სტიმულია და პასუხისმგებლობა გაეზრდებათ.

**- ყოველივეს ორგანიზებას საკმაოდ დიდი თანხები დასჭირდება და მას ვინ გაიღებს, თუნდაც ავტობუსის გადასაადგილებელ ხარჯებს?**

- როდესაც სახელმწიფო ფეხბურთს ასე ეხმარება, პროექტი ადვილად განხორციელდება. მთავარია, სახელმწიფოს, ფედერაციის, პროფლიგისა და თავად კლუბების ერთობლივი ძალისხმევა და ნება. ეს ყოველივე დიდ თანხებს არც მოითხოვს. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, წამოწყებით, უპირველესად, თავად კლუბები უნდა დაინტერესდნენ.

რაც შეეხება სახელმწიფო სტრუქტურებს: თბილისის მერიაში კონსულტაციები მქონდა და იდეა ძალიან მოეწონათ - რაც ბავშვებს დასჭირდებათ, დიდი სიამოვნებით დაგეხმარებითო.

**- დღეს, როდესაც ნაკრები და კლუბები სამარცხვინოდ თამაშობენ და ხალხი ფეხბურთისკენ აღარ იხედება, ბავშვები ჩემპიონატით მასიურად დაინტერესდებიან?**

- ეს ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია. როდესაც იქნება გულშემატკივარი, მოთამაშეებს მის წინაშე უფრო მეტი მოტივაცია და პასუხისმგებლობა გაუჩნდებათ. უგულშემატკივროდ დარჩენილი ფეხბურთელი, ხშირ შემთხვევაში, უპასუხისმგებლოა.

**- არ შეიძლება, ნაკრების დღევანდელ მდგომარეობაზე ფედერაციისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, პროფესიული ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებლის მოსაზრებით არ დავინტერესდეთ.**

- თუკი ტოპმიოლერის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს და კონტრაქტი გაფორმდება, მაშინ მან საქმისადმი თავის დამოკიდებულებას უნდა გადახედოს.

**- რას გულისხმობთ?**

- საქართველოში გაცილებით დიდი ხნით უნდა გაჩერდეს და ჩემპიონატს უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს. ჩვენს პირველობას ისედაც მწირი მაყურებელი ჰყავს. ასეთ დროს, ფეხბურთელებს მოტივაციის გასაზრდელად ნაკრების მთავარი მწვრთნელის თამაშებზე დასწრება ჰაერივით სჭირდებათ. ჩვენი ფეხბურთის პრობლემებშიც უკეთ გაერკვევა და ყოველდღიურ საქმიანობაშიც ჩაიხედება. თამაშზე ერთი-ორი კვირით ადრე ჩამოსვლა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. საერთოდაც, ნაკრების შედეგებზე პასუხისმგებლობა უნდა აილოს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ირლანდიელები რეპორტაჟის ჩაშლის მიზეზებს ეძებენ

"საზოგადოებრივ მაუწყებელზე" 26 მარტს გამოცხადებული პირდაპირი რეპორტაჟი ჩრდილოეთ ირლანდიასა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის ვერ ვიხილეთ. ათასი მითქმა-მოთქმის აყოლას არ ვაპირებთ, ჩვენთვის მთავარია, რეალურად რა მოხდა.

ამ კითხვაზე მეორე დღეა პასუხს ვეძებთ და დღემდე არაფერია დაზუსტებული. მატჩის ორგანიზებაზე პასუხისმგებელმა ქართულმა კომპანიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, ქართველ გულშემატკივარს შეხვედრა რომ ეხილა.

ჩვენი კოლეგები "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" თავად არიან შეწუხებულები. თამაშის ღამე მათთვის კოშმარი იყო, არ იცოდნენ, გაუთავებელ ზარებზე რა ეპასუხათ.

ჯერ არავინ ჩქარობს ოფიციალურად განაცხადოს, მაგრამ როგორც გვითხრეს, ქართული მხარე არაფერ შუაშია. ირლანდიელები არკვევენ, სიგნალმა საქართველომდე რატომ ვერ მიაღწია.

თუმცა სანამ ყველაფერი არ დაზუსტდება, მანამდე საჯარო განცხადებებს ყველა ერიდება.

თავად ირლანდიელები დროს ითხოვენ, რომ ყველაფერი გაარკვიონ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# კობიაშვილმა ვარჯიში განაახლა

ზოგჯერ შეცდომა პოპულარულ ვებგვერდებსა და გამოცემებსაც მოსდით. ჩრდილოეთ ირლანდია-საქართველოს ამხანაგური მატჩისას "ბი-ბი-სი"-მ კობიაშვილი მატჩის რეპორტაჟისას ჩვენი ეროვნულის სასტარტო შემადგენლობაში დაასახელა, ხოლო livescore-მა (გუშინაც არ იყო ეს შეცდომა გასწორებული) ჩვენი ნაკრების კარში გატანილი ბოლო გოლი **ლევან კობიაშვილს** ჩაუთვალა ავტოგოლად.

"კიკერმა" და "შალკეს" ოფიციალურმა ვებგვერდმა კი გუშინ სასიხარულო ინფორმაცია გაარცელეს - ლევან კობიაშვილმა ვარჯიში განაახლა.

*"გარკვეული პაუზის შემდეგ, ხუთშაბათს ლევან კობიაშვილმა კვლავ გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა. შეგახსენებთ, რომ კობიაშვილმა ბუნდესლიგის ბოლო ორი მატჩი გამოტოვა, "დუისბურგთან" (2:1) და "ჰერტასთან" (2:1). პარასკევს "შალკეს" კიდევ მარსელ ბორდონი და მლადენ კრსტაიჩიც შეემატება", - წერენ გერმანულები.*

**დავით ცაბაძე**



# ახალაია ოლიმპიიდან გაუშვეს

ᲘᲧᲝ დრო, **ლადო ახალაია** ქართული ფეხბურთის იმედად ითვლებოდა. **ივო შუშაკის** ფორმაციის თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე საქართველოს ნაკრებშიც მიიწვიეს.

მერე შვეიცარიაში, "ციურიხში" სასურველ კონტრაქტს გამოჰკრა ხელი და როგორც ხშირად ხდება, წინსვლის ნაცვლად, კარიერის დასამარებისკენ წავიდა.

სამწუხაროდ, დღეს უკვე ქართული ფეხბურთის იმედიც აღარ არის, არა თუ კერძო ფეხბურთელების. ახალაიამაც უდაო ტალანტი ვერ გამოიყენა და ბოლო პერიოდში, მოლდოვის ერთი კლუბიდან მეორეში მოგზაურობდა. ერთი თვის წინ ბელცის "ოლიმპიაში" ჩაირიცხა, ორი შეხვედრაც ჩაატარა, მაგრამ რად გინდა...

ინტერნეტ-გაზეთ "ცისოკერის" რედაქტორმა **მირონ გოიხმანმა** გვაცნობა, რომ ქართველი თავდამსხმელი "ოლიმპიიდანაც" გამოუშვეს.

"მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. ამდენად, მე არაოფიციალური ცნობები მოვიპოვე. როგორც კლუბიდან მაცნობეს, გაუშვეს, რადგან მისი სამსახური საჭიროდ აღარ ჩათვალეს. ახალაიამ სულ ორი შეხვედრის გამართვა მოახერხა, ისიც შეცვლაზე თავი ვერ გამოავლინა ბელცის "ოლიმპიის" ხელმძღვანელობისა და მწვრთნელის იმედები ვერ გაამართლა და მასთან განშორება ამჯობინეს." - გვითხრა გოიხმანმა.

თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ლადო ახალაიას გაშვებას ჯერ კლუბის პრესსამსახური ოფიციალურად არ ადასტურებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალური განცხადება

# ტოტი: ოქროს ბურთი? ჩაწყობილია

ამერ უკვე რამდენი წელია, **ფრანჩესკო ტოტი** "ოქროს ბურთს" ამაოდ ელის. "პუპონეს" არაერთი წარმატებული სეზონი ჰქონია, "რომა" იტალიის ჩემპიონიც გამხდარა, მაგრამ დიდ კაპიტანთან "ოქრო" არა და არ "მიდის". მაგრამ ელემენტარულია, რომ ამ უპოპულარულეს ნომინაციაზე წარადგენენ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც, საშინაოს გარდა, საერთაშორისო წარმატებებიც სდევთ თან. "ჯალოროსი" კი ამ ფრონტზე ჯერჯერობით, ვერაფერს აღწევს. მიმდინარე სეზონში **ლუჩანო სპალეტის** გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია. "რომამ" ჩემპიონთა ლიგიდან თვით "რეალი" გამოთიშა. შემდეგი გაჩერება "მანჩესტერ იუნაიტედია" და თუ "მგლებმა" ეს ბარიერიც გადალახეს, მაშინ ნამდვილად არის შანსი, რომ ლიგაც მოიგონ. ეს კი ტოტის დამსახურების გარეშე არ იქნება, შესაბამისად, ის "ოქროს ბურთის" ლაურეატობის ურეალურესი კანდიდატი გახდება...


ტოტი ბრალს სდებს...

მანამდე კი ტოტი სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, "ოქროს ბურთის" მფლობელის შერჩევის პროცესი ჩაწყობილია, მაგალითად კი **რაული** მოჰყავს: *"ფაქტი, რომ ისეთ დიდ ფეხბურთელს, როგორიც რაულია, "ოქროს ბურთი" არასოდეს ღირსებია, ბევრ რამეზე მეტყველებს. მიჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ეს ყველაფერი ჩაწყობილია და გამარჯვებულიც წინასწარაა ცნობილი".*

ისე, ტოტის განცხადებაში არის რაღაც ლოგიკა. რაული ხომ მთავარი გმირი იყო იმ წარმატებებისა, რასაც "რეალმა" 1999, 2000 და 2002 წელს ევროსარბიელზე მიაღწია. ამასთან, რაული ჩემპიონთა ლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირიც გახლავთ. მოდით, ისევ ტოტის არგუმენტებს მოვუსმინოთ:

*"წარმოუდგენელი უსამართლობაა, რომ ფეხბურთელს ერთ სეზონში 20 ან 30 გოლი გაჰქონდეს, იგებდეს ჩემპიონთა ლიგასა და ზედაც საკუთარი ქვეყნის პირველობას, მაგრამ ბოლოს მაინც "ოქროს ბურთის" გარეშე რჩებოდეს. მიმაჩნია, რომ 2000 წელს, მე პირადად, საამისოდ საუკეთესო შანსი მქონდა. იმ წელს "რომა" სკუდეტოს დაეუფლა, კარგად ვითამაშეთ ჩემპიონთა ლიგაშიც და მისი მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ არ ვიცი, თავად კიდევ რა უნდა გამეკეთებინა იმისთვის, რომ "ოქროს ბურთი" მოეცათ".*

ისე, მართლაც და... მაგრამ ერთიცაა, რომ თუ ჩაწყობაზეა საუბარი, ეს უფრო წონადი არგუმენტით უნდა გაამყარო. ტოტის კი ამგვარი არგუმენტი არ გააჩნია. ეჭვი? ეჭვი საბუთი არ არის. ასეთი ეჭვი ყველას გვაქვს. ზოგი იმასაც ამბობს, ჩემპიონთა ლიგაც ჩაწყობილია, წინასწარ იციან, ამა თუ იმ წელს ვინ უნდა მოიგოსო...

მოსალოდნელი ტრანსფერები

# იაკვინტა იქით, მანსინი აქეთ

## რომას დი ნატალეც უნდა, ნედვედი კიდევ ერთი წლით რჩება, კამორანეზიც ახალ კონტრაქტს აფორმებს


ვინჩენცო იაკვინტა


ამანტინო მანსინი

"ტუტოსპორტის" ინფორმაციით, "იუვენტუსი" და "რომა" გაცვლითი ოპერაციისთვის ემზადებიან. ტურინელებს "ჯალოროსის" გარემარბი **ამანტინო მანსინი** აინტერესებთ, "რომას" კი **ვინჩენცო იაკვინტა** სდომებია. "იუვე" ბრაზილიელს დიდი ხანია უმიზნებს. ფეხბურთელს **ლუჩანო სპალეტისთან** დაძაბული ურთიერთობა აქვს. მანსინი "ოლიმპიკოზე" 2003 წლიდან თამაშობს. მისი კონტრაქტი მომავალ წელს იწურება. კლუბი და მოთამაშე ხელშეკრულების გაგრძელებაზე ვერ თანხმდებიან. მანსინის ფინანსური პირობები არ აკმაყოფილებს. მეორე მხრივ, სპალეტისთვის უფრო მისაღები ვარიანტია იაკვინტა, რომელსაც "უდინეზედან" იცნობს. "რომაში" მისვლისთანავე, მან რამდენჯერმე დააყენა ყოფილი შეგირდის შეძენის საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. ტურინში კი მიაჩნიათ, რომ მანსინი "ქალბატონის" თავდასხმას მეტ ცეცხლსა და ფანტაზიას შემატებს.

იაკვინტა "იუვეში" თავს დაჩაგრულად გრძნობს. ის მეორე პლანის ფორვარდია **დავიდ ტრეზეგესა** და **ალესანდრო დელ პიეროს** შემდეგ. ვინჩენცოს საშუალოდ 20-25 წუთი უწევს თამაში და ისიც შეცვლებზე, ძირითადში კი მხოლოდ მაშინ ხვდება, როცა სათასო მატჩია, ან ტრეზეგე და დელ პიერო ტრავმირებულები არიან. ამავე დროს, ძნელია იმის თქმა, თითქოს "ჯალოროსიში" დალხენილი ცხოვრება ექნება. სპალეტი ძირითადად ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს. ეს არის **ფრანჩესკო ტოტი**, რომელსაც სასტარტოში ადგილს ვერავინ შეეცილება. შეტევითი ოპერაციებისთვის მწვრთნელს **როდრიგო ტადეი, მირკო ვუჩინიჩი** და **ლუდოვიკ ჟიულიც** ჰყავს. ასე რომ, ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, იაკვინტას აქაც დიდი ბრძოლა მოუწევს ძირითადში დამკვიდრებისთვის. მაგრამ მას ერთი უპირატესობაც შეიძლება ჰქონდეს: ამასწინათ, სპალეტიმ აღიარა, რომ ფიზიკურად ძლიერი ცენტრფორვარდი სჭირდება. ბოლო ინფორმაციით, "რომას" თავკაცი კიდევ ერთი ყოფილი შეგირდით, უდინეზელი **ანტონიო დი ნატალეთიც** ყოფილა დაინტერესებული...

■■■

ამასობაში, ირკვევა, რომ **პაველ ნედვედი** "იუვენტუსთან" კიდევ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ჩეხი ნახევარმცველი ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებდა. მან უკვე დატოვა ეროვნული ნაკრები, მაგრამ ეტყობა, საკლუბო ფეხბურთი არ ეთმობა და წასვლაც ამიტომ გადაიფიქრა. მიმდინარე ხელშეკრულება მას ამ სეზონის ბოლოს ეწურება. ესეც არ იყოს, პაველს დარჩენას "იუვეს" მესვეურებიც სთხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ 35 წლისაა, ნედვედი ნორმალურ სეზონს ატარებს და ამას ყველა ხედავს. თანაც, ჩეხს უნდა, მომავალ წელს კიდევ ერთხელ ითამაშოს ჩემპიონთა ლიგაში...

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ტურინულ გრანდთან კონტრაქტს აგრძელებს **მაურო კამორანეზიც**. მის ახლანდელ ხელშეკრულებას ყავლი 2010 წელს გასდის. როგორც "იუვეს" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** აცხადებს, ფეხბურთელთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების თაობაზე. სეკოს არგუმენტად მოჰყავს კამორანეზის ბრწყინვალე სათამაშო კონდიციები და კლუბისადმი ერთგულება.

# უკვე დროგბამაც აღიარა: ინტერი

## მანჩინის ალტერნატივად პრანდელიც დასახელდა

**დიდიე დროგბას** "ინტერში" მოსალოდნელ გადასვლასთან დაკავშირებით გუშინდელ ნომერში ვწერდით. ამ ტრანსფერის გასაღები **ჟოზე მოურინიოა**, რომელიც მომავალი სეზონიდან "ნერაძურის" მთავარ მწვრთნელად შეიძლება დაინიშნოს. დროგბა ლამის ერთადერთი ფეხბურთელი იყო, ვინც "ჩელსიდან" მოურინიოს იძულებითი აბარგება საჯაროდ გააპროტესტა. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჟოზემ მილანში ერთგული შეგირდიც იახლოს. ეჭვია, რომ **მასიმო მორატისთან** საიდუმლო მოლაპარაკებების დროს, რაზეც ასევე ამ კვირაში ვწერდით "ტუტოსპორტზე" დაყრდნობით, მოურინიომ ერთ-ერთ პირობად სწორედ დროგბას შეძენა წამოაყენა...

და აი, "კორიერე დელო სპორტის" გუშინდელი გამოცემა ამტკიცებს, რომ კოტდივუარელმა ფორვარდმა "ინტერში" გადასვლის თაობაზე უკვე თანაგუნდელებსაც ამცნო. შესაძლოა, იტალიის ჩემპიონს მისი ყიდვის სურვილი კიდევ უფრო გაუღვივა "ჩელსი"-"არსენალის" საკვირაო მატჩმაც, რომელშიც თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა და გუნდს ტიტულის მოგების შანსი შეუნარჩუნა.

სხვათა შორის, დროგბა "მილანის" სამიზნეცაა და "ინტერისთვის" ეს თავისთავად დამატებითი მოტივაციაა, რომ მოსისხლე მტერს კოვზი ნაცარში ჩაუგდოს. გუშინვე დასახელდა ის თანხაც, რომელიც აფრიკელი ფეხბურთელი მსურველმა კლუბმა უნდა გადაიხადოს: 18 მილიონი გირვანქა. თუმცა ჯერჯერობით, ორ კლუბს შორის მოლაპარაკებები არ დაწყებულა.

დროგბა "ინტერს" **ადრიანოს** შემცვლელად სჭირდება. კლუბი ალბათ გაყიდის უდისციპლინო ბრაზილიელ ფორვარდს, რომელიც იანვრიდან "სან პაულოშია" განათხოვრებული და მისი დაბრუნების სურვილი ჯერ არავის გამოუთქვამს. არ არის გამორიცხული, მორატი **ერნან კრესპოსაც** შეელიოს და კოტდივუარელის საყიდელი თანხა ამ გზით "შეაკოწიწოს".

ბოლოს კი, რაკი მწვრთნელის თემასაც შევეხეთ, ისიც ვთქვათ, რომ მოურინიოსა და **რაფა ბენიტესის** (ამ ვარიანტზეც უკვე გამცნეთ) გარდა, **რობერტო მანჩინის** პოტენციურ შემცვლელთა რიგებს "ფიორენტინის" დამრიგებელი **ჩეზარე პრანდელიც** შეუერთდა. ეს ინფორმაციაც "კორიერე დელო სპორტს" ეკუთვნის.


დიდიე დროგბამ კარტები გახსნა

სამწვრთნელო სვლები

# ბენფიკას დონადონიც უნდაო

"კორიერე დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ მომავალი სეზონიდან "ბენფიკა" კონტრაქტს გაუფორმებს **რობერტო დონადონის**, რომელიც ევრო 2008-ის შემდეგ იტალიის ნაკრებს დატოვებს. მოგეხსენებათ, დონადონისა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას შორის ხელშეკრულების განახლებაზე მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. "ფედერკალჩოს" ურჩევნია, ეს პროცედურა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადადოს. სხვათა შორის, ერთი კვირის წინ თავად დონადონიმ უარყო ფედერაციის ასეთი შეთავაზება: დაიდოს ახალი ხელშეკრულება ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, მაგრამ თუ ნაკრები ჩაფლავდება, კონტრაქტი ავტომატურად შეწყდეს...


ნავა დონადონი ბენფიკაში?

კონტრაქტის განახლება თუ შეწყვეტა "სკუადრა აძურას" საევროპო შედეგებზე იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, ფედერაციას ვარირებისთვის მეტი საშუალება რჩება. შესაძლოა, ნაკრებისთვის სულაც ახალი მწვრთნელი შეიგულონ. ამასწინათ ვწერდით, რომ დონადონის რეალურ ალტერნატივად **კარლო ანჩელოტი** განიხილება. მართალია, კარლეტომ ეს კატეგორიულად უარყო (შეიძლება, კოლეგიალობიდან გამომდინარე), მაგრამ პრაქტიკამ ხომ არაერთი მსგავსი მაგალითი იცის, როცა ქვას ააგდებენ, თავს შეუშვერენ და მერე კი ყველაფერი ისე ხდება, როგორც პრესაში იწერებოდა...

ერთი სიტყვით, დონადონის მომავალი გაურკვეველია. თუმცა ის უკვე იღებს წინადადებებს ევროპის სხვადასხვა კლუბისგან. როგორც ზემოთ ვთქვით, ერთ-ერთი მათგანი "ბენფიკაა". ლისაბონური გრანდი წარუმატებელ სეზონს ატარებს. აქედან გამომდინარე, კლუბში სერიოზული გადაადგილებები იგეგმება. ორიოდ დღის წინ ვწერდით, რომ პრეზიდენტ **ფელიპე ვიეირას** მაგიდაზე ამბიციური პროექტი უდევს. სპორტულ დირექტორად ლეგენდარული **ლუი კოშტა** ინიშნება, მთავარ მწვრთნელად კი **კარლურ კეირუშს** იწვევენ. მაგრამ კეირუში "მანჩესტერ იუნაიტედშიც" ბედნიერია და თავის ყულფში გაყოფა არ სურს. ბოლო ინფორმაციით, სერ **ალექს ფერგიუსონის** თანაშემწეს თანამემამულეებისთვის უარიც შეუთვლია. სწორედ ამის მერე, "ბენფიკას" ხელმძღვანელობამ მზერა დონადონის მიაპყრო. თუ ეს პროექტი შედგა, განმეორდება 2004 წელი, როცა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ "ბენფიკას" სათავეში იტალიელი **ჯოვანი ტრაპატონი** ჩაუდგა.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

ბარსელონა

# ლაპორტა ბენიტესს იწვევს

## რონალდინიოს კი მისი ძმა პორტუ ალეგრესკენ ექაჩება

დიახ, **რაფა ბენიტესი** "ბარსელონის" უპირველესი სამიზნეა. "დიარიო მარკა" სრული კატეგორიულობით ამტკიცებს, რომ კატალონიური გრანდი პირველ რიგში სწორედ "ლივერპულის" მწვრთნელის გადაბირებაზე იმუშავებს. როგორც ირკვევა, ბენიტესი **ჟოან ლაპორტას** ფავორიტია. პრეზიდენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ **ფრანკ რაიკაარდი** გაათავისუფლოს და მისი თანამდებობა სენიორ რაფას ჩააბაროს. "ბარსას" ხელმძღვანელები ჰოლანდიელი მწვრთნელის მიღწევებს ჯეროვნად აფასებენ. ხხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან რაიკაარდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობის განმავლობაში გუნდმა ფაქტობრივად ყველა ტიტული მოიპოვა, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა. თუმცა ბოლო ორი სეზონია მსოფლიო ფეხბურთის გრანდი დაღმავალი გზით მიდის. ამ გარემოებამ ლაპორტა ერთ დასკვნამდე მიიყვანა. რაიკაარდმა "ბარსელონაში" საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა. ამიტომ, "ბარსას" ხელმძღვანელობამ ბატონი ფრანკისთვის გულითადი მადლობის გადახდა და მისი გაცილება გადაწყვიტა. არასტაბილურობა, რომელიც ბოლო დროს გუნდის მუდმივი თანამგზავრი გახდა ხელმძღვანელობის უკიდურეს უკმაყოფილებას იწვევს. უკმაყოფილებამ განსაკუთრებით მას შემდეგ იმატა, რაც "ბარსა" "კამპ ნოუზე" მოსისხლე მტერ "რეალთან" დამარცხდა. მას შემდეგ კატალონიელებმა გაცილებით მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე გუნდებთანაც მრავალი ქულა გაფლანგეს. მოკლედ, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ლაპორტას რაიკაარდის გადაყენების მიზეზი აშკარად აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა, ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტის გაშვება ვივარაუდოთ. ეს, ალბათ, დროის საკითხია. რაიკაარდის ერთადერთი შანსი პრიმერა დივიზიონში, ან ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება შეიძლება გახდეს. წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ უამრავი პრობლემით დამძიმებული გუნდისგან ასეთი წარმატების მიღწევა ნაკლებსავარაუდოა. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოგვიწევს გამეორება, რაიკაარდის გაშვება დროის საკითხია. ახლა მთავარია, ლაპორტა და მისი თანამშრომლები ახალი მთავარი მწვრთნელის არჩევანში არ შეცდნენ. გასული კვირების განმავლობაში, ყველაზე რეალურ კანდიდატად **ჟოზე მოურინიო** მიიჩნეოდა, მაგრამ გუშინ "დიარიო მარკაში" ბენიტესის გვერმა გაიჟღერა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მადრიდული გამოცემა მას "ბარსას" უპირველეს სამიზნედ ასახელებს. რატომ მაინც და მაინც ბენიტესი? ბუნებრივია, ლაპორტას საკუთარი არგუმენტები ექნება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ სენიორ ჟოანს ამ საკითხზე ოფიციალურად ჯერ არ უსაუბრია, რა თქმა უნდა, არგუმენტებსაც ვერ ჩამოთვლიდა. პრინციპში, პრეზიდენტს ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი დეტალის გამომზეურება არც შეუძლია. ბენიტესი იმდენად ცნობილი სპეციალისტია, რომ მის შესახებ, ფაქტობრივად, ყველაფერი ცნობილია. გონება რომ დავძაბოთ და ძალიან მოვინდომოთ, "ლივერპულის" თავკაცის უამრავ კარგ თვისებას ჩამოვთვლით, თუმცა მეტისმეტად დიდი დრო რომ არ დაიხარჯოს, მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესო თვისებებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ესენია: პროფესიონალიზმი, გუნდის მართვის ფანტასტიკური უნარი, ვარსკვლავებით დახუნძლულ კლუბში რკინისებური დისციპლინის დამყარება, თანამედროვე ფეხბურთის სრულფასოვანი ცოდნა. ამ კაცის ღირსებების ჩამოთვლა მართლაც დაუსრულებლად შეიძლება. როგორც ჩანს, ლაპორტას სწორედ თანამედროვე საფეხბურთო მსოფლმხედველობის მქონე სპეციალისტის ხილვა სურს. 21-ე საუკუნეში ფეხბურთი, ფაქტობრივად, ყოველთვიურად იცვლება, თამაში მეტ დინამიკას იძენს და ამ ცვლილებებს ალღოს თუ ვერ აუღებ, აუცილებლად ჩრდილში მოექცევი. სხვათა შორის, რაიკაარდს სწორედ ამ დინამიკასთან ჩამორჩენას საყვედურობენ. ფაქტია, ბოლო ორი წელია, კატალონიური გრანდი პრაქტიკულად უცვლელი ტაქტიკით ასპარეზობს. 4-3-3 შეტევისმოყვარული გულშემატკივრების გემოვნებას პასუხობს, მაგრამ ეს პანაცეა ნამდვილად არ არის. მთავარია, ლამაზად ითამაშო და გაიმარჯვო და ამისთვის, თავდასხმაში 1 კაცს დააყენებ, თუ ხუთს, დიდად არავინ შეგეწინააღმდეგება. ერთი სიტყვით, "ბარსელონის" ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ რაფა ბენიტესი უფრო ფართო თვალსაწიერის მქონე სპეციალისტია და მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემთხვევაში "ბარსას" თამაშს უფრო მრავალფეროვანს გახდის. შესაძლოა, ვინმეს არასერიოზულად მოეჩვენოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ბენიტესისა და რაიკაარდის ბოლო დუელი ესპანელის გამარჯვებით დასრულდა. გახსოვთ, შარშან "ლივერპულმა" "ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გამოაგდო.

"დიარიო მარკას" თუ დავუჯერებთ, ლაპორტას ემისარი ლივერპულში იმყოფებოდა და სენიორ რაფას პირადად შეხვდა. ძნელია იმ შეხვედრაზე საუბარი, რომელსაც ორ კაცზე მეტი არავინ დასწრებია და ის ორი კაციც ხმას არ იღებს ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ "მარკა" მაინც ამტკიცებს, რომ ბენიტესმა ლაპორტასთან მოლაპარაკებების დაწყების სურვილი გამოთქვა. არადა, ესპანელი სპეციალისტი "ლივერპულში" ისეთი მონდომებით მუშაობს, კაცი იფიქრებს, "ენფილდიდან" აბარგების იდეასაც კი არ მოისმენსო. თუმცა, ფაქტია, ბენიტესი ესპანურ საფეხბურთო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. გუშინდელი ინფორმაციით სენიორ რაფასთან თანამშრომლობის სურვილი "ატლეტიკოსა" და მის ყოფილ კლუბს, "ვალენსიასაც" გაუჩნდათ. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია ინგლისურმა პრესამ გამოაქვეყნა. ბრიტანული გაზეთების თქმით, მწვრთნელის მენეჯერს, **მანუელ გარსია კილიონს** ლაპორტას ემისრის მსგავსად "როხიბლანკოსა" და "ღამურების" წარმომადგენლებიც შეხვდნენ, თუმცა მათი საუბრის დეტალებიც უცნობი დარჩა.


რაფა ბენიტესი, ბარსას უპირველესი სამიზნე

ამასობაში, **რონალდინიოსთან** დაკავშირებით მორიგი ცნობა გავრცელდა. სიმართლე გითხრათ, პირადად ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა და მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება ნაკლებსავარაუდოდ მიგვაჩნია, მაგრამ ვალდებულები ვართ, სიახლე, რომელსაც დღეს მთელი საფეხბურთო მსოფლიო გაეცნობა, ჩვენი გაზეთის მკითხველების სამსჯავროზეც გამოვიტანოთ. მაშ ასე, რონალდინიოს კარიერის გაგრძელების ფრიად საინტერესო პერსპექტივა გამოუჩნდა. გავრცელებული ხმების თანახმად, "ბარსელონის" ხელმძღვანელობა მზადაა, ბრაზილიელი ფეხბურთელი სეზონის დასრულების შემდეგ სულ რაღაც 18 მილიონ ევროდ დათმოს... ორი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, რომლის სანაცვლოდაც ევროპული გრანდები კატალონიელებს 100 მილიონ ევროზე მეტს სთავაზობდნენ ამდენად გაიაფდებოდა... მაგრამ რონალდინიომ ყველაფერი დაკარგა, რის გამოც მილიონობით გულშემატკივრის სიყვარულს იმსახურებდა. ეტყობა, ლაპორტაც მიხვდა, რომ რონალდინიოში დღეს ათეულობით მილიონს აღარავინ გადაიხდის. ამიტომ, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით არცთუ სოლიდური სატრანსფერო თანხა დასახელდა. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ ინფორმაციას ყველაზე ადრე თავად გაუჩოს ძმა, **რობერტო დე ასისი** გამოეხმაურა. მოგეხსენებათ, ეს კაცი რონალდინიოს მენეჯერია. სხვათა შორის, დე ასისი ბრაზილიური კლუბის, "პორტუ ალეგრეს" ერთ-ერთი მოწილეცაა. ჰოდა, სამხრეთამერიკელმა საფეხბურთო ფუნქციონერმა საკუთარი ძმის, საკუთარ კლუბში წაყვანა მოისურვა. სეუ რობერტო ამ ინიციატივას რონალდინიოსთან საუბრისა და მისი მოსაზრების გაგების გარეშე ალბათ, არ წამოაყენებდა. და რადგან წამოაყენა, უნდა ვივარაუდოთ, რომ "პორტუ ალეგრეში" გადასვლის საქმე ოჯახში სერიოზულად იქნა განხილული. ერთი შეხედვით, რონალდინიოსთვის ბრაზილიაში დაბრუნება მიუღებელი სულაც არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, თამაშის დღევანდელი ხარისხით, რომელიმე ევროპული გრანდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის ძალიან მცირე შანსი აქვს. თუმცა, როგორც ამბობენ, გარკვეული შეთავაზებები მაინც გააჩნია... მაგალითად, გუშინ ბრიტანულ პრესაში დაიწერა, რომ ბარსელონელს კვლავ "ჩელსი" ეპატიჟება. რეზიუმეს სახით იმის თქმა შეიძლება, რომ არჩევანი თავად გაუჩომ უნდა გააკეთოს. თუ ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ უწინდებულ კონდიციებს დაიბრუნებს, მაშინ რა თქმა უნდა, ბებერ კონტინენტზე უნდა დაჩეს. ხოლო თუ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება და ამას საკუთარ თავთან მარტო დარჩენისას აღიარებს, აშკარად უკეთესი იქნება კარიერა "პორტუ ალეგრეში" გააგრძელოს. ასეა თუ ისე, რონალდინიოს მომავალს სეზონის დასრულების შემდეგ მოეფინება ნათელი...

"ბარსელონაზე" საუბარს **პუიოლის** ტრავმაზე საუბრით დავასრულებთ. საქმე ის არის, რომ იტალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში "ბარსას" კაპიტანმა მარცხენა კოჭი იტკინა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. პუიოლმა მოედანი პირველივე ტაიმში დატოვა. გუშინ ის საკუთარ კლუბში დაბრუნდა და უმალ სამედიცინო კაბინეტში გამოცხადდა. ექიმებმა დაადგინეს, რომ საგანგაშო არაფერია, თუმცა უტყუარი დიაგნოზის დასადგენად პაციენტს დღეს საგულდაგულო კომპიუტერულ გამოკვლევას ჩაუტარებენ. ამ ეტაპზე "ბარსას" ექიმები პირდაპირ ამბობენ, რომ კარლესის პრიმერა დივიზიონის მომავალ ტურში თამაში ძალიან საეჭვოა. თავად ფეხბურთელი კი "ბეტისთან" ასპარეზობის იმედს მაინც არ კარგავს და პირობას დებს, რომ მოედანზე გასვლის შემთხვევაში თავს არ დაზოგავს...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბაიერნი

# ჰამითისთვის სეზონი მორჩა!

## თურქმა ნახევარმცველმა, შეიძლება, ევროპის ჩემპიონატზეც ვერ ითამაშოს

"ბაიერნის" გულშემატკივრებმა გუშინ მეტად არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს: რეკორდმაისტერის თურქმა ნახევარმცველმა **ჰამით ალთინთოფმა** მძიმე ტრავმა მიიღო და ბავარიულ გრანდს სეზონის ბოლომდე ველარ დაეხმარება! ჰამითი თურქეთისა და ბელორუსის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში (2:2) დაშავდა და საოპერაციო გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლაზარეთში დაახლოებით 2 თვეს გაატარებს.



ჰამით ალთინთოფი

*"ეს ჩვენთვის უდიდესი დარტყმაა. ბოლო დროს ალთინთოფი გუნდის შეუცვლელ ფიგურად იქცა და მისი არყოფნა "ბაიერნს" ძალიან დაეტყობა. სამწუხაროა, რომ სანაკრებო პაუზამ ასეთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გამოგვაკლო,"* - ეს ბავარიელთა მთავარი მწვრთნელის, **ოტმარ ჰიტცფელდის** სიტყვებია.

25 წლის ალთინთოფმა, რომელმაც "ბაიერნს" გასულ ზაფხულს, "შალკედან" უფასოდ (გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა) მიაშურა, მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგის ეგიდით 23 მატჩი ჩაატარა ("კიკერის" საშუალო შეფასება 2.34), 3 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი გააკეთა. ჰამითი საკმაოდ შედეგიანი იყო უეფას თასზეც, სადაც 9 თამაშში 3 გოლს მოუყარა თავი. ორთვიანი იძულებითი პაუზა ალთინთოფისთვის იმას ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონატზე მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშაა. შეგახსენებთ, რომ თურქეთის ნაკრებს ევრო 2008-ს ჯგუფურ ეტაპზე პორტუგალიასთან, ჩეხეთთან და მასპინძელ შვეიცარიასთან ექნება საქმე.

# აზერბაიჯანში ფოგთსი ინიშნება

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ელხან მამედოვმა** განაცხადა, რომ გერმანელ სპეციალისტ **ბერტი ფოგთსთან** კონტრაქტი, სავარაუდოდ, 10 აპრილს გაფორმდება. ფოგთსი ლიტვა-აზერბაიჯანის ამხანაგურ მატჩს დაესწრო და მუშაობაზე წინასწარი თანხმობაც მაშინ განაცხადა. მომავალი კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია. გარკვეულია, რომ ფოგთსი აზერბაიჯანის ნაკრებს მუნდიალის საკვალიფიკაციო ციკლის ბოლომდე უხელმძღვანელებს. ბოლოს ის ნიგერიის ნაკრების თავკაცი იყო. საყურადღებო დეტალი: ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, გერმანელმა თვეში ორი კვირა მაინც აზერბაიჯანში დაჰყოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# ესპანეთმა ვილიას დიდი გოლით მოიგო

## პირენეელები მსოფლიო ჩემპიონების დამარცხებით ხარობენ

**ესპანეთი-იტალია 1:0**

ესპანეთი: კასილიასი, სერხიო რამოსი (76. არბელოა), მარჩენა, პუიოლი (17. ალბიოლი), კაპდევილა, სენა (58. ჩაბი ალონსო), ინიესტა, ჩავი, ფაბრეგასი (67. ლუის გარსია), სილვა (58. რიერა), ფერნანდო ტორესი (46. ვილია).

იტალია: ბუფონი, პანუჩი (67. ძამბროტა), მატერაცი (46. ბარძალი),

კანავარო, გროსო, კამორანეზი, დე როსი, პირლო (46. გატუზო), პეროტა (60. აკვილანი), დი ნატალე (75. იაკუინტა) ტონი (46. ბორელიო).

გოლი: 1:0. ვილია (78)

**დავიდ ვილიას** გენიალურმა დარტყმამ ესპანეთს იტალიასთან ამხანაგურ მატჩში გამარჯვება მოუტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირენეელებმა ამხანაგურ შეხვედრაში მოპოვებული წარმატებით არაბუნებრივად დიდად გაიხარეს. რა თქმა უნდა, ამას ერთადერთი ფაქტი განაპირობებდა. "სელექსიონმა" მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს მოუგო. ამ წარმატებამ საზოგადოება იმდენად გაახარა, რომ მატჩის შემდეგ **რაული** აღარავის უხსენებია... მასპინძლები პირველ ტაიმში სერიოზულ პრობლემებს გადაეყარნენ. "სკუადრა აძურა" საკმაოდ სოლიდურად თამაშობდა. სტუმრებს ანგარიშის გახსნის შანსი არაერთხელ მიეცათ, მაგრამ მათ ფატალურად არ უმართლებდათ. ერთ-ერთ ეპიზოდში **იკერ კასილიასს** კარის ძელი შეუზანზარეს. მოგვიანებით, **ლუკა ტონიმ** გოლის გატანაც შეძლო, მაგრამ მსაჯმა ბურთი არ ჩათვალა. შესვენების შემდეგ ესპანელებმა უპირატესობა მოიპოვეს და თამაში მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაიტანეს. **ლუის არაგონესის** შეგირდებს გამარჯვება იმდენად უნდოდათ, რომ მათ აუცილებლად ლამაზი გოლით უნდა მოეგოთ. მათდა საბედნიეროდ, შეცვლაზე შესულმა **დავიდ ვილიამ** მართლაც



დავიდ ვილიამ მსოფლიოს ჩემპიონებს ულამაზესი გოლი გაუტანა

ფანტასტიკური გოლი გაიტანა. "ვალენსიის" ფორვარდმა **ფაბიო კანავაროს** მიერ თავით მოგერიებული ბურთი ძლიერი და ოსტატური დარტყმით ცხრიანში გაგზავნა. ასეთი დარტყმის წინააღმდეგ თვით **ჯიჯი ბუფონიც** კი უძლური აღმოჩნდა.

გუშინ ესპანეთის უკლებლივ ყველა ბარში, ოფისსა თუ სამთავრობო ორგანიზაციაში ესპანეთის ნაკრების წარმატებაზე საუბრობდნენ. დავიდ ვილიას ფანტასტიკური გოლის წყალობით "სელექსიონმა 2006 წლის მუნდიალის შემდეგ მეოთხე ამხანაგური შეხვედრა მოიგო. არაგონესის ბიჭებმა მსოფლიო ფეხბურთის ისეთ გრანდებს სძლიეს, როგორებიც არგენტინის, ინგლისისა და იტალიის ეროვნული გუნდები არიან. აქვე უნდა ითქვას, რომ "სელექსიონმა" ევროპის მოქმედ ჩემპიონს, საბერძნეთსაც მოუგო. გულშემატკივრები ძალიან ბედნიერები არიან, მაგრამ მათ ძალაუნებურად წარსულის მწარე გამოცდილება ახსენდებათ. ესპანეთი ამხანაგურ შეხვედრებსა და საკვალიფიკაციო დაპირისპირებაში ყოველთვის ღირსეულად გამოიყურებოდა, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების დასკვნით ეტაპებზე ყოველთვის ხელმოცარულები რჩებოდა. რა თქმა უნდა, ეს ტრადიცია ხალხს ძალიან აშინებს, მაგრამ გულში მაინც ცოცხლობს იმედი იმისა, რომ შვეიცარიისა და ავსტრიის კონტინენტის პირველობა ესპანეთის ნაკრების წარმატებული თამაშის ფონზე ჩაივლის.

ელჩეში გამართული ამხანაგური შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე თავდაპირველად ლუის არაგონესი წარდგა: *"დღეს მსოფლიოს ჩემპიონები დავამარცხეთ. ამით ალბათ ყველაფერია ნათქვამი. იტალიის ნაკრები დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია. რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი გახლავართ, რომ გულშემატკივრები გავახარეთ. ახლაც მათი ყიჟინა და ოვაციები გვესმის. ჩემი აზრით, "სელექსიონი" თამაშიდან თამაშამდე იზრდება. გამოგიტყდებით, გუნდის ასეთ კარგ თამაშს არ ველოდი. ისევ მომინევს იმაზე ხაზის გასმა, რომ ჩვენი მეტოქე "სკუადრა აძურა" იყო. პროგრესი სახეზეა, მაგრამ მეშინია დიდმა გამარჯვებებმა ეიფორიაში არ ჩაგვაგდოს. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალის ტრიუმფატორებს ვძლიეთ, ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია. მთავარია, ევროპის ჩემპიონატზე როგორ ვიასპარეზებთ. მოკლედ, მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. ხარვეზები ბოლომდე ჯერაც არ აღმოგვიფხვრია. ასე რომ, საქმე მართლაც მრავლად გვაქვს."*

დასასრულს, **რობერტო დონადონის** განცხადებასაც გაგაცნობთ: *"პირველ რიგში ესპანელებს გამარჯვებას ვულოცავ. წავაგეთ, მაგრამ ჩემს ფეხბურთელებს აბსოლუტურად ვერაფერს ვუსაყვედურებ. სწორედ ისეთი შეხვედრა გაიმართა, როგორსაც ველოდი. ნებისმიერ გუნდს შეეძლო მოეგო. ჩვენ კარგი მომენტები შევქმენით, მაგრამ დღეს არ გაგვიმართლა და დავმარცხდით. ამ შემთხვევაში ანგარიშზე მნიშვნელოვანი ის ტენდენციაა, რომელიც "სკუადრა აძურაში" შეინიშნება. ვფიქრობ, ყველა რგოლი გამართულად ასპარეზობდა."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

# გერმანიამ შვეიცარია დაასაფლავა

## თამამად ვიტყვით: ბუნდესგუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადაა

**შვეიცარია-გერმანია 0:4**

შვეიცარია: ბენალიო, ლიხტშტაინერი, ეგიმანი, სენდეროსი (75. ფონ ბერგენი), შპიხერი, ინლერი (87. ჰუგელი), ბეჰრამი (58. ჟიგაქსი), ფერნანდესი, ბარნეტა (80. ფონლანტენი), ფრაი (83. ჰ. იაკინი), დერდიოკი (46. ნ'კუფო).

**გერმანია:** ლემანი, ლამი (87. ტროხოვსკი), მერტეზაკერი, ვესტერმანი, იანსენი (79. როლფესი), კ. ფრიტცი (72. ა. ფრიდრიხი), ბალაკი, ჰიტცლშპერგერი, შვაინშტაიგერი, კლოზე (58. პოდოლსკი), გომესი (75. კურანი).

**გოლები:** 0:1 კლოზე (23), 0:2 გომესი (61), 0:3 გომესი (67), 0:4 პოდოლსკი (89).

**გაფრთხილება:** 1-2.

**მაყურებელი:** 38 500.

**ოთხშაბათის** შემდეგ გერმანიაში საფეხბურთო თვალსაზრისით სრული იდილიაა - გუშინწინ ბუნდესგუნდმა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი შვეიცარიის ნაკრები მისსავე მოედანზე 4:0 გაანადგურა. **იოახიმ ლიოვის** გუნდმა იმდენად კარგი და სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა, რომ თამამად შეიძლება ითქვას: დღეს რომ ევროპის ჩემპიონატი იწყებოდეს, გერმანია უმთავრესი ფავორიტი იქნებოდა. თუმცა მოსალოდნელი არ არის, რომ ივნისამდე ბევრი რამ შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, თუ ლიოვის ბიჭები ამ ფორმას და აღმაფრენას შეინარჩუნებენ, ავსტრია-შვეიცაარიაში გასამართ კონტინენტის პირველობაზე ტიტულის მოპოვების ნომერ პირველი კანდიდატები იქნებიან.

ევრო 2008-ის დაწყებამდე 73 დღით ადრე ბუნდესნაკრებმა ჩემპიონური ფეხბურთი აჩვენა და დაამტკიცა, რომ გერმანია მინიმუმ ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის სტატუსის ღირსია. ბუნდესგუნდს ევროპის ჩემპიონატის პირველი შეხვედრა 8 ივნისს პოლონეთთან ექნება და ლიოვის შეგირდები მანამდე კიდევ ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ: ბელორუსთან და სერბეთთან.

"ზტ. იაკობ პარკზე" გამართული მატჩის მთავარი გმირი "შტუტგარტის" თავდამსხმელი **მარიო გომესი** გახლდათ, რომელმაც ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან ქება-დიდება დაიმსახურა.



შვეიცარიელთა მეკარემ ბალაკს დაასწრო

შტუტგარტელმა ორი გოლი თვითონ გაიტანა, ერთი კი კლოზეს გაატანინა და ამრიგად, "სუპერმარიო" უკვე ლიოვის გუნდის შეუცვლელი ფიგურაა. გომესის შედეგიანობა პირდაპირპროპორციულად აისახება ბუნდესგუნდის წარმატებაზე - მას გოლი გოლზე გააქვს. და სწორედ გომესია ის კაცი, რომლისაც გერმანელ ქომაგებს თავდასხმაში ყველაზე მეტად ეიმედებათ, რადგან დღესდღეობით არც **მიროსლავ კლოზეა** კარგ ფორმაში და არც **კევინ კურანი**. აღარაფერს ვამბობთ **ლუკას პოდოლსკიზე** - თუმცაღა ამ უკანასკნელმა შვეიცარიას გოლიც გაუტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაკრებში თითქმის ყოველთვის კარგად თამაშობს, კლუბში კი...

თამამად შეიძლება ითქვას ისიც, რომ დღევანდელი გადასახედიდან, ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ძირითადი თავდასხმა კლოზე-გომესის დუეტი იქნება. შესაბამისად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კურანი და პოდოლსკი იძულებულები იქნებიან, სათადარიგოთა სკამზე ჯდომას დაყაბულდნენ.

გომესის გარდა, ბაზელში მოპოვებული გამარჯვება **იენს ლემანის** დამსახურებაც გახლდათ, რომელმაც იშვიათი მატჩი ჩაატარა და 621 წუთიანი მშრალი სერია, რაც იენსისთვის რეკორდია, კიდევ უფრო გააუმჯობესა. ლემანი უშეცდომოდ თამაშობდა - ზუსტად ისე, როგორც ასეთი ამბიციური გუნდის პირველ ნომერს შეეფერება. ლემანი ტრადიციულად კონცენტრირებული გახლდათ და ჩვეულებისამებრ მცველებსაც ხშირად კარნახობდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. არადა, არსებობდა დიდი ეჭვი, რომ ლემანი ზეწოლას ვერ გაუძლებდა და უშეცდომოდ არ იასპარეზებდა. თუმცა ვერც მის გარშემო ატეხილმა დისკუსიამ და ვერც შვეიცარიელმა ფანებმა, მისი წყობიდან გამოყვანა ვერ მოახერხეს. არადა, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სკანდირებდნენ, ლემანი ნერვიულობს, შეუტიეთ ლემანსო. ფაქტი ის არის, რომ თუ ლემანის არსენალელი კონკურენტი **მანუელ ალმუნია** ტრავმას მიიღებს ან უპატიებელ შეცდომას დაუშვებს, **არსენ ვენგერი** ლემანს ძირითად შემადგენლობაში დააბრუნებს, რაც თავის მხრივ იმის ნიშანი იქნება, რომ იენსი გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე სათამაშო პრაქტიკით გაჰყვება. ერთი სიტყვით, ეს აღარ იყო ის ლემანი, რომელმაც თებერვალში, ვენაში, ავსტრიის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში ბევრი შეცდომა დაუშვა. სოლიდური შთაბეჭდილება დატოვა **მიხაელ ბალაკმაც**.

თუმცა ყველაფერი ისე არ არის, როგორც ლიოვს უნდა. მაგალითად, **ფილიპ ლამს** და **ბასტიან შვაინშტაიგერს** კიდევ ერთხელ დაეტყოთ, რომ ცუდ ფორმაში არიან. ადრეც არაერთხელ დაგვიწერია, რომ ამ შესანიშნავ დუეტს 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, ფეხბურთი ხეირიანად ფაქტობრივად აღარ უთამაშია.

მატჩის შემდეგ შვეიცარიული გაზეთები წერდნენ, ვშიშობთ, ევროპის ჩემპიონატზეც არ დაგვემართოს ასეთი კატასტროფაო. გერმანიის ნაკრებს კი, მსოფლიო მასშტაბით ყველამ ქება უძღვნა - გერმანიას უკვე ევრო 2008-ის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიაზრებენ. მოკლედ, ლიოვი სწორ გზას ადგას...

**იოახიმ ლიოვი** (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): *"კმაყოფილი ვარ, ჩემმა გუნდმა დღეს თითქმის სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა. თავიდანვე კონცენტრირებულები და ორგანიზებულები ვიყავით. საერთო ჯამში დღეს უფრო აგრესიულად (კარგი გაგებით) ვითამაშეთ, ვიდრე ავსტრიასთან და შედეგიც სახეზეა: დღეს სამზე მეტი გოლი გავიტანეთ და ამით რამდენიმე კითხვას პასუხი გავეცით. თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად ითამაშა. განსაკუთრებით ჰაიკო ვესტერმანს გამოვყოფდი, რომელიც ავსტრიასთან მატჩისგან განსხვავებით ძალიან კარგად გამოიყურებოდა."*

**კობი კუნი** (შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი): *"ყველანი შოკში ვართ, ამას არავინ ელოდა. სათქმელიც არაფერი მაქვს გარდა იმისა, რასაც ბიჭებს პირადად ვეტყვი. ჩემმა გუნდმა დღეს მოყვარულთა გუნდის დონეზე ითამაშა."*

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# კაპელოს პირველი მარცხი

## ბექჰემმა მე-100 მატჩი ჩაატარა და ყვითელი ბარათების მხრივ, ინგლისის ნაკრების რეკორდიც დაამყარა...



კაპელო და ბექჰემი: ისინი ისევ ერთად არიან

**საფრანგეთი-ინგლისი 1:0**

**საფრანგეთი:** კუპე, აბიდალი, კლერკი, გალასი, ტიურამი, მაკელელე, რიბერი, ტულალანი, ანელკა (80. ჯ. სისე), მალუდა, ტრეზეგე (64. გოვუ).

**ინგლისი:** ჯეიმსი, ბერი, ბრაუნი (63. ჯონსონი), ე. კოული, ფერდინანდი, ტერი (46. ლესკოტი), ბექჰემი (63. ბენტლი), ჯ. კოული (46. დაუნინგი), ჯერარდი (46. კრაუჩი), ჰარგრივზი, რუნი (46. ოუენი).

გოლი: 1:0 რიბერი (31)

მაყურებელი: 76 000

ინგლისელებისათვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ **ფაბიო კაპელო** ჯადოქარი არ არის. მას არც ჯადოსნური ჯოხი გააჩნია, რომ ერთი აქნევით ყველა პრობლემა გადაჭრას. ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ ინგლისელთა ბოლო წლების პრობლემები მარტო **სვენ გორან ერიქსონისა** და **სტივ მაკლარენის** ბრალი არ ყოფილა.

ოთხშაბათ საღამოს, ინგლისმა ფრანგების კარის ჩარჩოში მხოლოდ ერთხელ დაარტყა. ამის მიუხედავად, კაპელომ განაცხადა, რომ თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილია. ინგლისელ მიმომხილველებს გაუჭირდათ იმის ახსნა, თუ რა მოეწონა იტალიელ დამრიგებელს.

სტუმარმა მცველებმა **ნიკოლა ანელკასა** და **ფრანკ რიბერის** სწრაფ იერიშებთან ვერაფერი გააწყვეს. **ჯონ ტერიმ** ბოლო წლების ერთ-ერთი უსუსტესი მატჩი ჩაატარა. ის ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალეს. **დევიდ ჯეიმსმა** ანელკა წააქცია და 11-მეტრიანი დაიმსახურა. ფრანკ რიბერიმ გოლი აუღელვებლად შეაგდო ("პორტსმუთის" მეკარემ ანალოგიური შეცდომა საფრანგეთი-ინგლისის ოთხი წლის წინანდელ შეხვედრაშიც დაუშვა - ევრო 2004-ის ჯგუფურ ეტაპზე, 1:2).

სუსტად ითამაშეს **ვეს ბრაუნმა** და **ეშლი კოულმა. ოუენ ჰარგრივსი** და **გარეთ ბერი** ძალიან ინერტულები იყვნენ. არ ჩანდა **ფრენკ ლემპარდი. დევიდ ბექჰემს** ის საღამო მარტო იმით გაახსენდება, რომ მე-100 სანაკრებო მატჩი ჩაატარა. და კიდევ, ყვითელი ბარათი მიიღო. "მიროროში" დაიანგარიშა, რომ დევიდი ინგლისელთა მაისურით მე-16-დ გააფრთხილეს. ინგლისის ნაკრების ისტორიაში ამდენი ყვითელი ბარათი არცერთ ფეხბურთელს არ მიუღია. უფერულად ითამაშეს **უეინ რუნიმ** და **სტივ ჯერარდმაც**. ამიტომ ისინიც ტაიმის ბოლოს შეცვალეს. ინგლისი ფეხბურთის გუნდს არ ჰგავდაო - ეს პოპულარული ტაბლოიდის, "სანის" სიტყვები გახლავთ.

პირველი 15 წუთის განმავლობაში ჯერარდმა სამჯერ სცადა მეტოქის დამწუხრება, მაგრამ სამჯერვე დიდი მანძილით ააცილა. რუნის ხშირად უხდებოდა უკან ჩასვლა, რათა ბურთი მიეღო. მეტოქის ბანაკში აქტიურობდა **ფლორან მალუდა**, რომელიც "ჩელსიში", ფაქტობრივად, არ თამაშობს. ანელკასა და რიბერის რამდენიმე უშედეგო იერიშის შემდეგ, 32-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა. შეტევა ლიონელმა მცველმა **ფრანსუა კლერმა** წამოიწყო. მან მეტოქის საჯარიმოში გრძელი პასი ჩააწოდა. ტერიმ პოზიციური შეცდომა დაუშვა, ჯეიმსმა კარიდან გამოსვლა დააგვიანა და ანელკა წესებით დარღვევის შეაჩერა. რიბერიმ, ისე, როგორც ზიდანმა ოთხი წლის წინათ, მეკარე ადვილად მოატყუა.

კაპელომ მდგომარეობის გამოსწორება შეცვლებით სცადა. მან გუნდი 4-4-2 სქემაზე გადააწყო. თამაშში ჩაერთნენ **მაიკლ ოუენი** და **პიტერ კრაუჩი**, მაგრამ სურათი არ შეცვლილა. სანახევრო მომენტი ჰქონდა **სტიუარტ დაუნინგს**. ჰარგრივსმა ის ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. მიდლსბროელმა ნახევარმცველმა ბურთი ვერ გააჩერა. ეს ეპიზოდიც ერთობ ნიშანდობლივი იყო.

ფრანგებმა სტუმარს ყველა კომპონენტში აჯობეს. **დავიდ ტრეზეგემ** ძირითადში ითამაშა, მაგრამ ბურთი მხოლოდ ხუთჯერ მიიღო. რიბერის ანელკას მოძებნა უფრო უადვილდებოდა. "ეკიპის" მიმოხილვაში ისიც კი დაიწერა, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ დავიდს პასს განგებ არ აწვდიდნენო. მომდევნო ამხანაგური მატჩისას **რაიმონ დომენეკს** 23 ფეხბურთელი შერჩეული ეყოლება. ეს შეხვედრა ტრეზეგესათვის თავის გამოჩენის ბოლო შანსი იყო. მას ნაკრებში ისედაც ბოლო წუთს უხმეს: "იუვენტუსის" ლიდერმა დაშავებული **ქარიმ ბენზემა** შეცვალა.

დავიდის აქტივში 71 სანაკრებო მატჩი და 34 გოლია. 64-ე წუთზე ის **სიდნი გოვუმ** შეცვალა. "სტად დე ფრანსმა" ფეხბურთელი ოვაციებით გააცილა. გულშემატკივრებმა ტრეზეგეს მხარდაჭერა გამოუცხადეს. ნამატჩევს დომენეკმა ასეთი კომენტარი გააკეთა: ტრიბუნების რეაქციებს ყურადღებას აღარ ვაქცევო.

# პირველი მატჩი, პირველი გოლი

**ბრაზილია-შვედეთი 1:0**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, ლუსიო, დანიელ ალვეში (73. რაფინია), ალექსი, ლუიშ ფაბიანო (60. პატო), ჟილბერტო სილვა, ჟულიო ბაპტიშტა (60. ანდერსონი), დიეგო (65. ტიაგო ნევეში), ჟოსუე (63. ლიმა ერნანდესი), რიჩარლისონი (73. მარსელო), რობინიო.

**შვედეთი:** ისაქსონი (46. შააბანი), მელბერგი, მ. ნილსონი (46. დორსინი), მაისტოროვიჩი, სტოორი, ა. სვენსონი (49. ოლბაკი), ლიუნგბერგი, კალსტრიომი, ს. ლარსონი, ელმანდერი, როზენბერგი.

**გოლი:** 1:0 პატო (72)

**მაყურებელი:** 60 021

შვედეთისა და ბრაზილიის ოთხშაბათის შეხვედრას ლონდონის "ემირიტს სთედიუმმა" უმასპინძლა. 1958 წლის მუნდიალის ფინალის შემდეგ თითქმის 50 წელი გავიდა. ნახევარი საუკუნის წინათ, ეს გუნდები სტოკჰოლმში შეხვდნენ ერთმანეთს. სამხრეთამერიკელებმა მოიგეს და პირველად დაეუფლნენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს.

**ალეშანდრე პატომ** ნაკრებში პირველი მატჩი ჩაატარა. "მილანის" თავდამსხმელმა უმალ გამარჯვების გოლი შეაგდო. გოლი შესანიშნავი გამოვიდა: პატომ შვედების მეკარე **რამი შააბანს**, ბურთი პირით ხაზთან მოპარა და მახვილი კუთხიდან გასაოცარი სიზუსტით დასცხო. ეს მატჩის 72-ე წუთზე მოხდა.

შვედების თავკაცმა **ლარს ლაგერბაკმა** განაცხადა, დარტყმა უზადო იყო, მაგრამ პატოს ცოტა გაუმართლა კიდეცო. თავშეკავებული კომენტარი გააკეთა **კარლოს დუნგამ**. მან გოლის სილამაზეზე საუბარი ზედმეტად მიიჩნია და მხოლოდ მისი მნიშვნელობის აღნიშვნით დაკმაყოფილდა: *"პატოს შესანიშნავი ტექნიკა აქვს. მომეწონა მისი შეუპოვრობა, რომლითაც მეკარესთან ორთაბრძოლაში ჩაება. ალეშანდრეს შეუძლია, დიდი ფეხბურთელი გახდეს. ვნახოთ, როგორ ითამაშებს ის 40 მატჩის შემდეგ."*

მატჩის პირველი მომენტი შვედებმა შექმნეს. **მარკუს როზენბერგმა** დრიბლინგის შემდეგ თავად გადაწყვიტა კარში დარტყმა. ბურთი დიდი მანძილით ასცდა მიზანს. ფორვარდს უფრო ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი **იოჰან ელმანდერი** უნდა დაენახა.

ბრაზილიამ ორი შეტევით უპასუხა. მეკარე **ანდრეას ისაკსონმა ჟულიო ბაპტიშტასა** და **ლუიშ ფაბიანოს** დარტყმები მოიგერია. ისაკსონს არც მისი ვიზავი დარჩა ვალში. **ჟულიო სეზარმა სებასტიან ლარსონის** საჯარიმო დარტყმა უკუაგდო. ერთ წუთში ბრაზილიელმა მცველებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს.

შვედები 11-მეტრიანს გადაურჩნენ. შეცვლაზე შესულმა მცველმა **მიკაელ დორსინმა დიეგო** წააქცია. არბიტრმა პენალტის დანიშვნა ზედმეტად მიიჩნია, რითაც ბრაზილიელების აღშფოთება დაიმსახურა. ჟულიო სეზარმა თამაშის მიწურულსაც ივაჟკაცა: მან როზენბერგის დარტყმა მოიგერია. თავდამსხმელს შეტევის უკეთ დასრულება შეეძლო.

ლაგერბაკმა მარცხის მიზეზად თავდასხმაში არაეფექტური თამაში დაასახელა. მან იმედი გამოთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატამდე პრობლემების აღმოფხვრას შეძლებს. ბრაზილიელებმა "ემირიტსზე" გამართული სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს (შვედეთამდე, 2006 წელს არგენტინა დაამარცხეს) და ერთი წააგეს (პორტუგალიასთან 2007 წელს). მათ ინგლისში კიდევ ერთი მატჩი ჩაატარეს: 2006 წელს "ტოტენჰემის" "უაით ჰართ ლეინზე" უელსთან და იმ შეხვედრაშიც წარმატებას მიაღწიეს. ინგლისი პენტაკამპეონებისათვის მეორე სახლად იქცა.

# საოცარი ჰოლანდია



**ავსტრია-ჰოლანდია 3:4**

**ავსტრია:** პეიერი, პოგატეტცი, გარიჩი, გერკალიუ, პროდლი, ივანშიტცი, ზაუმელი, ფუხსი (75. ვაისენბერგერი), ლაიტგები, ლინცი (65. იანკო), ჰარნიკი (65. სტანდფესტი).

**ჰოლანდია:** ტიმერი, ჰეიტინგა, მატიისენი (46. ზეედორფი), დე კლერი (80. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი), ოოიერი, ვან ბრონკჰორსტი, ვან დერ ვაარტი (70. ბაბელი), დე ზეეუვი (46. ბუმა), ვან პერსი (90. დე იონგი), ჰუნტელაარი, სნეიდერი.

**გოლები:** 1:0 ივანშიტცი (6), 2:0 პროდლი (19), 3:0 პროდლი (36), 3:1 ჰუნტელაარი (38), 3:2 ჰეიტინგა (67), 3:3 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (83), 3:4 ჰუნტელაარი (87)

**მაყურებელი:** 40 500

**კლაას იან ჰუნტელაარმა** გადამწყვეტი გოლი თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შეაგდო. ჰოლანდიამ ავსტრიასთან სამბურთიანი დეფიციტი აღმოფხვრა და 4:3 გაიმარჯვა. ეს შეხვედრა ოთხშაბათის ამხანაგურ მატჩებს შორის ყველაზე სანახაობრივი და დრამატული იყო.

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებმა ანგარიში მე-6 წუთზე გახსნეს. გოლი კაპიტანმა **ანდრეას ივანშიტცმა** გაიტანა. მე-18 წუთზე ივანშიტცმა ასისტენტობა ითავა. **სებასტიან პრიოდლმა** კუთხურიდან მის მიერ მოწოდებულ ბურთს თავი დასცხო და სხვაობა ორამდე გაზარდა. ავსტრია ამით არ დაკმაყოფილდა. ივანშიტცმა და პრიოდლმა კიდევ ერთი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა მესამე გოლი გაიტანა. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლებს შეტევების დაგვირგვინებაში ჰოლანდიელი მცველებისა და მეკარე **ჰენკ ტიმერის** სუსტი თამაში დაეხმარა.

*"მატჩი ცუდად დავიწყეთ, - თქვა ნამატჩევს სტუმართა თავკაცმა* **მარკო ვან ბასტენმა**. *- ჩვენს თამაშს სავალალო ერქვა. მაგრამ შეიძლება, სუსტად ითამაშო, მაგრამ სამი გოლი არ გაუშვა. ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი პირიქით მოხდა. მიმაჩნია, რომ სამივე გოლი ცალკეული ფეხბურთელების უხეში შეცდომების ბრალი იყო. შესვენებისას ზოგიერთ მათგანს პოზიცია შევუცვალეთ. დაცვის ცენტრში მატიისენის ადგილი ბუმამ დაიკავა და მდგომარეობა გამოსწორდა. მეორე ტაიმში მონდომებით ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ კიდეც."*

ჰოლანდიამ სამი გოლი უკანასკნელად 2005 წლის ნოემბერში გაუშვა (იტალიასთან 1:3).მაგრამ ამჯერად მან საპასუხოდ ოთხის გატანა მოახერხა. ჰუნტელაარმა ერთი ბურთი პირველსავე ნახევარში გაქვითა. **ჯონი ჰეიტინგამ** მეორე ბურთი 67-ე წუთზე გაიტანა. **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა** წონასწორობა 83-ე წუთზე აღადგინა. ოთხ წუთში ჰუნტელაარის ის გოლი გავიდა, ზემოთ რომ აღვწერეთ.

ავსტრიელთა თავკაცმა **იოზეფ ჰიკერსბერგერმა** მომხდარის გამო იმედგაცრუება ვერ დამალა: *"მეორე ნახევარში ძალიან დავიხიეთ უკან. ბურთი მეტოქეს გადავულოცეთ და თამაშის საშუალება მივეცით. იმედი მაქვს, სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ და ევროპის ჩემპიონატს საუკეთესო ფორმაში შევხვდებით."*

# გასეირნება ეგვიპტეში

**ეგვიპტე-არგენტინა 0:2**

**ეგვიპტე:** ალ-ჰადარი, ზაქი, საიდი, გომაა, აბდ რაბუ, მოავადი, ჰასანი, აბუთრიქა (81. ფათჰი), მოტაები, შავკი, ზიდანი (74. მოჰამედი).

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ძანეტი, დემიკელისი (82. კოლოჩინი), ბურდისო, ჰაინცე, მასკერანო, გაგო, მაქსი როდრიგესი (89. საბალეტა), ლუჩო გონსალესი, აგუერო (85. ლ. ლოპესი), კრუსი (69. კავენაგი).

**გოლები:** 0:1 აგუერო (65), 0:2 ბურდისო (84)

არგენტინამ ეგვიპტესთან ნაყოფიერი მატჩი ჩაატარა. "ალბისელესტემ" აფრიკის ჩემპიონებს ორი უპასუხო გოლი გაუტანა. თავი გამოიჩინეს **სერხიო აგუერომ** და **ნიკოლას ბურდისომ**. "ინტერის" მცველმა ნაკრების მაისურით პირველი ბურთი შეაგდო. არგენტინელები კაიროში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ. მათ **ლიონელ მესი** და **ხუან რომან რიკელმე** აკლდათ. ეგვიპტემ, ფაქტობრივად, ის შემადგენლობა გამოიყვანა, რომლითაც აფრიკის ერთა თასის ფინალში კამერუნი დაამარცხა.

თამაში არგენტინელთა იერიშებით დაიწყო. პირველივე იერიშისას **ლუის გონსალესმა** ფლანგიდან ეგვიპტელთა კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ მის პასს არავინ გამოხმაურებია. რამდენიმე წუთში **მარტინ დემიკელისმა** თავით სახიფათოდ დაარტყა. მომდევნო იერიშისას **ჰანი საიდმა** მასპინძლები ნაღდ გოლს გადაარჩინა. **მაქსი როდრიგესის** იერიშისას მან ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ეგვიპტელებსაც ჰქონდათ მომენტები. **მოჰამედ ზიდანი** მეკარე **რობერტო აბონდანსიერის** მიერ მოგერიებულ ბურთს დაეუფლა. მან 30 მეტრიდან სცადა მეტოქის დამწუხრება. აბონდანსიერომ ბურთის მოგერიება მოასწრო. ზიდანს მეორე ტაიმის დასაწყისშიც შეეძლო თავის გამოჩენა. მოჰამედმა ბურთი მკერდზე გაიჩერა, მეურვეს გასცდა და ძლიერად დასცხო, მაგრამ ოდნავ ააცილა.

საუცხოო მომენტი გაანიავა **მოჰამედ აბუტრიკამ**. უმეთვალყურეოდ დარჩენილმა, მან ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, მაგრამ დაიბნა და აბონდანსიერის სუსტად დაურტყა. არგენტინელთა თავდასხმა, **ხულიო კრუსისა** და აგუეროს შემადგენლობით, ინერტულად თამაშობდა. აგუერომ პირველი მომენტი მხოლოდ 64-ე წუთზე შექმნა. ორ წუთში "ატლეტიკოს" თავდამსხმელმა ანგარიში გახსნა. მან საჯარიმოს მისადგომებთან გრძელი გადაცემა მიიღო. 19 წლის ფეხბურთელი ბურთს ოსტატურად დაეუფლა და მაღალ კუთხეში გაიტანა. მატჩის დასრულებას ხუთი წუთი უკლდა, როდესაც ბურდისო ბურთს შორ კუთხესთან ჩაუსაფრდა და როდრიგესის პასის შემდეგ თავით შეაგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხორხე ვალდანო
# საფეხბურთო ისტორიები

(დასაწყისი №41)

## გადარეული იგიტა

კოლუმბიელ ქალებს შორის გამოკითხვა ჩატარდა, რომელსაც ეროვნული ნაკრების ყველაზე მომხიბვლელი მოთამაშე უნდა გამოევლინა. ქალები ამ საკითხს უცნაური ლოგიკით მიუდგნენ: რაც უფრო უშნოა, მით უფრო ლამაზია. მათ **რენე იგიტა** აირჩიეს. სილამაზეზე ასეთი შესამჩნევი დარტყმა კოლუმბიელი მეკარის პოპულარობის დონეს განსაზღვრავს. სახის უხეში ნაკვთები, მუქი კანი და გრძელი ხვეული თმები უცნაურ ფიგურას ავსებს, რომელიც ნაკლებად შთამბეჭდავია, ვიდრე მისი პიროვნება. ასეთი პრიმიტიული მონაცემებით, სამხრეთამერიკელი მეკარეები განწირულები არიან, რომ "მაიმუნის" ან "კატის" მეტსახელით მოიხსენიონ. მას კი, Loko-ს ("გადარეული") ეძახდნენ, მეტსახელს, რომელიც უფრო იმ ფორვარდებს შეეფერებათ, რომლებიც ქაოტურად და უაზროდ იჭრებიან მეკარეების შეზღუდულ სამყაროში.

23 წლის "გიჟ" იგიტას მასხრად იგდებდნენ, მეტიჩარად და თავხედად თვლიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ფართო ნიჭისთვის მეკარის მოედანი ძალიან პატარა იყო. 13 წლამდე ის ცენტრალური თავდამსხმელი იყო, ამიტომაც გარბოდა ყოველთვის წინ. ფიზიკურმა მონაცემებმა ის საფეხბურთო კართან მიიყვანა, მაგრამ ძლიერ პიროვნებასთან შეხამებულმა ინსტინქტმა ის რევოლუციონერად აქცია.

როცა კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელი **ფრანსისკო მატურანა** მედელინის "ნასიონალში" მივიდა, იგიტა უკვე "გიჟი" იყო. მწვრთნელი მოიხიბლა მომავლის მეკარის ტაქტიკური მოსაზრებებით, თავისდა სასახელოდ, არ შეუშინდა არაკეთილისმსურველებს და იგიტა ძირითად მეკარედ აქცია. მატურანას კრიტიკა კიდევ უფრო გამკაცრდა, როცა მწვრთნელმა ყველაფერზე წამსვლელი "ლოკო" ნაკრებში აიყვანა. ამბობენ: *"იყო არტისტი, ნიშნავს იმას, რომ დამარცხებას უნდა შეეჩვიო"*. თუ ეს მართლაც ასეა, გამოდის, რომ მატურანაც ისეთივე მსახიობია, როგორიც იგიტა. ერთი - იმიტომ, რომ რისკავდა, მეორე - იმიტომ, რომ რისკის სჯეროდა.

## გაუჩინარების უფლება

წარმოვიდგინე ასეთი სურათი: შუა თამაშში ტელეფონით იგიტას კარებში რეკავენ და ასეთ პასუხს იღებენ: მეკარე გასულია. დარაჯი, რომელიც მუდმივად სხვის სამფლობელოზე ფიქრობს, მეკარე გაუჩინარების ლიცენზიით - აი, ასეთია რენე იგიტა.

ის არის ლიბერო ერთ ხაზზე მოთამაშე დაცვის რგოლში, რომელიც თავისუფალ დროს მეკარის ფუნქციებს ასრულებს. ის ბურთს თავით იგერიებს, მკერდზე იჩერებს, პარტნიორთან "კედელს" ათამაშებს. ასეთი თავგადასავლების შემდეგ, ვითომც არაფერი, კარში ბრუნდება, რაც მაყურებლებში არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევს - აღფრთოვანებიდან აღშფოთებამდე. ვინ თქვა, რომ ფეხბურთში უკვე ყველაფერი გამოგონებულია?

როგორი უცნაურიც არ უნდა მოგეჩვენოთ, იგიტას ასეთი მოქმედებები პარტნიორების საიმედო დაზღვევით იყო გამყარებული. კოლუმბია თამაშს ძალიან კომპაქტურად აწყობდა, ხაზებს შორის მანძილი არასოდეს აღემატებოდა 15 მეტრს, და ყველა ფეხბურთელი ძალიან უნარიანად და ჯიუტად მოქმედებდა ბურთის ართმევის დროს. მეტოქეს არასოდეს ეძლეოდა შორის მანძილიდან იგიტას დასჯის საშუალება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საჯარიმო მოედნის დატოვებისას, ის "უსაფრთხოების ღვედების" იმედად რჩებოდა: ორი მცველი ძელებს შორის იკავებდა ადგილს. იგიტა ასე თამაშობდა ამხანაგურ მატჩში, და 1990 წელს, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის წინააღმდეგ, რომელშიც კოლუმბიამ ფრეს მიაღწია - 1:1, გუნდთან, რომელიც შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. რადგან ფეხბურთი ურთიერთგაგებაზეა აგებული, პარტნიორებს მისი მანერა ყველა დონეზე ჰქონდათ გათავისებული. მეკარისთვის ის დაბალი იყო (175 სმ) და თან ბურთის მოგერიება არც ისე კარგად გამოსდიოდა. ალბათ, ეს იყო მისი ერთადერთი ნაკლი. *"ეს სისუსტეები რომ არა, იგიტა ღმერთი იქნებოდა"*, - ამბობდა მატურანა.



გარინჩა - ყველა დროის საუკეთესო მატყუარა

## მოთამაშეები და ტაქტიკა

ამბობენ, რომ თანამედროვე თამაშს ტაქტიკა განსაზღვრავს, მაგრამ მე მაინც პირველ ადგილზე კარგ მოთამაშეებს ვაყენებ. თავის დროზე, **კარლოს სალვადორ ბილარდო**, მწვრთნელი, რომელთან ერთადაც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გავიმარჯვეთ, არ ერიდებოდა იმის მტკიცებას, რომ სწორედ მან გაუსწრო დროს 20 წლით. ბილარდო ერთ-ერთი იმ თეორეტიკოსთაგანი იყო, რომელიც აანალიზებდა მეტოქეებს და მოედანს, და მხოლოდ შემდეგ თავისი შეგირდების შესაძლებლობებს: თუ მე სამი თავდამსხმელით მიტევენ, ოთხ მცველს ვაყენებ; თუ წინ თავისუფალი ზონები ჩნდება, განაპირა თავდამსხმელების გამოყენება სჯობს. კარგია, რომ კიდევ არსებობს ფლანგის მოთამაშეების მწარმოებელი ფაბრიკები. მაგალითად, "აიაქსის" სკოლა: **ბაბანგიდა, ოვერმარსი, ფინიდი**... ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ფლანგის მოთამაშეები არ გადაშენებულან.

მოდა კი ძველებურია: დაყავით მინდვრის ტერიტორია ზონებად და დაეყრდენით კარგ მოთამაშეებს. თავად ბილარდო, მექსიკაში გამარჯვების შემდეგ, იძულებული გახდა, ეღიარებინა: *"დღეს ტექნიკა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ტაქტიკა და სტილი"*.

თანამედროვეობაზე აქცენტის გაკეთება - ეს უკვე გამოგონილის და დამუშავებულის დავიწყებას ნიშნავს. სამხრეთ ამერიკაში განაპირა მცველებს ყოველთვის უწოდებდნენ ფლანგის ფორვარდების მეურვეებს. რადგან ფეხბურთი თავდამსხმელთა რაოდენობის შემცირებისა და მცველების რიცხვის გაზრდის გზით წავიდა, განაპირა მცველები თავიანთი ვიზავების გარეშე დარჩნენ.

ორთოდოქსიამ მორიგი წრე შეასრულა. როგორც ტრუსებმა: იყო მოკლე, შემდეგ დაგრძელდა და ისევ პირიქით. ისევ გაჩნდნენ ფლანგის მოთამაშეები. ვხედავთ **კაფუსა** და **რობერტო კარლოსს**, დაუღლელად მომუშავეებს, და რადგან მათ ხიფათი მოაქვთ, მეტოქე დარაჯებს უყენებს. არ შველის? მეურვეობა უფრო მკაცრდება. თუ ფლანგის მოთამაშეები ილლებიან, იკარგება მოულოდნელობის ელემენტი; თუ ისინი მოძრაობის მიმართულებას ცვლიან, აუცილებელია დაცვით მოქმედებებში ცვლილება; ხოლო თუ მათ არ აქვთ მხარდაჭერა ან ცუდად ეპყრობიან ბურთს, მადლობა უნდა გადავუხადოთ სივრცის გამოყენებისთვის და თანავუგრძნოთ, რომ ეს ფუჭი მონდომება იყო.

ზოგიერთი მწვრთნელი ტაქტიკურ ამოცანას უბრალოდ ხსნის: მათ, რომლებიც მოედნის ცენტრში ვერ ართმევენ თავს თავიანთ მოვალეობებს, დაცვაში გადაჰყავთ - რაც უფრო ღრმად იხევს მოთამაშე უკან, მით უფრო მარტივი ხდება მისი ფუნქციები. ანალოგიური ემართებათ წინა ხაზის მოთამაშეებს. მინდორი ივსება ადამიანებით, რომლებსაც არ გააჩნიათ აუცილებელი თვისებები სწრაფი მანევრებისთვის, არ აქვთ ტექნიკა, რომელიც პატარა სივრცეებში პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა; არ იციან როგორ გაამწვავონ თამაში შეტევის მთავარი მიმართულების დროს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, "ტოტენჰემმა" დაამკვიდრა სტილი, რომელსაც "დაარტყი-გაიქეცი" ჰქვია. იმავე პერიოდში, სამხრეთ ამერიკაში თამაშის ფილოსოფია სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა: მხოლოდ წინ გადაადგილება იქამდე, სანამ კარი არ გამოჩნდება. ამ სტილის კანონმდებლები ურუგვაელები გახდნენ. როცა ამ ქვეყანას ეწვევი, ძნელი არ არის გაერკვე ამ ფილოსოფიის სანწყისებში. უნდა წარმოიდგინო ურუგვაი, როგორც ერთი დიდი საფეხბურთო მოედანი უამრავი ბარიერით - ხეებით, ძროხებით, სახლებით... 60-იან წლებში "პენიაროლი" აუჩქარებელ, თითქოს დაღლილ ფეხბურთს გვთავაზობდა, ბურთის გაუთავებელი შეხებით, მოწინააღმდეგეზე ჰიპნოზური, მომადუნებელი ზემოქმედებით, რაც კარის სიახლოვეს სისწრაფის მკვეთრი ცვლილებით მთავრდებოდა.

ენაკვიმატი თვითმხილველები ჰყვებიან: როცა **როჩა, სპენსერი, გონკალვეში** და სხვები მეტოქის სტადიონზე მივიდნენ, პირველ რიგში მასპინძელი გუნდის ადმინისტრაციასთან ასეთი რამ გაარკვიეს:

- მაპატიეთ, ბურთები გაქვთ?
- რა თქმა უნდა. რა გაწუხებთ?
- საკუთარ თავზე არ ვწუხვართ, არამედ თქვენს გუნდზე, რადგან ბურთი, რომელსაც არბიტრი მოედანზე გამოიტანს, მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის.

ეს ანეკდოტი ესპანეთში სხვანაირად ჟღერდა და ის ერთ კონკრეტულ შემთხვევას ემყარებოდა, როცა "სევილიამ" სადღაც 20-იან წლებში 0:8 წააგო. მაშინ ამ გუნდის ერთი ფეხბურთელი მოწინააღმდეგეთა კაპიტანს მივარდა: *"შეწყვიტეთ ეს უმსგავსობა, ბურთი მარტო თქვენ არ გეკუთვნით, ის ყველასია"*. და თხოვა კაპიტანს, მათთვისაც მიეცა თამაშის საშუალება...

## გოლის მნიშვნელობა

ჩემი ბავშვობის მოგონებები ისეთივეა, როგორიც უმრავლესობა ადამიანებისა. საათობით ვთამაშობდით დაღამებამდე. ბოლოს გამოაცხადებდნენ: *"ვინც ახლა გაიტანს, გამარჯვებულიც ის იქნება"*. და იწყებოდა დიდი ბრძოლა, რადგან არავის არ სურდა შინ დამარცხებული დაბრუნება. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე იმ ბავშვობის წლებთან მსგავსება დავიჭირე. ვინც ერთადერთ გოლს გაიტანდა, უმრავლესობა შემთხვევაში, გამარჯვებულიც ის ხდებოდა. ან, უკიდურეს შემთხვევაში, ყველაფერი საყაიმო ანგარიშით სრულდებოდა. იდეაში, საჭირო იყო ლამაზი ფეხბურთის ჩვენება, ბევრი გოლის გატანა, მაგრამ ყოველთვის არ გამოდიოდა.

ერთნი ტიტულისთვის იბრძვიან, მეორენი ღირსების შენარჩუნებისთვის, გოლი აუცილებელია ერთისთვის და მეორისთვისაც. ძირითადი ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ შებოჭო მოწინააღმდეგის მოქმედება. ბევრს არ შეუძლია მეტოქის შეცდომაზე პროვოცირება. მან, ვინც გოლი გაუშვა, იძულებულია, ფრთხილი ნაბიჯები დაივიწყოს და უფრო აქტიურად იმოქმედოს, ხოლო ვინც გაიტანა, მეტოქის გააქტიურების გამოყენების საშუალება ეძლევა.

ორივე მხრიდან წარმატება და წარუმატებლობა სხვადასხვაგვარად ჩანს. მწვრთნელი მცველს დარიგებას აძლევს, რომელსაც შეუდარებელი **"მანე" გარინჩას** მეურვეობა აქვს დავალებული. დამრიგებელი ბრაზილიელის ფანტასტიკური დრიბლინგის საიდუმლოს ხსნის: *"მანე" გიჩვენებს, რომ მოედნის სიღრმისკენ დაიწყებს მოძრაობას, მაგრამ ყოველთვის საპირისპირო მხარეს უვლის გვერდს მეურვეს"*. შეგირდი თავის თავს შეკითხვის უფლებას აძლევს: **"დიახ, მაგრამ როდის?"** ამის წინასწარმეტყველება არავის შეუძლია, რადგან თავად მისი ნიჭის წინასწარმეტყველებაა შეუძლებელი; იმიტომ, რომ ინსტინქტი არ ხარჯავს დროს ახსნა-განმარტებისთვის.

თავად გარინჩა ისე გარდაიცვალა, რომ ვერ ახსნა თუ როგორ ტოვებდა უკან მსოფლიოს საუკეთესო მცველებს. მისი უმარტივესი თეორია მეცნიერული კვლევისთვის არ გამოდგებოდა: *"ეს ადვილია: ისინი იბნევიან და მეც წინ მივდივარ"*. ხანდახან, მტერი ფეხს უდებდა, ამ შემთხვევაში გარინჩა ბურთს კოვზივით ილებდა და ბარიერს ასე გადაატარებდა ზემოდან.

მწვრთნელები შეგირდებს ურჩევდნენ, გარინჩასთვის თვალებში არ ეცქირათ: *"ისინი იტყუებიან"*. მე დავამატებდი: არც მის ფეხებს დაეჯერებოდა, რომელიც ბავშვობაში გადატანილი პოლიომელიტის წყალობით დეფორმირებული იყო. ეს ფეხები თავად შეიცავდნენ ტყუილს. გაუმარჯოს გარინჩას, ყველა დროის საუკეთესო მატყუარას, "შავ ანგელოზს", რომელმაც სახსოვრად თავისი საფირმო - ცელქი, გულუბრყვილო და გამარჯვებული ღიმილი დაგვიტოვა!

გია **თვალაბეიშვილი**

(გაგრძელება იქნება)



იგიტას კოლუმბიამ გერმანიას ფრე ეთამაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# გაიცანით: გიორგი გულისაბედაშვილი

2006 წლის ივნისში თბილისის "დინამო" ამხანაგურად გაეჯიბრა აზერბაიჯანის ნაკრებს, რომელსაც ლიტვური კალათბურთის ლეგენდა **რიმას კურტინაიტისი** ხელმძღვანელობდა. იმ მატჩის მეორე პერიოდში "დინამომ" მოედნის კიდიდან ჩაგდებული სამი სამქულიანის წყალობით სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და შეხვედრა გამარჯვებამდე მშვიდად მიიყვანა.

ზემოთ ნახსენები სამი სამქულიანი ერთ კალათბურთელს ეკუთვნოდა, რომელიც მატჩის შემდეგ "დინამოს" ფიზმომზადების მწვრთნელმა **იური სტადუხინმა** ასე დაახასიათა: *"ქართველ სპორტსმენებში თავაულებლად ვარჯიში იშვიათად თუ ვინმეს ახასიათებს. მანუჩარ მარკოიშვილმა სწორედ შრომის მაღალი კულტურის ხარჯზე მიაღწია ევროლიგის "ოლიმპიამდე" (მაშინ მანუ სლოვენიაში თამაშობდა). საქართველოშიც გვყავს მეორე მანუჩარ მარკოიშვილი - გიორგი გულისაბედაშვილს რა სახის დავალებასაც მივცემთ, ულაპარაკოდ, გულიანად ასრულებს.*

როგორც მიხვდით, ის სამქულიანები გულისაბედაშვილს ეკუთვნოდა. იგი დღესაც "დინამოშია" და გუნდის ერთ-ერთი სნაიპერია. სხვათა შორის, გიორგის რომ ვკითხე, მსოფლიო მასშტაბისა და ქართველი კალათბურთელებიდან ვინ მოგწონს-მეთქი, ჩამონათვალში **მანუჩარ მარკოიშვილიც** გაურია: *"საქართველოს ჩემპიონატიდან ლაშა გამყრელიძეს გამოვარჩევ, ნაკრებიდან - მარკოიშვილსა და ფაჩულიას, ხოლო, რაც შეეხება მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესოს, ვფიქრობ, მაიკლ ჯორდანზე ძლიერი კალათბურთელი ჯერ არ დაბადებულა".*

გულისაბედაშვილი საქართველოს ჩემპიონატში სამი წლის წინათ გამოჩნდა. თავიდან იგი "დინამოს" მწვრთნელ **დავით უსტიაშვილს** დუბლშემადგენლობიდან იშვიათად გადმოჰყავდა. მეორე სეზონში ფიზიკურად გაცილებით მომძლავრებული გულისაბედაშვილი ვიხილეთ. შესაბამისად იგი სასტარტო ხუთეულის კალათბურთელად იქცა. ხოლო დღეს გიორგი საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო დამცველია. ეს კარგია, მაგრამ თავად კალათბურთელსაც კარგად მოეხსენება, რომ ეს მხოლოდ საქმის ნახევარია. ასეთ დონეზე გაჩერებას გიორგი გულისაბედაშვილს არც ჩვენ ვურჩევთ და არც თავად აპირებს. მან კარგად იცის თავისი ნაკლოვანებების შესახებ და მათ აღმოფხვრაზე ზრუნავს: *"ცხადია, ყველა კომპონენტი დასახვეწი მაქვს. პირველ რიგში, შეტევაში მმართებს მეტი აქტიურობა. მწვრთნელიც ხშირად მომიწოდებს იერიშებისას მეტი გამბედაობის გამოჩენისკენ".*

ზოგიერთი კალათბურთელი ძალების დაზოგვის მიზნით შეტევაში აქტიურობს, ხოლო დაცვაში ყურადღებას ადუნებს. გულისაბედაშვილის შემთხვევაში პირიქით ხომ არ ხდება?

*"თამაშისას ენერგია არასოდეს დამიზოგავს. იმასაც დავძენ, რომ დაღლას იშვიათად ვგრძნობ. შეტევაში საკუთარ თავზე თამაშის აღებას ხშირად, ალბათ, იმიტომ ვერ ვახერხებ, რომ გუნდურ თამაშზე ვარ ორიენტირებული და თანაგუნდელების დახმარებას ვცდილობ".*

საინტერესოა ისიც, რომ გულისაბედაშვილი პროგრესზე საუბარში "დინამოსაც" მოიხსენიებს. მაშინ, როცა ნებისმიერი კალათბურთელი კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე ფიქრობს, გიორგი ამბობს:

*"ამ სეზონს "დინამოსთან" ერთად ჩავამთავრებ. შემდეგ რა იქნება, არ ვიცი, თუმცა, იმედი მაქვს, რომ გაისადაც "დინამოს" მაისური მეცმევა, ოღონდ გაძლიერებული "დინამოსი"... ძლიერ გუნდში თამაში ნებისმიერი კალათბურთელის წინსვლისთვის აუცილებელია".*


გიორგი გულისაბედაშვილი

ისე არ გაიგოთ, თითქოს გიორგის აზრით, დღევანდელი "დინამო" სუსტი გუნდია. პირიქით, იგი მიიჩნევს, რომ კლუბი პლეი ოფის საგზურს უთუოდ იმსახურებს:

*"ჩვენი გუნდი მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი კოლექტივია. უპირატესობას დაცვით სტილს ვანიჭებთ და ვცდილობთ, მწვრთნელის ყველა მითითება პირნათლად შევასრულოთ. როცა ეს გამოგვდის, მატჩსაც ვიგებთ. საგრძნობლად გაგვაძლიერა ვიქტორ სანიკიძის დამატებამ. ახლა არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს და პლეი ოფში მოხვედრასაც ვიმსახურებთ. დანარჩენს უშუალოდ შეხვედრები გვიჩვენებს. სხვათა შორის, მომავალ კვირას მეტად მნიშვნელოვანი მატჩი გველის - ვეცდებით, უშუალო კონკურენტ "ვითას" არაფერი დავუთმოთ".*

რადგან "ვითასთან" მომავალ დაპირისპირებას შევეხეთ, გიორგის აზრი "ავიამშენთან" ბოლო ტურის მატჩზეც მოვისმინოთ, რომელშიც მან 33 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. "დინამომ" კი 82:109 წააგო.

*"ავიასთან" ჩვენი შეცდომების გამო დავმარცხდით. თუმცა, ვერც მსაჯობას შევაფასებდი დადებითად. პირველ რიგში, საკუთარი გარჯით ვარ უკმაყოფილო. ხელის ტრავმის გამო ცოტა ფორმიდან ამოვვარდი, მაგრამ ვეცდები ოპტიმალური კონდიციები მალე დავიბრუნო, რადგან რეგულარულის ბოლომდე "დინამოს" დიდი დახმარება სჭირდება".*

გულისაბედაშვილის დახმარება კიდევ ერთ გუნდს დასჭირდება - საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს. გიორგი 1988 წელსაა დაბადებული და თავის დროზე კადეტთა ნაკრების ღირსებას იცავდა. მან შარშან 20-წლამდელებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე მოსცადა ძალები. ამ ზაფხულს კი დავით უსტიაშვილის ახალგაზრდულ ნაკრებში მოუწევს თამაში.

*"წესითა და რიგით, კარგი გუნდი უნდა გვყავდეს. შარშანდელი შემადგენლობიდან წელს 5-6 კალათბურთელით ვითამაშებთ. მათ შორის იქნებიან მათიაშვილი, შერმადინი, რომელიც მანამდე NBA-ს დრაფტისთვის მოემზადება... ვეცდებით, A დივიზიონში ადგილი არავის დავუთმოთ".*

ზემოთ მოგახსენეთ პირველად როდის ითამაშა გიორგი გულისაბედაშვილმა უმაღლეს ლიგაში, რას აპირებს სამომავლოდ... ახლა უფრო უკან გადავინაცვლოთ და ორიოდე სიტყვით ვთქვათ, როგორ დაიწყო კალათბურთის თამაში:

*"მე-5 კლასში ვიყავი, როცა საკლასო ოთახში ჩემს მასწავლებელთან ერთად გივი ბიჭიაშვილი შემოვიდა და გვითხრა, ვისაც სურვილი გაქვთ, კალათბურთის წრეზე ჩაეწერეთო. თავიდან გართობის მიზნით ვთამაშოდი, შემდეგ საქმეს სერიოზულად მოვეკიდე... ბატონი გივის გუნდს "მეტეხი" ერქვა. იქ რამდენიმე წელიწადი გავატარე და გურამ მეგრელაძის "მართვეში" გადავედი. კალათბურთელად, ფაქტობრივად, "მართვეში" ჩამოვყალიბდი. 16 წლიდან კი "დინამოში" ვარ".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ქულა და 2 მოხსნა ორმაგ დუბლამდე


ზაზა ფაჩულია

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მორიგ ტურში, ფაჩულიას "ატლანტამ" საკუთარ არენაზე 115:96 მოუგო "მილუოკის". ზაზა ფაჩულიამ ზედიზედ მეორე მატჩში აჯობა უშუალო კონკურენტ **ელ ჰორფორდს**. თანაც, ზაზამ ჰორფორდზე 4 წუთით მეტი დაჰყო მოედანზე. ვინძლო, სეზონის ბოლოსკენ მაინც დაიბრუნოს ქართველმა ცენტრფორვარდმა ადგილი სასტარტო ხუთეულში...

ზაზამ 22 წუთი ითამაშა და ორმაგ დუბლამდე 1 ქულა და 2 მოხსნა დააკლდა. ჩვენებურმა 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, საჯარიმო ხაზიდან კი სამივეჯერ ზუსტად ისროლა. 9 ქულის გარდა, ზაზას აქტივ-პასივში იყო 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება, 1 შეცდომა და 5 ფოლი. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 21 პუნქტი შეადგინა, რითაც თანაგუნდელებს შორის მხოლოდ ჩილდრესს (26) ჩამორჩა. რაც შეეხება ჰორფორდს, მან 18 წუთში 7 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი დააგროვა.

ჯორჯიელებს 40 წაგების წილ 31 მოგება მოუგროვდათ და აღმოსავლეთ კონფერენციაში პლეი ოფში გამსვლელ მერვე ადგილს ინარჩუნებენ. ატლანტელების უშუალო კონკურენტ "ნიუ ჯერსის" კი ამდენივე მოგება და 41 წაგება აქვს.

ფაჩულია და მისი თანაგუნდელები მომდევნო მატჩს 28 მარტს ისევ საკუთარ მოედანზე გამართავენ "ჩიკაგოს" წინააღმდეგ.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# შაფათავა წინ მიიწევს

მოსკოვში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. ტურნირში ქართველი **სოფიო შაფათავა** (388) თამაშობს. პირველ წრეში მან "უაილდ ქარდით" მიწვეული **ირინა კოტკინა** დაამარცხა - 5:7, 7:5, 6:3. მოსკოვის ტურნირის მერვედფინალში შაფათავა მე-2 ნომრად განთესილ ბელარუს **ეკატერინა ძეჰალევიჩს** (172) შეხვდა. სამწუხაროდ, ძეჰალევიჩთან შაფათავა ვერას გახდა – 2:6, 0:6.

სოფიოსა და რუსი **მარინა შამაიკოს** წყვილმა პირველ წრეში რუსი **ეფრიმოვა** და ბელარუსი **კაპშაი** დაამარცხა - 4:6, 7:5, 11:9. მეოთხედფინალში სოფიოს აქაც ძეჰალევიჩთან მოუწია ურთიერთობის გარკვევა, მხოლოდ წყვილთა თანრიგში ბელარუსი პირველ ნომრად იყო განთესილი რუს **როდიონოვასთან** ერთად. შაფათავამ და შამაიკომ 7:6, 7:5 მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

ათენში 10-ათასიან ტურნირში **სოფიო ქვაცაბაიამ** მერვედფინალში სლოვაკი **კლაუდია ბოჩკოვა** დაამარცხა – 7:6, 5:7, 6:4. მეოთხედფინალში ქართველი ამერიკელ **ლენა ლიტვაკს** შეხვდება, რომელმაც პირველ ნომრად განთესილი პორტუგალიელი **ფრედერიკა პიედადე** (289) დაამარცხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პროფესიული კრივი

# ორი წაგება უკრაინაში

პროფესიონალი ქართველი მოკრივეები - **გარი აბაჯიანი** (62 კგ) და **დავით გეგეშიძე** (მძიმე) უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკს ესტუმრნენ, სადაც სარეიტინგო ორთაბრძოლები გამართეს მასპინძლების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ორივე ჩვენებურს ხელი მოეცარა.

გარი აბაჯიანი ათრაუნდიან ბრძოლაში სერგეი ფედჩენკოსთან ქულებით დამარცხდა, ხოლო დავით გეგეშიძემ ანდრეი რუდენკოს 4 რაუნდში ვერ მოუხერხა ვერაფერი და ასევე ქულებით წააგო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ავტობილდი მალე გამოვა

Auto Bild
საქართველო

გუშინ, "თბილისი მარიოტში" პრეს-კონფერენცია გამართა ახალი ქართული საავტომობილო ჟურნალის "Autobild საქართველოს" ხელმძღვანელობამ.

დამსწრე საზოგადოებას, ჟურნალისტებს გააცნეს გერმანული Autobild-ის ლიცენზიანტის, "მედიამენეჯმენტსერვისის" გენერალური დირექტორი, **ზურაბ შარაშენიძე**. ქართული ჟურნალის გამომცემელი გახლავთ **გიორგი შარაშიძე**, მარკეტინგის მენეჯერი - **ლაშა ნიკლაური**, მთავარი რედაქტორი - **შალვა ბუაჩიძე**.

ამ ჯგუფთან მუდმივ თანამშრომლობას აპირებს საქართველოს ავტოფედერაცია (GAF) და მისი პრეზიდენტი, ბატონი **შალვა ოგბაიძე**.

იქვე პრესკონფერენციაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს შალვა ოგბაიძემ და მთავარმა რედაქტორმა, შალვა ბუაჩიძემ.

Autobild -ი არის მსოფლიო ლიდერი ავტოჟურნალებში და გამოიცემა გერმანიაში 1986 წლიდან. გერმანიის გარდა, Autobild დღეისათვის 29 ქვეყანაში გამოიცემა, 30 აპრილიდან კი მათ რიცხვს საქართველოც მიემატება. სწორედ ამ დღეს გამოვა "Autobild საქართველოს" პირველი ნომერი.

ქართულ ჟურნალში ძირითადად წარმოდგენილი იქნება ექსკლუზიური მასალები - ცნობილი ავტოფირმების როგორც ახალი, ისე მეორადი მოდელების ამომწურავი ტესტები, შედარებები და დეტალური განხილვები. ქართველი მკითხველი ოფიციალურად მიიღებს მონაწილეობას ევროპის №1 ავტომობილის ყოველწლიური დაჯილდოების, საუკეთესო მანქანის გამოვლენაში.

იმედოვნებენ, რომ ყოველთვიურად საშუალოდ 90 000-ზე მეტი ადამიანი წაიკითხავს, მთელი საქართველოს მასშტაბით. ჟურნალის ფასი პირველ თვეებში წამახალისებელი იქნება და ეღირსება 3 ლარი.

"Autobild საქართველოს" ხელმძღვანელობასთან შალვა ოგბაიძის თანამშრომლობა და პარტნიორობა ნიშნავს იმას, რომ ამ ჟურნალში ავტოსპორტში საქართველოს ჩემპიონატის ყველა ეტაპი გაშუქდება, ყურადღება მიექცევა გზებსა და სპეციალურ ტრასებზე უსაფრთხოების წესების დაცვას უკვე ცნობილი დევიზით "დაფიქრდი, სანამ საჭეს მიუჯდები". ამას კიდევ დაემატება "Make Your Car Green", რაც ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე ეტაპობრივად გადასვლა და გარემოს დაბინძურებისთვის უარის თქმას ნიშნავს.

"Autobild საქართველოს" დაფუძნებას გამოეხმაურა გერმანული ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ბერნდ ვილანდი: *"მოუთმენლად ველით Autobild-ის საქართველოში გამოსვლას და გვჯერა, რომ "Autobild საქართველოც" ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც გერმანიაშია და მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, ქართველ მძღოლთა და ავტომოყვარულთა ცხოვრებაში Autobild-ის გამოსვლის დღიდან ახალი ერა დაიწყება"*.

**დავით ჩუბინიძე**

ხელბურთი. U 20. ევროპის ჩემპიონატი

# როცა სკამი მოკლეა, ვერ გაიმარჯვებ

**საქართველოს 20-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრებმა უკან მოიტოვა წლის უმთავრესი შეჯიბრება - ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. ჩვენმა ახალგაზრდებმა ესპანეთში მასპინძლებთან, სლოვაკებსა და იტალიელებთან ნაგებით, ბოლო ადგილზე დაამთავრეს ტურნირი. ესპანურ პერიპეტიებზე გვესაუბრება ნაკრების მწვრთნელი გიორგი ქობელაშვილი.**


გიორგი ქობელაშვილი

- მთლიანობაში, გუნდის გამოსვლას ვერც დადებითად შევაფასებ და ვერც უარყოფითად. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მაქსიმალურად ღირსეულად დაემთავრებინათ ტურნირი და თუკი სამივე მატჩი წავაგეთ, ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები.

პირველი შეხვედრა სლოვაკებთან ჩავატარეთ. მეტოქეს საწყის ნახევარსაათიან მონაკვეთში არაფერი დავუთმეთ, მაგრამ ბოლოს თავი იჩინა სათადარიგოთა მოკლე სკამმა, დაღლილობამ, სლოვაკებსაც წაუვიდათ თამაში და 14-ბურთიანი სხვაობით დავმარცხდით.

ესპანეთი ევროგრანდია, მათი ჩემპიონატი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა და ალბათ ლოგიკურიც იყო, რომ ესპანურ ლიგაში გამოწრთობილმა ხელბურთელებმა დიდი ანგარიშით მოგვიგეს. მასპინძლებს მხოლოდ 2 მოთამაშე ჰყავდათ "ბარსელნას" აკადემიიდან, დანარჩენები კი იქაურ ჩემპიონატში უმაღლეს დონეზე თამაშობენ, რაც ჩვენი ხელბურთელებისათვის მიუწვდომელი ოცნებაა.

სინანულის გრძნობა დაგვიტოვა იტალიასთან წაგებამ. იტალიელებს ჩვენზე გაცილებით უკეთესი პირობები კი აქვთ, მაგრამ საქართველოს ნაკრებზე ძლიერები ნამდვილად არ არიან და სავსებით რეალური იყო მათი დამარცხება. მთელი თამაში ვიგებდით, მაგრამ ბოლო წუთებზე ისევ თავი იჩინა დაღლილობამ, რასაც შეცდომები მოჰყვა და მინიმალური სხვაობით დავთმეთ.

აღანიშნავია ისიც, რომ ესპანეთთან დაგვიშავდა ერთ-ერთი საკვანძო ხელბურთელი გიორგი ჩიქოვანი. მას ხელი ისე აწუხებდა, რომ კარში დარტყმა არ შეეძლო. ამიტომ იძულებული გავხდით, რომ მისთვის დაგვევალებინა არ დაერტყა, რადგან ტრავმა გაუმიზეზდებოდა, მისი შემცვლელი, კი ფაქტობრივად არ გვყავდა და გვინდოდა როგორმე თამაშის ჩამთავრება მოეხერხებინა. ასევე მეორე მატჩში დაგვემტვრა კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე ზურაბ მელქოშვილი, რომელიც იტალიასთან საერთოდ ვერ გამოვიყვანეთ მოედანზე...

ჯერ კიდევ ესპანეთში წასვლამდე გითხარით, რომ მოკლე სათადარიგოთა სკამის გამო, მოსალოდნელი იყო პრობლემები და, სამწუხაროდ, მართლაც ასე მოხდა. ჩვენს მეტოქეებს თითოეულ პოზიციაზე 2-2 ხელბურთელი ჰყავდათ, რომლებიც წარმატებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ჩვენ კი, ფაქტობრივად, ერთი ხელბურთელიც არ გვყავდა, ძირითადი შვიდეულის წევრი რომ სრულფასოვნად შეეცვალა. შესაბამისად, მეორე ტაიმში ფიზიკურად ძალიან გვიჭირდა.

ძნელია ასეთ დროს მოუგო იმ გუნდს, რომელსაც არანაირი საკადრო პრობლემები არ აწუხებს და წელიწადში 30-მდე საკონტროლო მატჩს ატარებს. ჩვენ კი მხოლოდ საქართველოს ოთხგუნდიან ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეებით გავდივართ ფონს და ესპანეთში წასვლამდე მხოლოდ თურქებსა და სტუ-"თელავთან" ჩავატარეთ საკონტროლო მატჩები, რაც ძალიან ცოტაა.

ფიზიკური კონდენციების ამაღლებას ბევრი არაფერი უნდა. ყველაზე მთავარი საერთაშორისო მატჩები და გამოცდილების მიღებაა. მხოლოდ ვარჯიშებით შორს ვერ წავალთ, რადგან ხელბურთელი თამაშში იწრთობა, ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში სწავლობს ძალიან ბევრ რამეს. რომ ვადარებ აქაურ და სხვა ქვეყნების პირობებს, ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრს ვთხოვთ ჩვენს მოთამაშეებს...

**- ესპანეთში ტრავმის გამო ვერ წამოვიდა ნაკრების გამოკვეთილი ლიდერი რატი მსხვილიძე. რა შეიცვლებოდა რატის ყოფნით?**

- რატი ჩვენთვის მართლაც ფასდაუდებელი მოთამაშეა, რომელსაც ხშირად მარტო შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ის რომ გვყოლოდა, იტალია აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა და სლოვაკებთანაც კაცმა არ იცის, რას ვიზამდით. არადა, 4 გუნდიდან 2 გადიოდა ევროპის ჩემპიონატზე და ეს რომ მოგვეხერხებინა, ქართული ხელბურთისთვის იქნებოდა უნიკალური მიღწევა.

**- ვის გამოარჩევდით საქართველოს ნაკრებიდან?**

- ძალიან კარგად ითამაშა მეკარე გიგა ტორონჯაძემ. ასევე გამორჩეულები იყვნენ მიხეილ საჯაია, ვანო ქარდავა და ნიკა ჯორბენაძე. მაგალითად, საჯაიამ 13 ბურთი გაუტანა სლოვაკებს, მაგრამ მე მაინც მირჩევნია, რომ გუნდს ჰყავდეს რამდენიმე ლიდერი, რომლებიც გაიტანენ ვთქვათ 4-4 ბურთს და მოვიგებთ.

**კობა ხატისაშვილი**

## გიორგი სხირტლაძე



76 წლისა გარდაიცვალა სახელოვანი ვეტერანი ფალავანი, ქართული საჭიდაო სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გიორგი სხირტლაძე.

ჭიდაობას ჭაბუკობიდან ეზიარა მშობლიურ ონში. ეს ის პერიოდია, როცა რაჭიდან ფალავანთა ახალი სახეები ჩნდება სპორტულ სარბიელზე. ბუნებრივი ფიზიკური ძალის წყალობით, რაც ძმებთან ერთად მუხლჩაუხრელ შრომაში გამოუმუშავდა, საჭიდაო ხალიჩაზე წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. მწვრთნელები აშკარად გრძნოდნენ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა თავისუფალ ჭიდაობაში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობას უთუოდ შეძლებდა. ასეც მოხდა. 1954, 1957 და 1960 წლებში სამჯერ გახდა სსრკ ჩემპიონი და ორჯერაც 1953, 1958 წლებში მეორე პრიზიორი. 1956 წელს ხალხთა სპარტაკიადის ოქროს მედალს დაეუფლა, მომდევნო სპარტაკიადაზე "ბრინჯაო" ხვდა წილად. 1957 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა, ორი წლის შემდეგ ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. მერე იყო მელბურნის ოლიმპიური თამაშები და ბრინჯაოს მედალი, რომის ოლიმპიადაზე კი ფინალი დათმო და ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა. უიღბლო სპორტსმენს უწოდებდნენ, ორჯერ შეეძლო მიეღო ოლიმპიური ოქროს მედალი და იმიტომ.

29 წლისამ დაანება თავი ჭიდაობას, მაგრამ საფალავნო სამყაროსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. მუდამ რჩებოდა თავისი თაობის უსაყვარლეს პიროვნებად და ახალგზარდების ზნეობრივ მაგალითად. ცხოვრებაში არავისთვის არასდროს უწყენინებია, თუმცა ზოგჯერ წყენა თავად შეხვედრია, მაგრამ ავმეხსიერი არასოდეს ყოფილა. დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ღირსების ორდენებით.

შესანიშნავი სპორტსმენის და პიროვნების, გიორგი სხირტლაძის ღვაწლი სამარადჟამოდ დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი,*
*ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია,*
*ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი*

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ფალავნის, თავისუფალ ჭიდაობაში რომის ოლიმპიური თამაშების (1960) მეორე და მელბურნის ოლიმპიადის (1956) მესამე პრიზიორის, მსოფლიო ჩემპიონის და მეორე პრიზიორის

გიორგი სხირტლაძის

გარადცვალების გამო

ჭადრაკი

# სწრაფშიც იყოჩაღეს

სტოკჰოლმში ახლახან დასრულებული საერთაშორისო შეჯიბრებისას მსვლელობისას სწრაფი ჭადრაკის ტურნირიც გაიმართა. მოსაფიქრებლად მოჭადრაკეებს 15 წუთი ეძლევათ, რასაც მეორენაირად "რაპიდს" უწოდებენ. დროის ასეთი კონტროლი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიც იმართება და ძალიან პოპულარულია მოჭადრაკეებში.

სულ 64 მსურველი მოუსხდა დაფებს. აღსანიშნავია, რომ ტურნირი შერეული იყო - ვაჟებიც მონაწილეობდნენ და საკმაოდ მაღალრეიტინგიანებიც. მაგალითად, წარმოშობით რუსი, მაგრამ შვედეთის სახელით მოასპარეზე **ევგენი აგრესტი**, რომლის რეიტინგიც 2636-ის ტოლია; პირველ ნომრად კი ევროპის 2000 წლის ჩემპიონი, პოლონელი **მიხალ კრასენკოვი** გახლდათ - 2672.

ვინაიდან ქალბატონები მთავარი ტურნირის ბოლო ტურისთვის ემზადებოდნენ, ბევრმა მათგანმა "რაპიდში" არ ითამაშა. 16 ქართველიდან ასეთი სურვილი მხოლოდ სამმა გამოთქვა: **სოფიკო ტერელაძემ, ინგა ჭარხალაშვილმა** და საფრანგეთში გათხოვილმა, მაგრამ მაინც საქართველოს სახელით მოასპარეზე **ნინო მაისურაძემ**. ტერელაძე სწრაფი ჭადრაკის დიდოსტატად ითვლება და ინგაც სტაბილური შედეგებით გამოირჩევა ორივე ფრონტზე. აი, ნინო მაისურაძის შესაძლებლობები კი კარად ნამდვილად არ ვიცოდით, მაგრამ ამჯერად საკმაოდ შთამბეჭდავად ითამაშა, 5,5 ქულა დააგროვა 9 შესაძლებლიდან და მეთექვმეტე ადგილზე გავიდა. უკეთესად ითამაშეს ჭარხალაშვილმა და ტერელაძემ: ორივემ 6,5 ქულა დააგროვა და ბევრ ვაჟ დიდოსტატს აჯობა. მიუხედავად ქულათა თანაბრობისა, პერფორმანსი უკეთესი ტერელაძეს ჰქონდა. მან რამდენიმე ფავორიტს აჯობა, ხოლო რვიდან რვავე პარტიაში მომგებ **მიხალ კრასენკოვთან** ბოლო ტურში ბოლო ტურში ყაიმით ითამაშა. 6,5 ქულა მაღალი შედეგია, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალთა შორის პირველობისთვის საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა - სლოვენიელმა ანა მუზიჩუკმა 7 ქულა დააგროვა და ერთი საფეხურით გაასწრო ტერელაძეს - ანა მესამეზე გავიდა, სოფიკო მეოთხე იყო, ჭარხალაშვილი კი - მეხუთე.

საბოლოო ცხრილი: **1. მიხალ კრასენკოვი (პოლ. 2636) - 8,5; 2. ევგენი აგრესტი (შვედ. 2672) - 7,5; 3. ანა მუზიჩუკი (სლოვ. 2460) - 7; 4. სოფიკო ტერელაძე (2195) - 6,5; 5. ინგა ჭარხალაშვილი (2369) - 6,5; 16. ნინო მაისურაძე (2280) - 5,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

ძიუდო, ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ბორჯომი, ოლიმპი, სამივე ნაკრები აქაა



თავისუფალი ჭიდაობის ნაკრები შეკრებას დღეს ამთავრებს

ზაზა თურმანიძე, გია გალდავა, ბეგი დარჩია



გუშინ, სპორტული ჟურნალისტები ბორჯომში სპორტკომპლექს "ოლიმპს" ვესტუმრეთ, სადაც მოჭიდავეთა გუნდებმა პრესკონფერენცია გამართეს.

მოგეხსენებათ, გუშინწინ ბორჯომში ძიუდოისტებიც ჩავიდნენ და გუშინ სპორტკოპლექსში მართლაც დიდი ხალხმრავლობა იყო. ამდენი ხალხის ერთად მისაღებად იქ საკმარისი მხოლოდ სასტუმროა, თორემ დარბაზიც პატარაა და სასადილოშიც რიგში დგომა უწევთ. თუმცა "თავისუფლები" დღეს უკვე ამთავრებენ შეკრებას და თბილისში ბრუნდებიან, რაც დარჩენილთათვის ნამდვილად შვება იქნება. 1 აპრილს იქიდან "ანტიკოსებიც" აიბარგებიან და მერე იქაურობა მთლიანად ძიუდოისტებს დარჩებათ.

თუმცა გუშინაც დარბაზში მასპინძლებად სწორედ ძიუდოისტები დაგვხვდნენ, რომლებიც ვარჯიშს ამთავრებდნენ უკვე. უმეტესობა დარბაზიდან გასასვლელად ემზადებოდა, ნაწილი შტანგებს ექაჩებოდა, ზოგი კი ვეება ბუშტით ლლაბუცობდა. ვარჯიშს ესენიც მალე მორჩნენ და ნელ-ნელა გაიკრიფნენ დარბაზიდან, მათ ნაცვლად კი მოჭიდავეები შემოვიდნენ.

პრესკონფერენციაზე მასპინძლობა "თავისუფალთა" თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ**, მისმა კოლეგა **ბეგი დარჩიამ** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავამ** გაგვიწიეს, თუმცა ორივე ნაკრების წევრებიც იქვე ისხდნენ. "თავისუფლები" შეხვედრას სრულად ესწრებოდნენ: **ბესიკ გუჩაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). "ანტიკოსთა" ევროპულ შვიდეულს მხოლოდ **მუხრან მაჭუტაძე** (66) აკლდა, რომელიც ვარჯიშის შემდეგ ეკლესიაში წასულიყო. სხვანი - **ირაკლი ჭოჭუა** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **შმაგი სალთხუციშვილი** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96), **გურამ ფერსელიძე** (120) იქვე იყვნენ.

1-6 აპრილს ფინურ ტამპერეში გასამართ ევროპის ჩემპიონატს "თავისუფლები" ხსნიან და პრესკონფერენციაზეც პირველი სიტყვა თურმანიძეს დაეთმო. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, რომელმაც ნაკრებში მოხვედრის კანდიდატები გამოავლინა, გუნდმა კიდევ სამ ტურნირში იჭიდავა. ამ შეჯიბრებებში არა მხოლოდ ლიდერებმა, არამედ მეორე და მესამე ნომრებმაც კი იჭიდავეს. ეს იმ მიზნით, რომ ყველა შესაძლო კანდიდატი მაქსიმალურად გამოეცადათ. თურმანიძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამ სელექციამ მართლაც გამოიღო ნაყოფი - **ბელდუხ გავაშელმა** (96) მართლაც კარგად წარმოაჩინა თავი და ახლა თუ ვერ ბედება ნაკრებში, ხელმძღვანელობას სამომავლოდ დიდი იმედები გაუჩინა.

რაც შეეხება ფინეთში წამსვლელ შვიდეულს, თურმანიძეს განსაკუთრებული პრეტენზიები არავისზე გამოუთქვამს. მისი თქმით, მთელი საწვრთნელი პროცესი გუნდმა ნორმალურად და დაგეგმილად, სერიოზული პროლემების გარეშე ჩაამთავრა. ერთი ეგაა, ცოტა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი** (66) შეაწუხა ტრავმებმა, რის გამოც ევროპირველობას გამოტოვებს. თავად ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით თურმანიძემ განაცხადა, რომ იქ შედეგი და ლიცენზიები უმნიშვნელო ნამდვილად არაა, მაგრამ მათთვის მთავარი შეჯიბრება მაინც ოლიმპიადაა და ამას სწორედ იმისთვის მზადების ეტაპად განიხილავენ. თუმცა ოლიმპიადამდე ლიცენზიებია მოსაპოვებელი, რადგან თუშიშვილისა და სალირაშვილის გარდა, ის აქამდე ვერავინ მოიპოვა. თურმანიძე იმედოვნებს, რომ ამ ამოცანასაც წარმატებით გადაჭრიან და პეკინში ბოლომდე სრულყოფილი თუ არა, მოზრდილი გუნდით მაინც წავლენ. წონაში თითო ლიცენზია ევროპაზეც გაიცემა და მწვრთნელი მათ მოპოვებას აქაც იმედოვნებს, მაგრამ უფრო მეტად ნაევროპევს გასამართი ორი სალიცენზიო ტურნირისა ეიმედება.

მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილება **ბეგი დარჩიამაც** გამოთქვა. მისი თქმით, ამ ბიჭებმა დაიმსახურეს ნაკრებში მოხვედრა და პრეტენზიები არც ამას წაუყენებია ვინმესთვის. არადა, ამ გუნდში ორი დებიუტანტია - სახლთხუციშვილი და ფერსელიძე, თუმცა საერთაშორისო ტურნირებში ორივემ წარმატებით იჭიდავა. უცხოეთში ჭიდაობის დიდი გამოცდილებით ვერც ლაშხი დაიკვეხნის, რომელიც ბორჯომელია და შეიძლება ითქვას, იქაურთა ერთ-ერთი საყვარელი სპორტსმენია. დარჩიამ აღნიშნა, რომ მიზეზთა გამო, ამჟამად ორ ლიდერს, მსოფლიო ჩემპიონებს - **დავით ბედინაძესა** (60) და **მანუჩარ კვირკველიას** (74) ასვენებს. მას ცოტა ხასაიას მდგომარეობა აფიქრებს, რომელიც შეკრების დასაწყისში გაციებულა და ამ საკითხე საუბრის უფლება გუნდის ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილს** დაუთმო. ექიმმა დარწმუნებით განაცხადა, რომ ხასაია შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს, თუმცა იქვე დასძინა, რომ გუნდისთვის მთავარი მაინც ოლიმპიადაა და ფინეთშიც კი იმისთვის ემზადებიან.

ევროპის ჩემპიონატს ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი დარჩიამაც უწოდა და გამოთქვა რწმენა, რომ პეკინში სრული გუნდით წავა. ამ ნაკრებს სამი ლიცენზია აქვს - ბედინაძეს, ხასაიასა და ნოზაძეს, სხვებს კი საამისოდ ევროპის ჩემპიონატი და ორი სალიცენზიო ტურნირი რჩებათ.

ბუნებრივია, შემთხვევით ვისარგებლეთ და გუნდების ლიდერებსაც გავესაუბრეთ. ნოზაძემაც, ხასაიამაც, გოგშელიძემაც და სხვებმაც აღნიშნეს, რომ ტურნირისთვის კარგად მოემზადნენ და მზად არიან საბრძოლველად, თუმცა მათთან ინტერვიუებს მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

დასასრულს, შემოგთავაზებთ რუსეთის "თავისუფალთა" ნაკრების შემადგენლობას, რომელიც გუშინ უკვე ოფიციალურად გამოაცხადეს: **ჯამალ ოთარსულთანოვი** (55), **ადამ ბატიროვი** (60), **რასულ ჯუკაევი** (66), **მახაჩ მურთაზალიევი** (74), **გიორგი კეტოევი** (84), **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96), **ბახტიარ ახმედოვი** (120).

**ირაკლი თავაძე**
ბორჯომი-თბილისი
ავტორის ფოტოები



ქართული ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს, ჩოხიანი ჭიდაობების - ქართულის, სამბოსა და ძიუდოს ვეტერან ფალავანს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, იური იმერლიშვილს.

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 65 წელს ულოცავს ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს, სამბოში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სსრკ ხუთგზის ჩემპიონს სტუდენტთა შორის, სსრკ ჩემპიონატების პრიზიორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, იური იმერლიშვილს.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივნს, ვეტერან ძიუდოისტს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, იური იმერლიშვილს.

რაგბი. ჩეხეთი-საქართველო. 29 მარტი

## 21 კაცით და ხუთი დებიუტანტით




საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უკვე ოთხი დღეა ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში იმყოფება და ერთა თასის მორიგი შეხვედრისთვის ემზადება. შაბათს მატჩი "ტატრა სმიშოვის" სტადიონზე, თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** ნაკრების 21-კაციანი შემადგენლობა გუშინ, საღამოს გამოაცხადა. ჩეხების წინააღმდეგ ხვალ 22-ის ნაცვლად სწორედ 21 ქართველს მოუწევს თამაში. ბოლო მომენტში კლუბმა ნაკრებში სათამაშოდ შუამარბი **რეზო გიგაური** არ გამოუშვა.

ჩეხებთან მატჩში ბორჯღალოსანთა რიგებში ხუთი დებიუტანტი იქნება: პირველხაზელები **შოთა მელიქიძე** და **გიორგი მჭედლიშვილი**, მესამეხაზელი **დავით ჩიჩუა**, შუამარბი **ალექსანდრე თოდუა** და გარემარბი **ალექსანდრე ნიჟარაძე**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველო ჩეხეთი**

15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. გიორგი შკინინი, 13. დავით კაჭარავა, 12. ალექსანდრე თოდუა, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 10. ლაშა მალაღურაძე, 9.გიორგი კაჭარავა; 1. გოდერძი შველიძე, 2. დავით დადუნაშვილი, 3. შოთა მელიქიძე, 4. შალვა სუთიაშვილი, 5. გიორგი ნემსაძე, 6. ბესო უდესიანი, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. დიმიტრი ბასილაია / 16. სიმონ მაისურაძე, 17. გიორგი მჭედლიშვილი, 18. ალექსანდრე მჭედლიშვილი, 19. დავით ჩიჩუა, 20. მერაბ კვირიკაშვილი, 21. ალექსანდრე ნიჟარაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | +125 | 14 |
| 2. საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| 3. რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +133 | 12 |
| 4. პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5. ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| 6. ჩეხეთი | 8 | 0 | 0 | 8 | -372 | 0 |

**29 მარტი**
ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**
რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**
ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**
საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**
ესპანეთი-პორტუგალია

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

## ჩემპიონების წინააღმდეგ

ადელაიდაში მიმდინარე მსოფლიო ტურის პირველ ეტაპზე, ვაჟთა შორის ქართული წყვილი, **გეორ-გია პირველი** დღის შემდეგ ასპარეზობას აგრძელებს. ჩვენმა ფრენბურთელებმა სტარტი წარუმატებლად აიღეს. ძირითადი ბადის პირველ შეხვედრაში მათ მე-17 ნომრად განთესილ ჰოლანდიელებთან **ბორესმასთან** და **რონესთან** წააგეს 13:21, 19:21. თუმცა, შემდეგ, გაცილებით სუსტი მეტოქე, ტურნირის 32-ე ნომრები ავსტრალიური დუეტი ბოემი და მაკჰოგი დაამარცხეს 2:0 (21:14, 22:20) და ასპარეზობას აგრძელებენ.

მეორე დღეს გეორ-გიას ურთულესი ბრძოლის გადატანა მოუწევს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან, ამერიკელებთან როჯერსთან და დალჰაუზერთან. გეორ-გიას, რომელიც ტურნირზე მე-16 ნომრადაა განთესილი, წაგების უფლება აღარ აქვს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**კლივლენდი–ნ. ორლეანი 99:100**

23:25, 27:31, 21:17, 28:27

კ: ილგაუსკასი (29+15 მოხსნა), ჯეიმსი (21), ვარეჟაო (11+15 მოხსნა), პაველოვიჩი (10).

ნ-ო: სტოიაკოვიჩი (25), უესტი (20), პოლი (15+20 პასი), ჩენდლერი (13+11 მოხსნა), პარგო (13).

**ტორონტო–დეტროიტი 89:82**

19:20, 14:15, 28:16, 28:31

ტ: ბოში (21), ნესტეროვიჩი (15), ფორდი (13), კალდერონი (13), დელფინო (10).

დ: ბილაპსი (24), სტაკი (16), უოლასი (15), პრინსი (10).

**ნიუ ჯერსი–ინდიანა 124:117**

42:29, 26:31, 30:28, 26:29

ნ-ჯ: ბუნი (26), კარტერი (22+14 მოხსნა), პარისი (22+15 პასი), ჯეფერსონი (20), ნახბარი (18).

ი: დანლივი (33), გრეინჯერი (19), დიოგუ (16), მიურეი (14), დენიელსი (12).

**ფილადელფია–ჩიკაგო 121:99**

34:19, 31:30, 26:28, 30:22

ფ: უილიამსი (23), იგუოდალა (21+4 ჩაჭრა), იანგი (20), დალემბერი (12+4 დაფარება), კარნი (12), მილერი (9+18 პასი).

ჩ: სეფოლოშა (20), ჰაინრიხი (18), ნოჩიონი (16), გორდონი (12), ნოა (10).

**ატლანტა–მილუოკი 115:96**

32:37, 33:23, 29:22, 21:14

ა: ჯონსონი (28), ჩილდრესი (20), ბიბი (16), უილიამსი (16), ლოუ (10).

მ: ბოგუტი (27), რედი (20), უილიამსი (13), მეისონი (10), ვილანუევა (10).

**ბოსტონი–ფინიქსი 117:97**

33:20, 24:37, 27:16, 33:24

ბ: გარნეტი (30), პირსი (27), ალენი (14), რონდო (14), პერკინსი (13+10 მოხსნა).

ფ: სტაუდმაიერი (32), ო'ნილი (16), დიაო (15), ნეში (12), გირიჩეკი (11).

**ნიუ იორკი–მაიამი 103:96 (ო)**

26:20, 22:20, 15:25, 29:27, 11:4

ნ-ი: კროუფორდი (24), რენდოლფი (16+14 მოხსნა), ლი (15+16 მოხსნა), ჯეფრიზი (12), ჯონსი (11), ჩენდლერი (10+10 მოხსნა).

მ: დევისი (28), კუკი (21), პაუელი (14), ქუინი (9+6 ჩაჭრა).

**სან ანტონიო–კლიპერსი 97:88**

27:18, 21:26, 26:27, 23:17

ს-ა: დანკანი (26+12 მოხსნა), ფინლი (16), პარკერი (15), ჯინობილი (13).

კ: მაგეტი (22), ტორნტონი (21), კამანი (16), მობლი (10).

**ჰიუსტონი–მინესოტა 97:86**

24:23, 22:19, 22:18, 29:26

ჰ: მაკგრეიდი (23+11 მოხსნა), სკოლა (18+18 მოხსნა), ელსტონი (12), ლენდრი (11).

მ: ჯეფერსონი (21+10 მოხსნა+5 დაფარება), გომესი (17), მაკენტსი (16), სნაიდერი (12).

**საკრამენტო–მემფისი 107:106 (ო)**

23:24, 19:26, 38:23, 18:25, 9:8

ს: მარტინი (36), არტესტი (24+6 ჩაჭრა), მილერი (15+17 მოხსნა), მური (15).

მ: უორიკი (26), ლოური (16), მილერი (14), გეი (13), კრიტერტონი (13).

**სიეტლი–ვაშინგტონი 99:104**

23:29, 33:21, 19:18, 24:36

ს: დიურანი (32), გრინი (13), უილკინსი (13), უოტსონი (10), პეტრო (10), კოლისონი (9+21 მოხსნა).

ვ: მეისონი (22), ბატლერი (21), ჯეიმისონი (17+12 მოხსნა), ჰეიუდი (13), სტივენსონი (11), სონგაილა (10).

**ლეიკერსი–შარლოტი 95:108**

24:27, 20:30, 24:25, 27:26

ლ: ბრაიანტი (27), ოდომი (18), ტურიაფი (12), ვუიაჩიჩი (11), უოლტონი (11).

შ: რიჩარდსონი (34+10 მოხსნა), კეროლი (18), უოლასი (15), ფელტონი (13+10 პასი), ოკაფორი (11+11 მოხსნა).

## ცურვა. მსოფლიოს რეკორდები

# სალივენმა რეკორდი მაინც მოხსნა



იმონ სალივენი

გასული ერთი კვირა ცურვაში მსოფლიო რეკორდებით მდიდარი გამოდგა - ევროპისა და ავსტრალიის ჩემპიონატებზე სულ 12 რეკორდი გაუმჯობესდა, რომელთაგან ბოლო ორი ავსტრალიაში დამყარდა. სიდნეიში ასპარეზობისას, 50 მეტრზე თავისუფალ სტილში მსოფლიოს რეკორდსმენის წოდება **იმონ სალივენმა** დაიბრუნა, ერთი საათის შემდეგ კი, 100 მეტრზე თავისუფალში, მსოფლიოს რეკორდი **ლიბი ტრიკეტმა** (გათხოვებამდე **ლიბი ლენტონი**) გააუმჯობესა.

სალივენმა ჩემპიონატზე ასპარეზობა რომ დაიწყო, მსოფლიოს რეკორდი მას ეკუთვნოდა, მაგრამ აინდჰოვენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, მისი შედეგი ფრანგმა **ალენ ბერნარმა** გააუმჯობესა. სალივენმა რეკორდსმენის წოდების დაბრუნება ჯერ ას მეტრზე სცადა (აქაც რეკორდსმენი ბერნარია), მაგრამ მიზნამდე 0.02 წამი დააკლდა. სამაგიეროდ, მისი რევანში 50 მეტრზე თავისუფალში შედგა - ფინიშის დაფას სტარტიდან 21.41 წამში შეეხო და 0.09 წამი მოაკლო ბერნარის რეკორდს, რომელიც ფრანგმა ასევე ევროფორუმზე დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ 22 წლის სალივენმა ერთი თვის წინ, სახელოვანი რუსის, **ალექსანდრ პოპოვის** მიერ რვა წლის წინათ დამყარებული რეკორდი მოხსნა. სხვათა შორის, ესეც სიდნეიში, მსოფლიო თასის ეტაპზე ასპარეზობისას გააკეთა.

*"ძალიან მინდოდა ამ რეკორდის დამყარება და ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც შევძელი. გუშინ მიზანს ორჯერ ვერ მივაღწიე, ახლა კი ამ გამარჯვებით ორმაგად ბედნიერი ვარ"*, - განაცხადა სალივენმა.

რაც შეეხება 23 წლის ტრიკეტს, 100 მეტრზე თავისუფალში რეკორდი მას აქამდე ორჯერ, 2004 და 2006 წლებში ჰქონდა დამყარებული, მაგრამ შემდეგ რეკორდსმენის წოდება გერმანელმა **ბრიტა შტეფენმა** ჩამოართვა (ევროპის 2006 წლის ჩემპიონატზე, რომელსაც ბუდაპეშტმა უმასპინძლა). ტრიკეტმა შტეფენის რეკორდის (53.30) გაუმჯობესება შარშან, აუზის დუელის (რომელშიც ტრადიციულად, ავსტრალიელი და ამერიკელი მოცურავეები ეჯიბრებიან ერთმანეთს) დროს შეძლო, როცა დისტანცია 53 წამზე ნაკლებში (52.99 წამში) გაცურა, მაგრამ ეს შედეგი არ ჩაითვალა, რადგან ლენტონმა (მაშინ ის ჯერ კიდევ ლიბი ლენტონი იყო) ეს შერეულ სქესთა შორის, შერეული სტილით ესტაფეტაში ასპარეზობდა. თანაც, იმ მომენტში მის წინააღმდეგ თვით **მაიკლ ფელპსი** ასპარეზობდა.

*"სიტყვებით ვერ გამოთქვამ, თუ რამდენად მსურდა ამ რეკორდის გაუმჯობესება. აუზის დუელამდეც ძალიან მონდომებული ვიყავი, მერე კი ეს სურვილი კიდევ უფრო გამიძლიერდა. ახლა მაიკლის წინააღმდეგ არ მიასპარეზია, მაგრამ ამის მიუხედავად, არჩათვლილ რეკორდზე 0.1 წამით უფრო სწრაფი ვიყავი"*, - განაცხადა ლენტონმა, ვინც დისტანცია 52.88 წამში გაცურა.

ამგვარად, ავსტრალიის ჩემპიონატზე, რომელიც ამავდროულად, ავსტრალიელი მოცურავეებისთვის ოლიმპიური შესარჩევი ტურნირიცაა, მსოფლიოს ექვსი რეკორდი გაუმჯობესდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც ევროპის ჩემპიონატზე. თუმცა, სიდნეის ტურნირის დასრულებამდე კიდევ ორი დღეა დარჩენილი...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი. ტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი

# ფრანგებმა გუნდური გამარჯვებით დაიწყეს



მარცხნიდან: კევინ სირო, არნო ტურნანი, გრეგორი ბოჟი

მანჩესტერში სტარტი აიღო სატრეკო ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატმა, რომელზეც მედლების ოთხი კომპლექტი პირველივე დღეს გათამაშდა. მათგან სამი ჩემპიონი მამაკაცებმა გამოავლინეს, ერთი კი - ქალებმა.

ქალთა შორის 500 მეტრამდე დროზე ინდივიდუალურ რბოლაში ყველაზე სწრაფი კუბელი **ლისანდრა გერა როდრიგესი** გამოდგა, კაცთა შორის გუნდურ სპრინტში გამარჯვება ფრანგთა ტრიომ მოიპოვა, მამაკაცებშივე 4 000 მეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა ბრიტანელი **ბრედლი უიგინსის** გამარჯვებით დასრულდა, მამაკაცების სკრეტჩში კი ოქროს მედალს ბელარუსი **ალიაკსანდრ ლისოუსკი** დაეუფლა.

გუნდურ სპრინტში ფრანგებმა - **გრეგორი ბოჟმა, კევინ სირომ** და **არნო ტურნანმა** 250-მეტრიან ტრეკზე სამი წრე 43.271 წამში დაფარეს და უკან მოიტოვეს ბრიტანეთის სამეული. ბრიტანელებმა ვერცხლი მოიპოვეს, ბრინჯაოს კი ჰოლანდიური ტრიო დაეუფლა.

*"ფინალში ისე ვიასპარეზე, თითქოს ეს ჩემი კარიერის ბოლო რბოლა იყო. რბოლის დროს მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობდი, სხვა არაფერი მაინტერესებდა და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ"*, - განაცხადა ფრანგთა ტრიოში ყველაზე ტიტულოვანმა ტურნანმა.

უიგინსმა კი დაამტკიცა, რომ ინდივიდუალურ გამოდევნებით რბოლაში მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს - მანჩესტერში მან მსოფლიო ჩემპიონის რანგში იასპარეზა და ტიტულის შენარჩუნების შემდეგ განაცხადა, რომ პეკინშიც ოლიმპიური ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად იბრძოლებს. ფინალში უიგინსმა დისტანცია 4 წუთსა და 18.519 წამში გაიარა და თითქმის 5 წამით აჯობა ჰოლანდიელ **ჰენინგ ჰუიზენგას**. მესამეზე კი რუსი **ალექსეი მარკოვი** გავიდა.

აღსანიშნავია, რომ უიგინსი მანჩესტერში კიდევ სამ დისციპლინაში - მედისონსა და 4 000 მეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში იასპარეზებს. *"მანჩესტერში გამარჯვება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა. ჯერ კიდევ კვალიფიკაციაზე ვიგრძენი, რომ მოგება შემეძლო. წინასწარ რბოლებში ბოლომდე არ ვიხარჯებოდი, მაგრამ ფინალში ჩემს გრაფიკს მივყევი და როგორც აღმოჩნდა, მართებულადაც მოვიქეცი"*, - ნაფინიშევს განაცხადა ჩემპიონმა, ვინც იმედოვნებს, რომ დანარჩენ ორ დისციპლინაშიც შეძლებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

მსოფლიო ჩემპიონატზე სულ მედლების 18 კომპლექტი გათამაშდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## კალათბურთი

# როიმ სეზონი დაასრულა

რეგულარული ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში არ გაუმართლა "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ერთ-ერთ ლიდერს **ბრენდონ როის**. ახალგაზრდა კალათბურთელმა "ვაშინგტონთან" მატჩში საზარდულის ტრავმა მიიღო. ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა როი **კერონ ბატლერის** სამქულიანის ბლოკირებას ცდილობდა.

"პორტლენდის" მთავარი მწვრთნელის, **ნეიტ მაკმილანის** სიტყვებით, როის მკურნალობას შესაძლოა, ერთი თვე დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში კი, წელს მცველს მოედანზე ველარ ვიხილავთ, რადგან "თრეილ ბლეიზერსს" სეზონის ბოლომდე 10 მატჩი დარჩა ჩასატარებელი.

# სტერნი ოკლაჰომათი მოიხიბლა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** და ლიგის სამი კლუბის მფლობელმა ოკლაჰომა-სიტიში საქმიანი ვიზიტი დაასრულეს. დელეგაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს ქალაქი "სიეტლ სუპერსონიქსის" მომავალი სახლი უნდა გახდეს. ახლა, "სონიქსის" მფლობელს NBA-ის კიდევ 13 კლუბის მეპატრონის მხარდაჭერა სჭირდება და თუ ამ ხმებს მოიპოვებს, მალე "სიეტლ სუპერსონიქსი" "ოკლაჰომა სუპერსონიქსად" გადაიქცევა.

*"შესანიშნავი პრეზენტაცია იყო. ამ ყველაფრის შემხედვარე, არ შეიძლება მომავალი გარიგების წინააღმდეგ წავიდე და გუნდს ქალაქის გამოცვლის უფლება არ მისცე"*, - განაცხადა სტერნმა.

ეს საკითხი საბოლოოდ 18 აპრილს უნდა გაირკვეს. გაიმართება კენჭისყრა, სადაც "სონიქსის" ბედი გადაწყდება.

# გასოლი ბარსელონას უმიზნებს

მომავალ ზაფხულს, "ხირონას" ცენტრალური თავდამსხმელი **მარკ გასოლი** სავარაუდოდ, კლუბს გამოიცვლის. "ლეიკერსში" მოთამაშე **პაუ გასოლის** ძმა "ბარსელონაში" გადაბარგებას და იქ ორი სეზონის გატარებას გეგმავს. ერთადერთი, რამაც შეიძლება ამ ტრანსფერს ხელი შეუშალოს, NBA-ის კლუბიდან სარფიანი წინადადების მიღება იქნება. ცნობისთვის, უმცროსი გასოლი შარშანდელ დრაფტზე "ლეიკერსმა" დაიბევა.

კალათბურთელის აგენტი აცხადებს, რომ მარკს აგრეთვე "რეალი", "უნიკახა" და ერთ-ერთი ბერძნული კლუბი ინვევენ, მაგრამ "ბარსელონა" მზად არის ნებისმიერ კონკურენტზე მეტი თანხა გადაიხადოს.

მარკ გასოლი ესპანეთის წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეა. ამაზე მეტყველებს ის, რომ ცენტრს მარგი ქმედების საუკეთესო კოეფიციენტი აქვს და ამას გარდა, რვა ტურში მოიპოვა MVP-ის ტიტული.

## კალათბურთი. ახალი ამბები

# ბრენდი მალე ითამაშებს



ელტონ ბრენდი

"ლოს ანჯელს კლიპერსის" ლიდერმა **ელტონ ბრენდმა** თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ, პირველი სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა. როგორც კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელობა იტყობინება, ბრენდი უახლოეს მომავალში შეძლებს ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის მიღებას.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის კალათბურთელმა გასული წლის ზაფხულში აქილევსის მყესი გაიწყვიტა და იძულებული გახდა, მთელი სეზონი გამოეტოვებინა.

"კლიპერსის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დანლივიმ** განაცხადა, რომ სავარაუდოდ, ბრენდი მიმდინარე რეგულარულში 5-6 მატჩის ჩატარებას მოასწრებს. კალიფორნიელები იმის გამო ჩქარობენ, რომ მათ დამტვრეული ჰყავთ ძირითადი ცენტრი **კრის კამანი**, რომელიც ამ სეზონში ველარ დაეხმარება გუნდს.

**გია თვალაბეიშვილი**

# შაკი ფინიქსშიც პოლიციელი იქნება



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდარული ვარსკვლავი **შაკილ ო'ნილი** ფინიქსში გადაბარგების შემდეგაც თავისი ჰობისა და მოწოდების ერთგული დარჩა. ცნობილია, რომ შაკი მაიამიში, დრო და დრო, პოლიციელის ფუნქციებს ასრულებდა და ოფიციალურად ეკავა შერიფის თანაშემწის თანამდებობა. ახლა კი, როცა ო'ნილს კარიერის გაგრძელება "ფინიქს სანზში" მოუწია, ლეგენდალურმა ცენტრმა ქალაქის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებას მიაკითხა და იქ მოხალისედ მუშაობის სურვილი გამოთქვა.

**გია თვალაბეიშვილი**

ავტოსპორტი.
ფორმულა 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# აუტსაიდერების პროგრესი




რბოლებს შორის ორკვირიანი შესვენება - ეს ზუსტად ის დროა, რომ სული მოითქვა და ჩემპიონატის პირველი ორი ეტაპის შედეგები შეაჯამო. ფორმულას ექსპერტებმა შარშანდელი სეზონის პირველი ორი გრან-პრის შედეგები ამოქექეს, წლევანდელს შეადარეს და ძალიან სახალისო დასკვნებიც მიიღეს.

აქ მოცემულ ცხრილში გამოყვანილია 2008 და 2007 წლების ჩემპიონატებში, გუნდების მიერ პირველ ორ ეტაპზე მოპოვებული ქულათა სხვაობა. თუ გავითვალისწინებთ რეგლამენტის შედარებით სტაბილურობას, ლიდერთა პრობლემების ფონზე აშკარაა გუშინდელი აუტსაიდერების პროგრესი...

პროგრესის რეიტინგს სათავეში "BMW-ზაუბერი" ჩაუდგა. უფრო მეტიც, მალაიზიაში გერმანელმა **ნიკ ჰაიდფელდმა** გუნდს ისტორიაში პირველი სწრაფი წრე მოუტანა. **მარიო ტაისენის** გუნდს 39 გრან-პრი და 4197 წრე დასჭირდა იმისთვის, რომ ეს სიმაღლე დაეპყრო.

ორ გრან-პრიში ორი პოდიუმი - ეს არ არის რეკორდი. 2006 და 2007 წლებში გუნდს ასევე ორი პოდიუმი ჰქონდა, მაგრამ ეს მთელი სეზონის განმავლობაში. ორჯერ უნგრეთში და თითოჯერ - კანადასა და იტალიაში. როგორც ჩანს, 2008-ში გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

9 ქულა აქვს მოპოვებული "უილიამსს". 2005 წელს, **მარკ უებერმა** და იმავე ნიკ ჰაიდფელდმა ორი გრან-პრის შემდეგ ასევე ცხრა ქულა მიითვალეს და მაშინ, გუნდმა კონსტრუქტორთა თასზე მეხუთე შედეგი აჩვენა.

შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ, აშკარაა "ტოიოტას" პროგრესი - ხუთი ქულა, მაგრამ 2006 წელს, **რალფ შუმახერმა** სეზონის პირველ ორ რბოლაში გუნდისთვის შვიდი ქულა მოიპოვა. ასე რომ, "ტოიოტასთვის" ეს გასაკუთრებული მიღწევა რა არის.

ცხრილის ქვემოთ გადავინაცვლოთ. პირველ ორ რბოლაში 11 ქულა დააგროვა "ფერარიმ". ასეთი ცუდი სტარტი სკუდერიას 2005 წლის შემდეგ არ ჰქონია. მაშინ **რუბენს ბარიკელომ** და **მიხაელ შუმახერმა** ავსტრალიიდან და მალაიზიიდან 9 ქულა წამოიღეს. მაშინდელი სეზონი "ბრიჯსტოუნის" საბურავების პრობლემებით დაგვამახსოვრდა და ის წელი იტალიური გუნდისთვის ფორმულა 1-ის უახლეს ისტორიაში ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა.

ორი გრან-პრის შედეგებით სეზონის ტენდენციებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ ეს ცხრილი 2008 წლის ჩემპიონატზე გარკვეულ წარმოდგენას მაინც ქმნის.

**გია თვალაბეიშვილი**

| | 2008 | | | 2007 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუნდები | ქულები | წრეები | კმ | ქულები | წრეები | კმ | სხვაობა |
| ზაუბერი | 19 | 217 | 1177.631 | 10 | 205 | 1113.755 | +9 |
| უილიამსი | 9 | 224 | 1214.032 | 2 | 203 | 1100.029 | +7 |
| ტოიოტა | 5 | 119 | 644.737 | 3 | 225 | 1219.815 | +2 |
| რედ ბული | 2 | 1376 | 753.391 | 0 | 197 | 1066.771 | +2 |
| ტორო როსო | 2 | 94 | 507.842 | 0 | 185 | 1060.485 | +2 |
| რენო | 6 | 200 | 1087.480 | 8 | 227 | 1230.61 | -2 |
| მაკლარენი | 24 | 228 | 1235.964 | 32 | 228 | 1235.964 | -8 |
| ფერარი | 11 | 168 | 911.544 | 23 | 228 | 1235.964 | -12 |

ფორმულა 1

## კატარი ფორმულასთვის ემზადება

კატარის ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნასერ ჰალიფა ალ-ატიიამ** განაცხადა, რომ დაგეგმილია ავტოდრომ "ლოზაილის" მოდერნიზაცია, რათა მომავალში მან ფორმულა 1-ის ეტაპს უმასპინძლოს. დღეისთვის, ამ ტრასაზე მოტოსპორტში მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი იმართება.

*"ტრასის ფართომასშტაბიან რეკონსტრუქციას ვგეგმავთ, რათა მან მომავალში ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპს უმასპინძლოს. სულ მალე შესასრულებელ სამუშაოებზე ტენდერს გამოვაცხადებთ, რის შემდეგაც მშენებლობას შევუდგებით. რეკონსტრუქციის შემდეგ, "ლოზაილზე" სატესტო სერიები გაიმართება, რაც პოპულარობასა და დამატებით შემოსავალს მოგვიტანს"*, - ამბობს ალ-ატიია.

მარტის დასაწყისში, "ლოზაილმა" მოტოსპორტში ღამის ეტაპს უმასპინძლა, რითაც ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის, **ბერნი ექლსტოუნის** ყურადღება მიიპყრო. როგორც იცით, ეს უკანასკნელი ჯიუტად ცდილობს ფორმულას აზიური ეტაპების ღამის საათებში გადატანას.

ოლიმპიზმი

## ბუში პეკინში ჩავა, სარკოზი – არა

მიუხედავად ტიბეტში მომხდარი არეულობებისა, ამერიკის პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში** პეკინის ოლიმპიადაზე ჩასვლას მაინც აპირებს.

*"ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება. მიგვაჩნია, რომ ოლიმპიური თამაშების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის სპორტსმენი უნდა გაერთიანდეს, რათა თავისი ნიჭი არენებზე გამოავლინოს"*, - წერია თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებაში.

ასევე დადასტურდა ინფორმაცია, რომ ამერიკელი სპორტსმენები ოლიმპიადას ბოიკოტს არ გამოუცხადებენ.

ამასობაში, საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ** ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ სავარაუდოდ, ის ბოიკოტს გამოუცხადებს პეკინს და მომავალ ოლიმპიადას არ დაესწრება.

## ბრიტანეთი დოპინგის წინააღმდეგ

პეკინის თამაშების წინ, ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრების უკლებლივ ყველა წევრს დოპინგზე შეამოწმებენ. ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი ჯამში 1500 სინჯის აღებას აპირებს.

*"ვალდებულნი ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რათა მსოფლიომ დაინახოს, რომ ჩვენს გუნდში არავინ იყენებს აკრძალულ პრეპარატებს. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ბრიტანელი სპორტსმენები წარმატებებს დიდი შრომის ფასად და არა დოპინგის გამოყენებით აღწევენ"*, - წერია ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში.

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კოლორადო-ვანკუვერი 6:3**

1:2, 4:1, 1:0

გოლები: 1:0 ლეოპოლდი-5 (სალეი-24, ბრუნეტი-36), 1:1 დ. სედინი-29 (ჰ. სედინი-57, ბიეკსა-6), 1:2 რ. პიატი-16 (ჰ. სედინი-58, ნესლუნდი-29), 2:2 შჩასტნი-23 (ჰეიდუკი-23, ფორსბერგი-4), 3:2 მაკლეოდი-4 (ლაილსი-26), 4:2 ჰეიდუკი-25 (შჩასტნი-44, ფორსბერგი-5), 5:2 გიტი-11 (ვოლსკი-28, ბრუნეტი-37), 5:3 სალო-7 (ბაროუზი-19, დ. სედინი-43), 6:3 ჰეიდუკი-26 (შჩასტნი-45, ფორსბერგი-6).

**მინესოტა-ედმონტონი 3:1**

2:0, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 რადივოევიჩი-7 (გაბორიკი-38, მ. კოივუ-26), 2:0 პილი-2 (მ. კოივუ-27, რადივოევიჩი-10), 3:0 როლსტონი-29 (მ. კოივუ-28), 3:1 პიზანი-1

**ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 2:1 (ბ)**

0:1: 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ო'სალივანი-20 (დ. არმსტრონგი-25, პრისინგი-15), 1:1 რაიანი-4.

ბულიტები გაიტანეს: დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი), სელიანე (ანაჰაიმი), შნაიდერი (ანაჰაიმი).

**კოლამბუსი-ჩიკაგო 4:0**

0:0, 1:0, 3:0

გოლები: 1:0 ლინდსტრიომი-3 (უილსონი-1, ნოვოტნი-13), 2:0 უილსონი-1 (ქერდიოვი-34, მალორტა-18), 3:0 ვიბორნი-7, 4:0 პეკა-6 (კლესლა-12, ნეში-29)

## TV სპორტი

**28 მარტი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 სასტვენი
17:55 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
19:45 პირდაპირი ხაზი.
20:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ზუსტი გათვლა.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ვესტ ჰემი.
09:49 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:12 სპორტდოსიე.
10:41 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. VI ტური. ოლიმპიაკოსი-რეალი.
12:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
14:02 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ჩიკაგო.
15:49 მინი-მოედანი.
16:02 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:57 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-შალკე.
18:44 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:47 მინი-მოედანი.
20:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:43 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ტორონტო.
22:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:15 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
23:46 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
00:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. გიმარაეში-მარიტიმუ (LIVE).
02:24 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სტ. ლუისი (LIVE).
06:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.

**EUROSPORT**

11:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
13:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
14:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
15:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. IV დღე. პეკინი. ჩინეთი.
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
18:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი. ჩინეთი.
22:30 ხელბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო. ქალები. გერმანია-შვედეთი. გერმანია (LIVE).
00:00 ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. III დღე. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 საფეხბურთო ფრისტაილი. საფრანგეთი.
14:00 ბილიარდი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ყაზანი (რუსეთი)-კანი (საფრანგეთი).
18:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ტრევიზო (იტალია).
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
20:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრისტაილი. მსოფლიო ტური. საფრანგეთი.
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XVI ტური. ტულუზა-ბიარიტცი (LIVE).
01:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
02:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ქროული-კიდერმინსტერი | 0:4 |
| დროილსდენი-ალდერშოტი | 2:2 |
| სალისბერი-სტივენეიჯი | 1:0 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| დებრეცენი-ვიდეოტონი | 3:1 |

**კალათბურთი**

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| მურსია-ლეონი | 63:61 |
| გრან კანარია-ვალიადოლიდი | 92:85 |
| უნიკახა-ტაუგრესი | 77:89 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 1:1 პენ. 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ლიბერეცი | 5:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-ტრენჩინი | 2:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-დავოსი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| ტროიცკი-ჰანესკუ | 6:4, 6:1 |
| ლი-სელა | 4:6, 3:6 |
| ბენეტო-შუტლერი | 1:6, 6:1, 6:2 |
| ო. როხუსი-მინარი | 3:6, 2:6 |
| გულბისი-ჰრბატი | 6:3, 4:6, 6:1 |
| მელცერი-ლოდრა | 7:6, 7:6 |
| საფინი-რეინოლდსი | 6:7, 6:4, 6:7 |
| ტიპსარევიჩი-ლუ | 6:1, 4:6, 6:4 |
| აკასუსო-ვენტურა | 6:2, 6:4 |
| ანჩიჩი-სიმონი | 6:2, 6:7, 6:3 |
| ფიში-კლემანი | 3:6, 3:6 |
| ბოლელი-ხირალდო | 6:3, 7:5 |
| სვიტინგი-ვოლანდრი | 6:3, 6:2 |

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| კლეიბანოვა-გოვორცოვა | 6:3, 6:7, 6:2 |
| პაჩეკი-კორნე | 6:1, 2:6, 6:3 |
| სუგიამა-პივოვაროვა | 6:3, 7:6 |
| საფაროვა-კრისტეა | 6:1, 7:5 |
| ბიჩკოვა-დუბუა | 6:3, 6:3 |
| შვედოვა-სეკერა | 3:6, 4:6 |
| კ. ბონდარენკო-პარმენტიე | 6:1, 6:3 |
| არვიდსონი-პუჩეკი | 6:4, 6:3 |
| გარბინი-ოდენი | 7:5, 2:6, 6:1 |
| რუანო პასკუალი-ლუა | 6:7, 4:6 |
| პინი-სავჩუკი | 6:1, 7:5 |
| ჟენგი-ვოსკობოევა | 6:2, 7:6 |
| ლისიცკი-ვანდევეგე | 6:4, 7:5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ინტერვიუ ანა კურნიკოვასთან

# ამდენი შიშველი ადამიანი ერთად არასოდეს მინახავს



**ანა კურნიკოვამ ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) ეგიდით თავისი უკანასკნელი ტურნირი 2003 წელს ჩაატარა. მაგრამ ერთ დროს მსოფლიოს ყველაზე პოპულარულმა სპორტსმენმა ბოლომდე არ მიატოვა საყვარელი საქმე. ის ამერიკაში რეგულარულად მონაწილეობს საჩვენებელ მატჩებში და ძალიან აქტიური ცხოვრების სტილს მისდევს. ამის შესახებ ქვემოთ.**

**- ანა, ამ წლის თებერვალში პირველად მოხვდით რიო დე ჟანეიროს კარნავალზე. ღირდა ამ სიშორეზე გამგზავრება?**

- ღმერთო ჩემო! ერთად ამდენი შიშველი ადამიანი არასოდეს მინახავს! ისე კი, იქაურობა მართლაც ძალიან ლამაზი იყო! წვიმა მოდიოდა და ალლუმი ცოტათი საცოდავი სანახავი გახლდათ, მაგრამ თავიდან ფეხებამდე სველი მონაწილეები ცეკვას მაინც არ წყვეტდნენ. ძალიან კარგია, რომ იქ ხალხი ტრადიციას ინარჩუნებს - ბრაზილიელებმა ყველაზე კარგად იციან, როგორ უნდა დროის გატარება. უნდა ითქვას, ამ მხრივ ისინი ევროპელებზე უფრო გახსნილები არიან. ბრაზილიაში ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ კარნავალს პირველად დავესწარი და არ ვნანობ.

**- მოცეკვავეებთან შეერთების სურვილი არ გაგჩენიათ? მაგალითად, რაიმე კოსტიუმი ჩაგეცვათ...**

- არავითარ შემთხვევაში! იმ კოსტიუმების ცქერა კარგი იყო, მაგრამ ჩაცმა...

**- დიდი ხანია კორტზე არ გასულხართ. თავს პენსიონერად გრძნობთ?**

- უკვე ვგრძნობ ასეთ მომენტს... ივნისში ხუთი წელი შესრულდება, რაც პროფესიულ ჩოგბურთს თავი დავანებე.

**- გული არ გწყდებათ?**

- რა თქმა უნდა. ჯერჯერობით, ჩოგბურთზე მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში არაფერი ყოფილა. თუმცა ბოლომდე მას არ ჩამოვცილებივარ, ვთამაშობ საჩვენებელ და საქველმოქმედო მატჩებს და ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე ჩოგბურთელად დავრჩები. ჩემთვის ჯერაც ნორმალურია ის ცხოვრება, რომელიც სპორტის ამ სახეობას უკავშირდება.

**- რას ფიქრობთ ჩოგბურთში იატაკქვეშა ტოტალიზატორის არსებობაზე?**

- ეს ყველაფერი ძალიან ცუდია. მსგავსი სკანდალები რამდენიმე წლის წინ დაიწყო, როცა მე უკვე დანებებული მქონდა ჩოგბურთისთვის თავი, ამიტომაც ზუსტად არ ვიცი, რა ხდება ასეთ დროს კულისებში. არც ის ვიცი, აქედან რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი სპორტზე და შრომისმოყვარე ჩოგბურთელებზე უარყოფითად აისახება. ძალიან ცუდია, როცა ვარსკვლავზე ან მთლიანად სპორტის სახეობაზე ცუდი აზრის არიან მხოლოდ იმის გამო, რომ რამდენიმე ადამიანი უკანონო საქმიანობას ეწევა.

**- რისგან შედგება თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

- ჩამოყალიბებული განრიგი არ მაქვს. ერთ დღეს შეიძლება დილის 6 საათზე გავიღვიძო, მეორე დღეს - შუადღის 2 საათზე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვიმყოფები თუ არა მოგზაურობაში, ვარ თუ არა გამოძინებული, ხომ არ მაქვს დანიშნული რაიმე შეხვედრა ან წვეულებაზე ხომ არ ვარ წასასვლელი. ჩვეულებრივ, თუ სახლში ვარ და რამდენიმე დღე დასვენების საშუალება მაქვს, ადრე ადგომა და ვარჯიში მიყვარს, შემდეგ კაბინეტში დოკუმენტებზე ვმუშაობ. გარდა ამისა, ბევრს ვმოგზაურობ Boys&Girls Club-ის ელჩის სტატუსით. ეს საქმიანობა ყველაზე მეტად მომწონს. კლუბში ბავშვებთან მივდივარ და მათთან დროის გატარება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. შესანიშნავია, როცა მათ ცნობისმოყვარე თვალებს ხედავ. მარტო ამისთვის ღირს მათთან მისვლა. შეიძლება არც არაფერი ასწავლო - ბავშვებს, პირველ რიგში, ყურადღება სჭირდებათ. მე ეს კარგად ვიცი.

**- იღბალის გჯერათ?**

- დიახ. მაგრამ იმისთვის, რომ იღბალი მოვიდეს, ბევრი უნდა იშრომო.

**- ცხოვრების რომელი ეტაპი იყო ანა კურნიკოვასთვის ყველაზე იღბლიანი?**

- გამიმართლა იმაში, რომ მთელი მსოფლიო მოვიარე. იმაშიც, რაც საჩოგბურთო კარიერის დროს განვიცადე. იღბალმა ნათელი და საინტერესო ცხოვრება მარგუნა. მე ხომ საბჭოთა კავშირში დავიბადე, ჩაკეტილ სივრცეში, სადაც უმეტესობას არ ჰქონდა მოგზაურობის საშუალება. მაშინ ჩვენი სამყარო პაწაწინა იყო, ოცნებები - დიდი. ასე რომ, თავს იღბლიან ადამიანად ვთვლი, რადგან ეს ოცნებები რეალობად ვაქციე.

**- წინ ახალი, დიდი კარიერა გელით?**

- მას შემდეგ, რაც პროფესიული ჩოგბურთი მივატოვე, ახალი კარიერის მოწყობას მშვიდად ვუყურებ. არ მინდა იმით დავკავდე, რაც მხოლოდ დიდებასა და ფულს მომიტანს, სიამოვნებას კი არა. ამის გამო განსაკუთრებული მოტივაცია არასოდეს მქონია. ძალიან მინდა ვაკეთო ის, რაც მიყვარს, რადგან მგონია, რომ კარგ საქმეს მხოლოდ მაშინ გააკეთებ, თუ ის მთელი არსებით გეყვარება.

ძალიან დიდი დრო დავუთმე იმას, რომ საკუთარი თავი გვერდიდან დამენახა. იმ მხრიდან, რომელიც არ უკავშირდებოდა ჩემს ჩოგბურთელობას და პროფესიულ კარიერას. საქმე ისაა, რომ, როცა 20 წლის ასაკში ასეთ დონეზე თამაშობ, საკუთარი თავი ვინმე სხვად ვერ წარმოგიდგენია. არაობიექტური ხდები შენი თავის მიმართ. ასე რომ, არ ვიცი როგორ განვითარდება მომავალში ჩემი ცხოვრება. მხოლოდ 26 წლის ვარ, მე კი ჯერაც ვერ გამირკვევია, გადავდგამ თუ არა მორიგ კარიერულ ნაბიჯს. ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ვუყურებ.

**გია თვალაბეიშვილი**

ჩოგბურთი. მასტერსის წინ

# შეტევა ფედერერზე

ამ სეზონში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** ყველაზე დიდი მიღწევა არა რომელიმე დიდი ტურნირის მოგება, არამედ პენსიაზე გასული **პიტ სამპრასის** საჩვენებელ მატჩში დამარცხება უკავშირდება. თანაც, ნიუ იორკის სახელგანთქმულ "მედისონ სკვერ გარდენში", 26 წლის პირველმა ნომერმა დიდი გაჭირვებით მოუგო 36 წლის ამერიკელს - 6:3, 6:7, 7:6.

ოფიციალურ ტურნირებზე კი, საფეხბურთო ტერმინი რომ ვიხმაროთ, როჯერს უფრო ხშირად საკუთარი კარიდან უწევს ბურთის გამოტანა. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში მან სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** წააგო, დუბაის ტურნირის პირველ წრეში - ბრიტანელ **ენდი მარეისთან**, ხოლო ინდიან უელსის სუპერტურნირის ნახევარფინალში - ამერიკელ **მარდი ფიშთან**, რომელსაც იმ მომენტში მსოფლიო რეიტინგში... 98-ე ადგილი ეკავა. ისმის კითხვა: რა სჭირს აქამდე დაუმარცხებლად მიჩნეულ როჯერს? როდის დასრულდება მისი უიღბლო სერია?

უკანასკნელად, სწრაფსაფარიან კორტებზე ზედიზედ სამი ტურნირი ფედერერმა 2003 წლის შემოდგომაზე წააგო. პრინციპში, სწორედ ამ სამი მარცხის შემდეგ დაიწყო "ფედერერის ეპოქა", რომელიც უკვე დიდი ხანია გრძელდება.

აქვთ თუ არა პანიკის საფუძველი შვეიცარიელის ფანებს? დავფიქრდეთ.

ფედერერს შარშან გაზაფხულზეც ჰქონდა ჩავარდნა. მან ორჯერ ზედიზედ - ინდიან უელსში და მაიამიში ერთი და იმავე ჩოგბურთელთან, არგენტინელ **გილერმო კანიასთან** წააგო, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა დაალაგა თამაში. ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი. დღევანდელი წარუმატებლობების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად როჯერის ცუდი ფიზიკური მომზადება მიიჩნევა. სამპრასთან ხსენებული მატჩის წინ, New York Times-ში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფედერერი ავად არის. დეკემბერში მან მონონუკლეოზი "აიკიდა" - ვირუსული დაავადება, რომელსაც იოლი სიმპტომები აქვს, მაგრამ ძნელად ექვემდებარება დიაგნოსტიკას. აქედან გამომდინარე, ფედერერმა სეზონისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოახერხა, რაც ავსტრალიის ღია პირველობაზე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა.

შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ფედერერი მალე გამოჯანმრთელდება, ფორმას აღიდგენს და მალე ისევ დაიწყებს მოგებას? თეორიულად შესაძლებელია. მეორეს მხრივ, დღეს რაიმე გარანტიებზე საუბარი ზედმეტია. თუ ადრე როჯერს მხოლოდ **რაფაელ ნადალი** უწევდა კონკურენციას (თანაც, მხოლოდ თიხნარზე), ახლა ესპანელს ნოვაკ ჯოკოვიჩიც დაემატა.

ფედერერისთვის განგაშის პირველმა ზარმა შარშან, მონრეალის მასტერსის ფინალში ჩამოკრა, როცა ჯოკოვიჩმა ტიტულოვანი მეტოქის წინააღმდეგობა გატეხა. მართალია, შვეიცარიელმა აშშ-ის ღიაზე დამაჯერებელი რევანში აიღო, მაგრამ სპეციალისტთა უმეტესობამ სწორედ მაშინ ივარაუდა, რომ წელს სერბი მასირებულ შეტევას მიიტანდა ფედერერზე. პროგნოზები გამართლდა. ამიერიდან, როჯერი აღარ არის დაუმარცხებელი მონსტრი, როგორც ეს წლების განმავლობაში ჩანდა. შესაბამისად, მისთვის მთელი წლევანდელი სეზონი ერთგვარად გამოცდის პერიოდი იქნება.

**გია თვალაბეიშვილი**

| | ტ | მ | ფ | 1/2 | მ/წ |
|---|---|---|---|---|---|
| ჯოკოვიჩი | 4 | 2 | 1 | - | 17-3 |
| ნადალი | 5 | - | 1 | 2 | 16-5 |
| ფედერერი | 3 | - | - | 2 | 8-3 |



ჩოგბურთი

# ჰაასმა მაიამი დატოვა

გუშინ, მაიამიში სეზონის მეორე მასტერსმა აიღო სტარტი. პირველი წრის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში გერმანული დერბი უნდა გამართულიყო - **ნიკოლას კიფერი ტომი ჰაასის** წინააღმდეგ. მაგრამ ეს საინტერესო დაპირისპირება არ შედგება, რისი მიზეზიც ტომი ჰაასი გახლავთ. გერმანული ჩოგბურთის ლიდერმა ტრავმა მოიმიზეზა და მაიამის მასტერსზე თამაში არ ისურვა.

ამიტომაც, ძირითად ბადეში ჰაასის გაცვლად ესპანელი **გილერმო გარსია-ლოპესი** მოხვდა, რომელმაც კვალიფიკაციის ფინალურ რაუნდში წააგო და ახლა "ლაკი ლუზერის" სტატუსით მოხვდა მთავარ ტურნირზე.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირას ჰაასმა ინდიან უელსის მასტერსზე მეოთხედფინალს მიაღწია, მაგრამ ტრავმის გამო **როჯერ ფედერერის** წინააღმდეგ სათამაშოდ აღარ გასულა.

# ანენი საოპერაციო ყოფილა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ სეზონის წინ სერიოზულად ფიქრობდა მუხლზე ქირურგიული ოპერაციის გაკეთებას. ანენს ეს ტრავმა დიდი ხანი არ აძლევდა მოსვენებას.

როგორც ბელგიელი ამბობს, მან ბოლო მომენტში გადაიფიქრა ოპერაციის გაკეთება, მკურნალობის უფრო იოლ ფორმებს მიმართა და ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ (მეოთხედფინალში წააგო **მარია შარაპოვასთან**), მკურნალობის კურსი ჩაიტარა. წინა კვირას, ინდიან უელსის პირველი კატეგორიის ტურნირი ანენმა იმის გამო გამოტოვა, რომ ტრავმირებულ მუხლს დასვენების საშუალება მისცა.

*"ეს ქრონიკულ ტკივილი იყო, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს. მკურნალობის შემდეგ ორი თვე გავიდა და მუხლთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია"*, - აცხადებს "დიდი სლემის" ტურნირების შვიდგზის გამარჯვებული.

ტრამპლინიდან ხტომა

# ფინელმა მფრინავმა კარიერა დაასრულა

ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **იანე აჰონენმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ლეგენდარულმა სპორტსმენმა საკუთარი გადაწყვეტილება მოტივაციის დაკარგვით ახსნა. ამას გარდა, ფინელმა განაცხადა, რომ სურს უფრო მეტი დრო დაუთმოს ოჯახს.

*"წელს "ოთხი მთის ტურნეში" მეხუთედ გამარჯვების შემდეგ, დავფიქრდი და მივხვდი, რომ ამ ტურნირზე მეექვსე ოქროს მედალი აღარაფერში მჭირდება. არავისთვის აღარაფერი მაქვს დასამტკიცებელი"*, - განაცხადა 30 წლის აჰონენმა ჰელსინკიში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ჩოგბურთი. საჩვენებელი მატჩი

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ხარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი

**I წრე**

**დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 4:6, 6:3, 6:2; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-აგუსტინ კალერი (არგ) 7:6 (5), 3:6, 7:6 (4); **ანდრეას სეპი (იტა)**-მარკ ჟიკელი (საფ) 2:6, 6:4, 6:2; **ნიკოლა მაუ (საფ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 7:6 (6), 6:3; **პაბლო კუევასი (ურუ)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:4, 6:2; **ფაბრის სანტორო (საფ)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 6:1, 6:0; **სებასტიან გროსჟანი (საფ)**-გუსტავო კუერტენი (ბრა) 6:1, 7:5; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:1, 6:1; **მიხაელ ბერერი (გერ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:4, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:3, 6:2; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 7:5, 6:2; **ხუან დელ პოტრო (არგ)**-ჯესი ლევინე (აშშ) 7:5, 6:1; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 4:6, 7:6 (9), 6:4; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:3, 6:4; **სემ უორბურგი (აშშ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:6 (2), 6:2; **სემ კუერი (აშშ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 7:6 (4), 6:3.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ხარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი

**I წრე**

**ვანია კინგი (აშშ)**-შენეი პერი (აშშ) 3:6, 6:4, 6:1; **მიშელ ლარჩერ ბრიტო (პორ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 3:6, 7:6 (3), 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 3:6, 7:5, 7:5; **როსანა დელ ლოს რიოსი (პარ)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:2, 4:6, 6:4; **ნატალი დეში (საფ)**-საორი ნაკამურა (იაპ) 6:0, 6:0; **სარა ერანი (იტა)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 6:2, 3:6, 6:4; **იან-იან ჩანი (ტაივ)**-იოანა რალუკა ოლარუ (რუმ) 6:1, 2:6, 6:1; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:4, 6:1; **მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელ)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:4, 6:7 (4), 6:2; **ელენა ვესნინა (რუს)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:4, 6:4; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 7:5; **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:2, 7:6 (1); **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 7:5, 6:1; **მარტა დომახოვსკა (პოლ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 0:6, 7:6 (6); **ტატიანა პერებიინისი (უკრ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:4, 7:6 (1); **ეშლი ჰარკლროუდი (აშშ)**-ემანუელე გალიარდი (შვეიც) 6:4, 6:3.